

აქაქის



თ ვ ი უ რ ი

# ქრეშედი

წელიწადი მეორე

№ IV

ახრიალი, 1899



ქუთაისი  
ლამბაშისის სტამბა \* Типография Гамбашидзе  
1899

014656



0 2 6 0 8 0

014656

Дозволено Цензурою. Тифлиси, 9 Апрелья 1899 г.

71 9.

014656

014656  
National Library of Georgia  
014656  
1899

# შ ი ნ ა პ რ ს ი:



## პირველი განყოფილება.

		33.	
I	ქრისტე აღსდგა. ლექსი აკაკისა . . . . .	1—2	✓
II	ბელეფონი. ტფილისი და ქუთაისი. მისავე . . . . .	3—12	?
III	არამი ლუკმა კაცს არ შეეჩვენა— (ამბავი), დასასრული. თ. ხუსკივაძის . . . . .	13—37	
IV	მეფე ერეკლე. (საისტორ. მასალა) ზ. ჭ. . . . .	38—49	
V	საქართველოს დედა-მალაქი ტფილი- სი, (გაგრძ.) მ. ჯანაშვილისა . . . . .	50—64	
VI	კიკოლას ნაამბობი, აკაკისა . . . . .	65—106	ქოქა
VII	გობბობლდ ლესინგში, (გაგრძელება), ხმელქლისა . . . . .	107-126	
VIII	გლეხის მოგონება, ლექსი დ. მაჩხანელ. . . . .	127-128	

## მეორე განყოფილება.

I	უმარას შვილი უმარა (ოსური არაკი) ჩაწერილი „ქართული ოსებში“-ს მიერ . . . . .	1—8
II	ყაჩაღების ამხანაგბი. ზღაპარი. ჩაწე- რილი ა. მაჩაბლას მიერ . . . . .	9—13
III	იაღონი და ბულბული, ჩაწ. მისჯანგე. . . . .	13—20
IV	აფხაზები (მასალა ნ. ჯანაშვილისა . . . . .	21—30



## ქ რ ი ს ტ ე ა ლ ს ღ ზ ა !

(ჩემს სათაყვანოს).

ჩემო სულის დგმაჲ! ტკბილად გულის-თქმაჲ!  
ვეკლგან ევეკლთვის მნათობო სულის!  
შენ ერთად-ერთო შემკვრელ-გამსხნელო  
ჩემის ტანჯვისა და სიხარულის.

ცით მოვლენილო, ქვეყნად შობილო,  
ცისა და ქვეყნის შუა კავშირო!  
ჩამკანებელო, ზე-ადმკნებელო,  
ქნარ-სახვესურო, უკიდ-უძირო!

ვითვადისწინებო ოდეს გოღგოთას:  
მაზედ ამართულს ჯვარს ცხოველ-მუთოველს  
და ზედაც კანრთხმულს მსხვერზლს უგზურების  
ღმერთ-კაცს, საკვდილით საკვდილას მთრუგნველს,

შენც იქვე ახლოს, მორწმუნეთ რაცხეში  
გხედავ საწმინდით მოსსივ-ცისკარეს!  
ქრისტეს სამსჯვალათ თუთა გამსჯვალულო,  
მსხვერზლად ცოდვილთა, ცრემლებს ჭლერი მჟარეს.

ყოველი წვეთი შენი ცრემლების  
ცოურ მანანად გულს შეწვეთება,  
და სასობათ საწმუნება  
შენ მიდიდება... შიორკეცდება.

შენელსაცხებულე დედათა შორის  
შენვე გიუერებ მახარობულად,  
და „ქრისტე აღსდგა“ შენი ზირველი  
გრგვინვით გაისმის მთათა და ველად.

შენ „ჴეშმარიტად“ ვამბობ და მრწმენა  
შეგდრეთით აღდგომა ჴეშმარიტების!  
წყარო ცხოვრების და სიძარტლისა  
თუშტა იმღვრევის, მაგრამ არ შტების!..

მრწამს! და შენც მწამსარ წინამორბედად  
იმ აღდგომისაც, რომ ველი შეცა!..  
როდესაც ქვეუნად ტანჯულ სიძარტლეს  
შეგდრეთით აღადგენს კურთხევით ზება.

ეველგან, ეოველთვის, ჴირში და ღვინში  
რადგან შენა ხარ ჩემი გულიან-თქმა,  
წმინდა ამბორმა შეგვისისხლხორცოს,  
ახალი რჯული და ძველი აღთქმა!



## ბ ე ლ ე ზ ო ნ ი .

### ტფალასი და ქუთაისი.

**ბზილისი.**—რა ამბავია თქვენში?

**ქუთაისი.**—დიდი არეულობა!.. ძაღლი პატრონს ველარა სცნობს.

**ბზ.**—ალარც აქ არის მშვიდობა: ჩვენშიაც პატრონი ძაღლს ველარა სცნობს!.. და ეს სულ „ბანკობანამ“ დაგვმართა.

**ქუთი.**—ჩვენც „ბანკობიას“ ვაბრალებთ. რაღა ის და რაღა „ყეენობა!“

**ბზ.**—რა ბძანებაა?! „ყეენობა“, უფრო შეგნებული და უფრო პატიოსნურიც იყო. აღარ გახსოვს? და თუ დაგავიწყდა, წაიკითხე დავით ბებუთაშვილის ნაამბობი!

**ქუთი.**—ვისა აქვს ახლა კითხვის თავი? რაიო? რასა სწერს?

**ბზ.**—აი რას: დიდ-მარხვის პირველ დღეს, ორ-შაბათს, მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. ემზადებოდნენ ზოგი საომრად და ზოგიც სეირის საყურებლად. ხალხი ორ დასად იყოფოდა: ქვემო-უბნელებად და ზემო-უბ-



ნელებად. თავ-თავისი ყენი ჰყავდათ მათის პამპულეებით. დაუკრავდენ ზურნას თუ არა, მიიწვედენ ერთიმეორეზე; ჯერ პატარ-პატარა ბიჭები გამოიწვევდენ ერთმანეთს; მერე თან-და-თან უფროსები ჩაერეოდენ და ბოლოს გაიმართებოდა საერთო მუშტის-კრივი. მეთაურები გარს უვლიდენ და ამხნევებდენ მემორებს. დედა-წულები ბანებზე იდგენ და სეირს უყურებდენ. უთუოდ ან ერთ მხარეს უნდა გაემარჯვნა და ან მეორეს: ან ქვემოურებს უნდა გაედენათ ზემოურები და ან ზემოურებს დაერეკათ ქვემოურები. თუ თანასწორი ბიჭობა იყო, შიგა-და-შიგ დაისვენებდენ ხოლმე და მერე ისევ ხელ-ახლა ასტებდენ ბრძოლას, სანამ ერთი და ერთი არ გატყდებოდა. მაშინ კი დამარცხებული მხარე გაიქცეოდა; გამოუდგებოდენ გამარჯვებულები და სულ კუდიტ ქვას ასროლიებდენ. ყენს აქლემიდან და პამპულებს სახედრებიდან ძირს ჩამოჰყრიდენ. ლაფში ამოსვრიდენ. გათავდებოდა ბრძოლა. დამარცხებულები გამარჯვებულებს დაემორჩილებოდენ და მოხდებოდა შერიგება. გაიმართებოდა საერთო ლხინი და მორჩა გათავდა!!.. ერთმანეთის მტრობა და ჯიბრი მეორე დღემდისაც აღარავის გაჰყვებოდა.

**ქუთი.**—ჩვენში კი „ბანკობია“ „ყენობის-ყენობაა!“ არც დასაწყისი უვარგა და არც დასასრული.

ხმონსები, მარტო ორად კი არა, მრავალ დასად იყოფიან: ყოველ უბანს თვისი ყენი და პამპულეები გამოჰყავს, მაგრამ საკვირველი კი ის არის, რომ ვერ გაგიგიათ: ვინ ვისია? შინაური გარეულს ეხმარება, გარეული შინაურს უწყობს ხელს; მტყუანი მართალს ესაყვედურება და სიმართლე ვედარავის გაურჩევია. ერთი სიტყვით, „ბაბილონის გოდლობაა!“ აქ აღარც

მუშტია და აღარც კრივი... ერთმანეთს ლაფს ასხმენ თავზე და ტალახის გუნდას უსვრიან და თანაც ისე გაურჩევლად და წარა-მარად, რომ აღარ იციან, ვის მოხვდება: მტერს, თუ მოყვარეს? ზურნასაც ქალები უკვრენ და, რასაკვირველია, ჭიკციანს დასასრული აღარ ექმნება?! თავდება ბოლოს, როცა იქნება, „არწევნობითი ყვენობა“, მაგრამ მტრობასა და ჯიბრსკი მაინც დასასრული არ ეძლევა: წლიდან წლამდე გრძელდება და ოჯახებშიაც კი გადადის საპირადოდ.

**ბზილ.**—ჩვენშიაც სწორედ აგრე იქმნებოდა, რომ ჩვენც თქვენსავით ჩქარი ვიყოთ, მაგრამ დარბაისლობა გვშველის: ჩვენ, შვილოსა, დიდ ორშაბათს რომ ვინმემ გვაწყენიოს, ძლივს საახალწლოდ თუ მოგვივა გული და აბა მანამდი ვინლა გიცდის? ეს კია მე და ჩემმა ღმერთმა, არც ავსა და არც კარგს გულში ადვილად არ შევუშვებთ და თუ შევეუშვით, მერე კი იქიდან გამოდენა აღარ გვეხერხება. თქვენ კია, იმერლებსა, გული ჯიბესავითა გაქვთ: ჩაჰყოფთ ხელსა და, რაც გინდათ, ჩადებთ და ამოიღებთ. არა, არა! აღარც თქვენა ხართ და აღარც ჩვენ! ჩვენ ჩვენის აუჩქარებლობით ველარ მიგვიხწყევია საჭირო ადგილამდე და თქვენ კი თქვენის სიჩქარით იმ საჭირო, სამიზნო წერტილს თავზე ახტებით!.. ხელი აღარც ერთს აღარ გვეკიდება და ჩვენი საქმეც საერთოდ წასულია!.. ტყუილად თავს ვიწუხებთ!..

**ქუთი.**—ბეჩა, ჩემმა მტერმა თქვა ეგ!.. მართალია, ცუდ ყოფაში კი ვართ, მაგრამ მაინც ვინ ქართველი და ვინ აგრე გულის გატეხა?! აბა, გაიხსენე: ძველად რა ამბები იყო ხოლმე? რამდენი წისკვილის ქვა დატრიალებულა ქართველების თავზე, მაგრამ ღვთით აუ-



ტანიათ და მტრები არ გაუხარებიათ! დღეს რა არის? დღევანდელი ჩვენი არეულობა ძველთან შედარებით უბრალო ბურჟუალობაა. ჩვენი ქვეყანა ედემის ნერვია, „უკვდავების ხე“, ფესვ-მაგარი და შტო-ნაყარი! „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო“. ჩვენ წავალთ და ჩვენი შვილები მოვლენ! საქვეყნო კანონია!.. დღეს ყვავი შემოჯდება ხეზე, ხვალ—ბუღბუღი!.. ხან ვირი კოტრილობს ჩრდილში და ხან ლომი ნავარდობს!.. ედემის ნერვს მიტომ ჰქვია „უკვდავების“ ხე, რომ გამძლეა. ხან აწვიმს და ათოვს თავზე, და ხანაც მზე და მთვარე დაქათქათებს!.. ბევრჯერ ქარიშხალიც შეარხვეს, სეტყვა დათეშავს, მეზი რომელიმე ტოტს ჩამოუჩხვს, გაუხმობს!.. ხეც დროებით დაიწაგრება, მაგრამ საბოლოოდ კი მაინც ისევ იხარებს და ნაყოფს იძლევა...

**ბზილ.**—ეჰ, დალოცვილო! მე „ვაი-ვაის“ ვიძახი და შენ „ალილოს“. მაგისთანა ზღაპრები ჩვენც ბევრი გაგვიგონია! და რალაი ხეზე ჩამოგიგდია ლაპარაკი, მეც მაგგვარსავე გეტყვი: ერთ ადგილას ორი ხე ამოსულიყო ერთად და თანასწორადაც გაზრდილიყო. ერთი ალვის ხე იყო და მეორე—კაკლის. მოიწეოდა თუ არა კაკალი, ყოველ წლობით, ადიოდენ ზედ მებრტყავები, თან ქოკრი აქონდათ, დაუშენდენ ხოლმე ტოტებს და სულ ლაწა-ლუწი გაჰქონდა. ალვის ხეს კი ბუზიც არ ეკარებოდა. ერთხელ ალვის ხემ უთხრა კაკალს: მებრალეები, მეზობელო!.. მადლობა ღმერთს, რომ მეც შენ ქერქში არა ვარო!.. რაც შენ ცემატყება გაქვს, როგორ უძლებო?—ეს მიტომ რომ ფესვი მაქვს მაკარიო!—მიუგო კაკალმა.—და სანამ შიგნივ გულში ან ძირს ფესვებში უჩინარი ქია არ გამიჩნდება

და ნელ-ნელა ღრღნას არ დამიწყებს, არა მიშავს-რაო! გარედან ვერავინ რას დამაკლებსო! ამისი არ იყოს, იმ შენ ედემის ხესაც არა უჭირს რა, სანამ შიგნივ გულში და დაბლა ძირში ქია არ გაუჩნდება!—მაგრამ ვაი რომ ცუდ ნიშნებსა ვხედავ და ის ქია, ვკონებ, კიდევ გაგჩენიათ იმერლებს!.. არ მომწონს თქვენი არე-დარევა!..

მ.—ეგ სულ გარეგნობაა!—ღვთით ფესვი მაგარი გვაქვს და გული მრთელი. მიუხედავად არე-დარეულობისა, ვერ ნახე:

ტ.—აბა, რა საქმე?

მ.—რა და... ბანკიდან გამოსატან ფულების შესახებ!.. ერთხმად და ერთ-პირად გარდავსწყვიტეთ, რომ საქველმოქმედოდ გადაიდვას.

ტმ.—მერე და რა გამოვა მანდედან?—„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა შუა უძვეს დიდი ზოკარიო“. თქვენ, შვილოსა, იმერლები სიტყვა-უხვი ხართ და საქმე-ძვირი! განა ცოტა გვინახავს მაგალითი? თქვენ არ ბძანდებოდით, რომ მაგ ბანკიდანვე ერთხმად და ერთპირად ზოგს პენსია დაუნიშნეთ, ზოგს საჩუქარი და ზოგს კიდევ რა?!—ქვეყანა გააყრუეთ ტრაბახით... ყურები გამოგვიჭედეთ, ქვეყანა ალაპარაკეთ და ბოლოს კი თქვენვე მოიპარეთ და გადააფუჩიყეთ თქვენივე განაჩენი. რაც არა დააკელით რა, არავისათვის მიგიციათ რა. და ჩვენ კი, შვილოსა, არავის რას დავპირებივართ, არც საქვეყნოდ დაგვიწმენბია რა, მაგრამ ისე კი, ჩუმად ბევრს შევწევივართ და გაგვიმართავს ხელი.

მ.—ახირებული თქმაა კეშმარიტად!.. სხვის თვალში ბეწვსა ხედავთ თქვენ, ქართლები, და თქვენსაში კი ღირსაც ვერ შენიშნავთ ხოლმე. თქვენ არა ხართ,

რომ კაცი თორმეტი წელიწადი იმსახურეთ და ჯერ  
დღეს ნაცვლად მისი საკუთარი ოთხი წლის სასყიდელიც  
კი წაართვით ძალ-მომრეობით და წამლის ფასიც კი  
გამოულიეთ?! მოგებას რომ გამოვუდგეთ... არ ივარგებს!  
ამიტომ რომ ეგ კერძო საქმეა... შინაური ანგარიშია!!  
და საზოგადო კი სულ სხვა არის...

ბ.—და თქვენ კი განა საზოგადოშიაც არა  
სტყუით ხოლმე! გახსოვს, რა ამბავი იყო იმ სასახლისა  
და ადგილის შექმნის თაობაზე, სადაც დღეს გიმნაზიაა  
და ადრე კი სამეფო ოქროს ჩარდაყი ერქვა?..

პატრონები, თითქმის, მუქთად გითმობდნენ! ის რომ  
ბანკს შეეძინა დიდ მოგებას იქნებოდა: დღევანდელი  
სათავადაზნაურო სკოლა, ბანკის სახლი, სათავადაზნა-  
ურო კრების და სხვანი, რომელთაც ახლა ქირით იკებრთ  
და დიდ-ძალ ფულსა ჰყრით, მაშინ სულ აქ, იმ ერთ  
სადგომში იქმნებოდა მოთავსებული და იმ ფულით,  
ახლა რომ ქირაში აძლევთ, საბოლოოდ შეიძენდით  
საკუთრებად ყოლიფერს. ეს ისეთი სათვალდათვალა  
ანგარიში იყო, რომ ბრმაც კი მიხვდებოდა სარგებ-  
ლობას! და თქვენც ერთხმად და ერთპირად გარდასწვი-  
ტეთ შექმნა. მაგრამ განზედ რაღაც კრინმანქული საქმე  
გამოვიდა და ბანკის მმართველობამ თავისებურად, სხვის  
გულის მოსაგებად, რაღაც ჩაიხალთაბანდურა და თავი-  
დან აიშორა ის საქმე. ეს ხომ მაინც საზოგადო საქმე  
იყო და მერე როგორი? ამაზე უფრო დიდი საქმე  
ძვირად შესახვედრია!—თქვენ კი აპირპილდით ჩვეუ-  
ლებრივად; მერე ისევ მიივიწყეთ, თითქო შარშანდელი  
თოვლი ყოფილიყოს. ასე ხართ, შეილოსა, ყოლიფერ  
საქმეში! უკაცრავად კი ნუ ვიქმნებით და თქვენ ჯერ  
ვერც კი გვირჩევთ: რა არის კერძო? და რა არის სა-

ზოგადო? ავ-კარგს ვერ არჩევთ. რაც პირადათ თქვენი სასარგებლოა და გამოგადგებათ, ის, გინდ ქვეყნის დასალუპავიც იყოს, თქვენ საზოგადო გგონიათ და სა-ქვეყნოდ მიგაჩნიათ. და რაც კი პირადათ თქვენი გამო-სადეგი არ არის, ის, გინდ ქვეყნის სასარგებლოც იყოს, არაფრად მიგაჩნიათ!.. ჯერ კიდევ კუჭიდან იყურებით და ის არის!..

მ.—სცდებით!.. ეგ საზოგადო კანონი არ არის ჩვენში და ეგ არ ითქმის მთელს ხალხზე!.. ერთი იუდა თორმეტში გამოერია და ჩვენში ამოდენა ხალხში, სადაც ათი-ათასი და ასი-ათასია, შიგა-და-შიგ რომ ზოგიერთები მისთანაებიც გამოერიონ, როგორებსაც თქვენ ასახელებთ, რა გასაკვირველია? მაგრამ ნათქვა-მია: „ერთმა ღორმა მთელი ნახირი გასვარა“.

ბ.—რა ვიცო, შეილოსა, ასე კი არის და!.. საქმე კი ხდება და გინდა ერთს წაუხდენია და გინდა ათასს! სულ ერთია.

მ.—ახლა ველარა წაახდენს რა!..

ბ.—„ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენს თხას მგელი და-ეკიროს“, მაგრამ მეექვება...

მ.—დაიჭერს! დაიჭერს!! მგელსაც დაიჭერს და მელასაც.

ბ.—ეჰ, მაშ ეხლა კი სწორედ სხვა ქკუაზე, სხვა გუნებაზედა ხართ?.. რაც დაგიდგენიათ აასრულებთ? რაც გითქვამთ აღარ გადათქვამთ? კეთილი!.. მაინც როგორ გინდათ და რაზე რომ მოიხმაროთ ის ბანკიდან გამოსატანი ფულები?

მ.—ჩვენი სურვილია, რომ პატარ-პატარა სამეურ-ნეო ბანკები გავხსნათ მაზრებში და მოგება ყმაწვილე-ბის გასაზრდელად გადავსდვათ. უეჭველად უნდა ახალი

ტიპის საქალბო სასწავლებელი დავაარსოთ. ამ აზრით კომისიაც ავირჩიეთ.

ბ.—კომისია ჩვენც ავირჩიეთ და იმას მოვახვეთ თავზე. იმან იცის!.. ჩვენ აღარას ვეკითხებით! რაც უნდათ ისა ჰქმნან. ჩვენ ამორჩეულებსაც ერთი აურჩევიათ და იმისთვის მიუხდვიათ,—იმან იცისო! ზოგიერთები კი სულ სხვას გვირჩევენ! მაგ ფულით ვერას გახდებით, ცოტააო და ნავთის ადგილები რომ შეიძინოთ ბაქოში ჯერ-ჯერობით ის აჯობებსო!.. ვგებო გამდიდრდეთო!..

მ.—აბა, ეგ რა საფიქრებელია?

ბ.—რატომო ვითომ? ერთხელაც დავაშავეთ, რომ რჩევა არ დავიჯერეთ. ბანკის დაარსება რომ გვინდოდა მაშინ გვირჩია ერთმა ახალ-გაზდა კაცმა, ალენიჩმა: მოდიეთ, მაგ ფულებით ბაქოში ნავთის ადგილები შევიძინოთო. ჯერ არავისა აქვს კარგად შეგნებული იმ ადგილების გარემოება, ფასი არ იციანო და ერთს დროს კი დიდ სიმდიდრედ გადაიქცევა და მილიონებს მოიტანსო. მაშინ ჩვენ სიცილადაც არა გვყოფნია მისი სიტყვა, მაგრამ აი ახლა რა ამბავია?! რომ მართლა დაგვეჯერებია, და იმ მცირეოდენი თანხით ის ადგილები გვეყიდა, დღეს ხომ ამდენი აუარებელი მილიონები ჩვენ ხელში იქნებოდა და ყოველგვარ საჭიროებას დავიკმაყოფილებდით?.. ვინ იცის ან ახლა რა მოხდება!

მ.—კი, მაგრამ საზოგადო საქმის საიქვოში ჩავდებოძნელია! თქვენც იმ ერთ კაცსავეთ არ მოგივიდესთ, რძე რომ მიჰქონდა ქოთნით გასაყიდად და თანაც ოცნებობდა: რძეს გავყიდი, კვერცხებს ვიყიდი; კვერცხებს გამოვაყვინებ, წიწილებს დავზრდი; დედლებს

დავჰყიდი, ცხვრებს ვიყიდი... აყუყუები ასე ამ გვარად და მერე ქვეყანას დავირჩინო!. ამ ფიქრებით რომ იყო გატაცებული, წამოჰკრა ფეხი ქვას, დაეცა, ქოთანი გატყდა, რძე დაედვარა და დარჩა ხელცარიელი.

**ბ.**—ნურც მაგრე წინ დაუხედავი გგონივართ, შეილოსა! შორს-გამჰკრეტელობა ქართლებს არ გვაკლია!.. აბა ერთი დასთვალე, რამდენი ღენარლები გყავს! სანამ ღმერთი მათ არ გამოგვიღევს არა გვიქირს რა!.. არც ქოთანი გაგვიტყდება და არც რძე დაგვედვრება!! აი ახლაცა ხუცისშვილებმა კინალამ მოგვატყუეს: თურმე ჩვენ სათავად-აზნაურო სკოლაში გლახებსაც ზრდიან და ჩვენ კი არ ვიცოდით!

**ქ.**—მერე და რაო რომ ზრდიან?

**ბ.**—ვეყო, როგორ თუ რაო? რაღა სათავად-აზნაურო ყოფილა თუ კი შიკ გლახის შვილებიც იქნებიან?

**ქ.**—დალოცვილო, მარტო სახელით ხომ არ იქნება?! მოსკოვში ლაზარევის ინსტიტუტია და მაშ იქ სხვა გვარის ველარავინ შესულა თუ არ მარტო ლაზარევიები? აქ მიხაილოვის საავადმყოფოა და მაშ, ვისაც მიხეილი არ ჰქვია, სხვას აღარ მიიღებენ?

**ბ.**—ეჰ! რას ჩმახავ, შენ, ეი, იმერელო?! აქ საქმე სახელზე კი არ არის, სახრაკზეა: ჩვენი შვილებიც ველარ გამოგვიზღია, თორემ გლახების გამოზღას სადღა შევიძლებთ?

**ქუთ.**—მერე და თქვენ რა შუაში ხართ?

**ბფილ.**—მაშ იქ არ იზრდებიან თურმე? ჩვენები სადღა გაიზარდონ?

**ქუთ.**—თქვენებს ხომ არას უშლიან?!.. იზრდებიან თავისს საკუთარის ხარჯით და არც თავად-აზნა-

ურობის შვილების ადგილს იჭერენ!.. თუ კი არის ადგილი მორჩენილი, ტყუილა დაგდებასა და მოცდენას... ჩვენმა გლეხის შვილებმა რომ დაიჭირონ და მათის, საკუთარის ხარჯით, ერთად ჩვენ შვილებთან გამოიზარდონ, ჩვენ რა დაგვიშავდება და რა ზარალი გვექმნება.

**ბზილ.**—თუ მართლა მაგრეა და ჩვენი არა იხარჯება რა, რა გვენალვლება?!. პირიქით... ისწავლონ, ღმერთმა ხელი მოუმართოსთ, ისინიც ჩვენი მიწის შვილები არ არიან? მაგრამ ჩვენ აგრე არა გვეგონია!.. ჩვენა გვეგონია თუ ისინი ჩვენი შვილების მაგიერად იზრდებიან ჩვენის ხარჯით!.. თუ მაგრეა, რატომ არ აგვიხსნეს და არ გაგვაგებიეს?

**ქუთი.**—აგისხნიდენ, მაგრამ აკი წყლან თქვენ თითონ ბრძანეთ: სააღდგომოდ რომ საწყენს რასმე გავიგონებთ, საახალწლოდ მოგვივა ხოლმე გულიო!.. ბოლოს გაიგებთ ამასაც და ეხლა კი მშვიდობით.

**ბზილ.**—გაგიმარჯოს შენცა! და ამ ტელეფონის მომგონსაც! ე რა კარგი ყოფილა? საიდან სად ელაპარაკები კაცს? მოდი ერთი ვქმნათ: ხან-და-ხან შენ მანდაური ამბები გადმომეცი ხოლმე და მე აქაურს გადმოგცემ.

**ქუთი.**—კეთილი, მაგრამ თქვენებური ახალი ჩვენში ხომ დაძველებული იქმნება და ახალი ძველში ვის გაუცვლია?

**ბზ.**—ეჰ, შვილოსა, ეგეც აღარ იცი, რომ ზოგჯერ ძველი სჯობია ახალს? გეტყოდი, მაგრამ დრო აღარ არის და სამერმისოდ გადავდვათ.

## „არსენი ლუკმა კასს არ შემირგებ“.

(ამბავი შავი-ქვის მწარმოებელთა ცხოვრებადგან).

დასასრული \*)

ერთს დილას თამაზა სადღაც წასულიყო. დედაც წყაროზედ იყო. მარტო თებრონე დარჩენილიყო შინ.

— დრო და შემთხვევაც ეხლა მაქვსო! იფიქრა ბერძენმა. ბედი კარზედ მადგია! შევჭკრიბავ ძალ-ღონეს... აღვიქურვები ვაჟაკურის გაბედულობით... მივადგები კარზედ... არ გამიღებს? ძალას ვიხმარ. შევამტვრევ... ფიქრობდა თავის ოთახში ბერძენი... აგერ წელიწადი ვარ ამათ ოჯახში... სულ სამჯერ არ მინახავს... დღეს თავისუფალია... ნუ თუ არ მიმიღებს?! ფულებს კონაკონა დაუწყობ წინ... ვერცხლის-მოყვარეობა განა არ დააბრმავებს? ის ხომ ღარიბი გლეხის უბრალო გოგოა!.. მაშ მივდივარ... მაგრამ, არა, ეგებ იკივლოს... ხმაზედ ხალხი შეიკრიბება, მერე? არა... ისევ მივდივარ... (გაქანდა კარებისკენ და უცებ შესდგა, ისევ შეფერდა)...

\*) იხ. „კრებული“, № 3, 1899 წ.

— ბედი კარზედ მადგია! ვინ იცის, ეგებ მართლად მოვსწონდე! ფიქრობდა ამ დროს თებრონე თავის სახლში... ბერძენი შინ სულ მარტვია... რა იქნება, რომ მივიდე და დაველაპარაკო?! მაგრამ აჰ, ღმერთო, ენას რატომ არ ამომავლეჯ! დედა? დედამ რომ მომისტროს? მერე რას იტყვიან? ხომ სულ მომეკრა ამ სოფელში თავი! მაგრამ მისი ფულები? სიმდიდრე? ჩემი სიღარიბე? მამამ ხომ სიღარიბის გამო ვერ გამათხოვა! დეე, რაც მომივა— მომივიდეს! მივდი... (გადაადგა ნაბიჯი), მივდივარო, უნდოდა ეთქვა, რომ ამ დროს კარებში მომდგარი ბერძენი თებრონეს თვალებით სჭამდა.

რალაც იდუმალ ძალამ ორივეს ენა ჩაუგდო. დადუმებული იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. კაი ხანს გაგრძელდა მათ შორის საერთო ღუმილი.

„მე მიყვარხარ! ჩემი უნდა იყო!“ წაილულლულა უცებ ადგლვებულმა ბერძენმა და ტლანქი ხელები თებრონეს წერწეტა ტანს შემოხვია.

„მეც, მეც მიყვარ“!.. მიყვარხარო უნდა ეთქვა თებრონესაც, რომ გონზედ მოვიდა, დატრიალდა, ბერძენს ხელიდგან გაუსხლტა და კარში გავარდა... ბერძენი სახტად დარა. ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. მაგრამ რაც თქვა ისიც საკმარისი იყო ერთმანეთის სურვილების შესატყობლად.

ამის შემდეგ რამოდენიმე კვირემ გაიარა. ბერძენი რალაც საქმისთვის ფოთში დაიბარეს. ფოთიდან ბათუმში უნდა გასულიყო. ეს ის დრო გახდათ, როდესაც ბათუმი ისევ „პორტოფრანკო“-დ ითვლებოდა. ბერძენმა ბათუმიდგან ძვირფასი საჩუქრები მოუტანა თებრონეს და დედა მისს. ახლა კი დარწმუნდა თებრო-

ნეს დედა, რომ ბერძენს მისი ქალიშვილი მოსწონს და კიდევაც შეირთავს. ორივე დედა-შვილის აღტაცებასიხარულს სამზღვარი არ ჰქონდა. ბერძენი ნამდვილ სიძვედ მიაჩნდათ... ქალებს, თუმც დიდი ხნიდგან გადაეწყვიტათ ეს საქმე, მაგრამ თამაზასთვის სულ ახალი ამბავი იყო.

— არა, ქალო! დღემდის თუ ყურებს მიჰქედდი თებრონეს გათხოვებაზედ ლაპარაკით, რატომ ახლა არაფერს მეუბნები? ჰკითხა თამაზამ თავის მეუღლეს.

— როცა გითხარი, უსიამოვნების მეტი რა გამოვიტანე!? ახლა ქე ვარ ჩემთვის. ვუყურებ მის ბედს. უპასუხა თამაზას მეუღლემ.

— კარგი დაგემართოს, თუ მაგ ჰკუთხედ ხარ, მაგრამ ვაი თუ ისევე მალე შეუბრუნდება?! უთხრა თამაზამ.

— ფული, რაც მადნებში ავიღეთ ვალებს მოუღდა და სანამ ქვას ხელახლავ გავყიდდეთ, მანამდის თებრონეს ბედიც მოგვაყენებს ვინმეს კარზედ. უთხრა თამაზას მეუღლემ.

ამ მუსაიფის დროს თებრონე თავჩალუნული იჯდა და თავის მდიდარ საქრმოზედ ჰფიქრობდა.

— ის, რაღაც საჩუქრები გამოუგზავნია, უჩემო რად ღებულობდით? უცებ, სრულებით მოულოდნელად იკითხა თამაზამ. — შენ, დედაკაცო, ჰკუიანი მეგონე, შენ მაინც რამ გაგაბრიყვა? თებრონე, თუ გინდა ყმაწვილი ქალია, ყველაფერი მიეტოვება! უთხრა თამაზამ მეუღლეს.

— ვისაც რა უნდა, ის სთქვას, კაცო! ჩემი სინდისი თუ წმინდაა, ვისაც რა უნდა ის იფიქროს!.. სარეცხს ვურეცხავთ, ვუკერავთ, ჩვენს ეზოში დგას, ჩვენს მადნებში მუშაობს და რა უყოთ, რომ ამის მაგიერ ჩვენც

პატივი გვცეს!.. თუ რამეს ამბობენ, ჩემო თვალის სინათლე, სიხარბით ამბობენ, სიხარბით! შენ გგონია, არ ეხარბებათ ეს ჩვენი საქმე? ის კი არა, კაცო, რას ამბობენ თურმე ჩვენს თებრონეზედ. ვითომ თებრონეს ბერძენი ცოლად ირთავდეს. საქმე კიდევაც გაეთავებიოს!..

— ვაი, ნეტა მართლა მოუქცევდეს ღმერთი ფხარს! სთქვა თავისთვის თამაზამ. აი ღმერთი მაშინ მოგვხედავს ქალო! ჩვენი სიღარიბის კერია მაშინ მობრუნდება!..

ამ მუსაიფის დროს თებრონეს გულის ძგერა შორს გაისმოდა. ის ენა-ჩაკმედილი იჯდა და ყურადღებით ისმენდა მშობლების მუსაიფს.

გათამამებული თებრონეს დედა მიუჩინდა ახლოს თავის ქმარს, ხუმრობით გვერდი ჰკრა და მხიარულად ჩაულაპარაკა:

— რას მაჩუქებ, კაცო, რომ ეს საქმე მოვრთო! აჰ! თამაზა! თამაზა მეთქი! არ გაგეხარდება, რომ ის მდიდარი ბერძენი შენი სიძე იქნეს! — ჰკითხა თამაზას მეუღლემ. თამაზაც, მეტყველება-დაკარგული იდგა და დიდხანს გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო.

— ვაი ბეჩა! წამოილაპარაკა ცოტა სიჩუმის შემდეგ თამაზამ. — ვინ მოესწრება მაგას?!

— შენ მისი ჯავრი ნუ გაქვს! თუ ქალი ვყოფილვარ იმ ბერძენს ხელში ჩავიგდებ. შენ, კაცო, ისე მოიქეცი, თითქო არაფერი იცოდე! უთხრა თამაზას ცოლმა.

თამაზას ცოლს ეს-ლა აკლდა. მას ქმრის ეშინოდა. დღეს ქმარიც დაითანხმა და დარწმუნებული იყო საქმის ბოლოც მის სასარგებლოდ დამთავრდებოდა. დღეის იქით ბერძენმა თამამად დაიწყო თამაზას ოჯახში სია-

რული, მის ცოლ-შვილთან მუსაიფი. თუმცა კი რონეს დედა გვერდში არ იშორებდა თავის ქალი-შვილს და ჯვარის დაწერამდის ხანგრძლივ მუსაიფის ნებასაც არ აძლევდა.

ერთხელ, ასე საღამოს შვიდი-რვა საათი თუ იქნებოდა, ბერძენი ადრე დაბრუნებულიყო მადნებიდგან. მადნებიდგან ერთი პატარა გზა-წვრილი მოდის. ეს გზა-წვრილი ერთ ადგილას გადაუხვევს, პატარა მთის მოციმციმე ღელეს შეირბენს და ამ ღელის ერთ ნაპირას პიტალო კლდეა, აღმართული, საიდგანაც გადმოსჩქეფს ცივი, მთის ანკარა წყარო. წყლის ნაკადულს ქვეშ ხის ღარი უდგია. ღარზედ ეს ცივი წყალი გადმოაჩუჩუხებს და ღარიდგან შადრევანივით გადასჩქეფს შორს და ერთვის იქვე მიმდინარე პატარა ღელეს. ეს წყარო იყო მთელი ამ სოფლის სულის ჩამდგმელი. ესვე „ღარის წყარო“, (როგორც ეძახდნენ სოფელში) გაზღდათ აქაურ დედათა-სქესის ადგილობრივი „კლუბი“. აქ გაიგონებდით ყოველ-გვარ ახალ ამბავს, ქება-გინებას... აქვე მოისმენდით სიყვარულისაგან შეპყრობილ არსებათა ტკბილ მუსაიფს, მათ მხურვალე კოცნა-აღერსსაც...

ცოტა მოშორებით ამ ღელეს პატარა ქალა ერთყა, რომელიც ხელოვნურად გაშენებულ ბაღს მოგაგონებდათ. ცოტა შეღამება კმაროდა, რომ ეს ქალა სრულეებით ჩაბნელებულიყო... პოეტის სიტყვები—„უფსკრულნი ჩაბნელებულნიო“, სწორედ ამ ქალას ეკუთვნოდა.

თებრონე, მხარზედ ჩაფ-დადგმული, ამ საღამოს ცოტა გვიან ჩამოვიდა. წყაროზედ სულ ორი სამი

დედაკაცი არ დახვედრია. ამათაც ავესოთ ჩაფეხნი, და მხარზედ იღგავდნენ. თებრონემ ლარს ჩაფი მიუდგა და ქალებს მიუბრუნდა.

— ეშხანო! თუ ქალი ხარ პატარა ხანს მომიცადე! აი, ჩემი ჩაფიც აივსება და ერთად წავიდეთ!

აჰ! არა, გენაცვალე! სახლში ჩემს მეტი არავინ არის. ქალები აფიცებულნი დავტოვე, ვინ იცის, ჩემ მისვლამდის ეგებ სულაც დამეწვენ. უპასუხა ეშხანმა.

— აბა, შენ მაინც მომიცადე, ეპრაქსია! მიუბრუნდა მეორეს თებრონე.

— თებრონე ნუ მომიკვდება, აკვანში ჩაკრული ბოვში, ცეცხლის პირას, ჩემ პატარა ცუცყას ამარა დავტოვე, თორემ ხომ იცი შენთან ყოფა მე არ მომწყინდება. სთქვა ეს ეპრაქსიამ და ორივე გზას გაუდგნენ...

თებრონე წყაროზედ მარტო ყოფნამ მთლად ოცნებად გადააქცია. ბნელდებოდა, ჩაფი წყლით დიდი ხანია ავსებულიყო, ის კი იღგა და ერთს დანიშნულს წერტილს გაშტერებული დასცქეროდა. უცებ რალაცაზედ შეჰკრთა, ოცნებიდგან გამოიჩინა. სავსე ჩაფი ლარს მოაშორა და გვერდზედ გადადგა. თვითონ ფეხსაცმელი გაიძრო და გახურებულ ფეხების ცივ წყალში ჩაწყობას აპირებდა, რომ უეცრივ შეჰკივლა, კაბის კალთა ტიტველ ფეხებზედ გადაიფარა და სანამ „ვინ ხარ“-ს მოასწრებდა, ბერძნის აღელვებულ მკერდში იყო ჩაკრული და ბერძენი სიცოცხლით სავსე ტუჩებს გრძნობიერად უკოცნიდა...

თებრონე გვიან მოვიდა გონზედ. მისი გულისცემა შორს ისმოდა. მის ფეროვან ლოყებზედ დიდი სულიერი მღელვარება აღბეჭდილიყო. თვალების წამწამებში რამდენიმე ცრემლი გაჰკროდა და თებრონე

სრულებით მზად იყო ეს სიამოვნება ტირილით მოერწყო და მით გული დაემშვიდებია, მაგრამ ბერძენმა თებრონე გვერდით მოისვა.

— თებრო! ჩემო სულზედ უტკბესო არსებავ! რას გაჩუმებულხარ? რატომ ეგრე საშინლად გიძგერს გული? რას შეუშინებხარ? დღეის დღიდან შენ ჩემი იქნები. ფული ტომრობით გექნება... ისე გაცხოვრებ, როგორც ხელმწიფის ქალს... მაშ რად ხმას არ მცემ?... ეუბნებოდა ბერძენი.

— მე შენთან ბევრი სალაპარაკო მაქვს. წამოილაპარაკა ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ თებრონემ. მხოლოდ აქ ადგილი არ არის. ვინ იცის, ეგებ წყალზედ ვინმე ჩამოვიდეს. აი, იმ ხის ძირში ვერავინ შეგვხვდავს. ბნელა. იქ მივიდეთ, უთხრა ათრთოლებულის ხმით თებრონემ.

— დიდის სიამოვნებით, ჩემო ანგელოზო! უთხრა ბერძენმა და ცრემლით სავსე თვალები გრძნობით ამოუკოცნა.

— მე დღეის დღიდან შენი ვარ! შენს მეტს დღემდის არ უხილავს ჩემი უმანკოების სიტკბოება. შენს მეტს არ აუხდია ჩემთვის ის ღირსება, რითაც ამაყობს, რაც დაუფასებელ განძად მიაჩნია ჩემებრ სოფლის გაუთხოვარ ქალს. დღეს გთხოვთ, ჩემი ცოდვა არ დაიდოთ, თქვენის ხელით დანით კისერი არ გამომჰკრათ, არ გამომაქვეყნოთ! ასე გაუპატიურებული არ დამტოვოთ! მომეცით სიტყვა რომ კანონიერ ცოლად შემირთავთ. დაუჩოქა თებრონემ და ცრემლებით შესტირა.

— მე ქრისტიანი ვარ! ბერძენი პირველი ქრისტიანია. მე ღმერთს მოგცემ თავდებად, არ შეგარცხვენ

და კიდევაც კარგად გიპატრონებ. აი, დღეს ეს წაიღე. რომ გამოგელიოს კიდევ მაცნობე, უთხრა ბერძენმა და თებრონეს ას მანეთიანი უბეში ჩაუკუშნა.

— არა, მე შენი კანონიერი ცოლობა მინდა და არა ფული. ფული თავში იხალე. ფულს მაშინ ექნება გემო, როცა ჯვარს დავიწერთ, შენი კანონიერი მეუღლე ვიქნები... მომეცი სიტყვა, რომ შემირთავ, თორემ ჩემი სიკვდილით შენ არაფერი შეგეძინება. კიდევ გაუმეორა თებრონემ.

— ოჰ! ღმერთო! რა ჯიუტი ქალი ყოფილხარ, ჩემო თებრო! გაძლევ, გაძლევ სიტყვას! ოღონდ შენ დამშვიდდი ჩემო გვრიტო! უთხრა ბერძენმა და კიდევ ამოუკოცნა კოკობი ტუჩები...

— სად იყავი, შვილო! ამდენ ხანს რად დაგაგვიანდა? მე შენმა შიშმა კინალამ გადამრია!.. შემოეგება თებრონეს დედა ეზოში და ჰკითხა.

— სად ვიქნებოდდი დედა ჩემო! განა არ იცი ჩვენი წყაროს ამბავი? ქალები ბევრი იყო. ხომ იცი ღარში წყალი ცოტა გადმოდის, ჩაფები გვიანობამდის არ ივსება. მიუგო თებრონემ.

ჰოო! მე მეგონა, შვილო, მარტო იყავი, თორემ სხვებთან ქე რა გიპირდა?! უთხრა დედამ და მხრიდგან წყლიანი ჩაფი ჩამოართვა.

თებრონე კაი ხანს არ შესულა სახლში. ეშინოდა სულის მღელვარება სახეზედ არ შემეტყოსო. დიდხანს არ დამშვიდებულა მისი აღელვებული გული. თებრონეს ვახშმის გაწყობაში არაფერი მონაწილეობა არ მიუღია. მხოლოდ ვახშმად კი დაჯდა, მაგრამ ქამით კი ბევრი არა უქამია რა...

## VI.

—რა გიყო ჩემო თამაზა! სულით და გულით მსურს დაგეხმარო; მინდა შენი თავი მტერს არ დავაჩაგვრიო, მაგრამ რა ვქნა, შეძლება ნებას არ მაძლევს. ის ორიოდღე გროში, რაც დღემდის ავიღე—ყველა სამხანაგო თანხად შევიტანე. რაც შარშან სამხდვარ გარედ ქვა გავგზავნე—ფული ჯერაც აუღებელი მაქვს. ამხანაგებს სირცხვილით თვალითაც ვერ ვეწვენები. მხოლოდ ერთი ეს შემიძლია: მიხაკო, თუ ღმერთმა სალდათობას გადაგიჩინოს, —ჩამომიყვანე და ჯამაგირში ჩავაყენებ. ბოლოს, ვინ იცის, ეგებ ისიც კაცი დარჩეს!

ასეთი ტკბილი სიტყვებით და სავსე იმედებით უხვევდა თავს ერთს საღამოს გოგია ცბიერადვე თავის ნათლის მამას.

—თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ნათლიას ქირიმე, ჩემი ოჯახის დედა-ბოძი მიხაკო არის. ამ მოხუცებულობის დროს ჩემი უკანასკნელი იმედი ის-ღაა. ის რომ სალდათად წამართვან—მე სახლის კარი უნდა გამოგვეტო და ცოლ-შვილით სხვის კარის კარს ვიარო. მუშაობა აღარ შემიძლია, ნათლიას ქირიმე; დაჯდები ადგომა მიჭირს და ავდგები დაჯდომას ველარ შევძლებ, თუ ხელით არავინ დამაჯინა. ერთი ხნის კაცი გახლავართ. ამას წინად ჩვენი სოფლის მწერალთან გახლდით, რჩევა ვჭკითხე. უშველოს ღმერთმა ქრისტიანული რჩევა მომცა. თუ რამეს დახარჯავ, საღავათი გაქვს და შვილს დაიბრუნებო. ახლა, ხომ მოგეხსენება, ფული ჩვენისთანა გაჭირვებულს ვინ მისცა. თუ რამე ქვა მაქვს, თქვენც იცით, გაუყიდელი მაქვს; გავყიდი და თქვენსას მოგართმევთ. ოღონდ ახლა ნუ



გამაყიდვივით, რადგან ყველა ხელს მიჭერს, ყველასთან ერთად უნდა—გაყიდვა მენანება. ოცდა ათი თუმანი ექიმს უნდა მივსცე და დანარჩენი გამრიგეთ. სულ 400 მ. მჭირია. უთხრა თამაზამ.

თამაზას სიტყვებმა გოგიას თვალის წინ გადაუშალა მთელი მისი ნამოქმედარის სურათი, რომელზედაც დიდის ასოებით ეწერა სიცრუე, ღალატი, გაიძვერობა. ეს სურათი დღემდის საიდუმლოების ბურუსით იყო გარემოცული. დღეს კი ყველაფერს ფარდა ეხდებოდა და საიდუმლო კარები იღებოდა. მისცეს ფული თამაზას თუ უარით გაისტუმროს,—აი კითხვა, რომლის გადაწყვეტასაც შეეპყრო გოვიას გონება. სასამართლოდგან გამოტანილი „ლისტი“ გოგიას სისრულეში არ მოუყვანია, დღესაც ჯიბეში ეგდო. მიხაკოს შიშით მას ბოქაულის წაყვანა ვერ გაებედნა. „ის წყეული სრულებითაც არ ჰგავს დამონავებულს და დაჩაგრულს გლეხის შვილსო“. ჰფიქრობდა გოგია მიხაკოს შესახებ. „მივსცე—დაკარგულია, არ მივსცე — ქვას გაყიდის, მე ხომ მამული ჯერ არც კი, ჩამიბარებია! მაშ, ჯერ საჭიროა, რომ მიხაკო რამე ფრად ოჯახს მოვაშორო! იფიქრა გოგიამ და თამაზას მოუბრუნდა.

—კარგი თამაზა! ხვალ ან ზეგ ჩამოდი და ვეცდები გიშოვნო.

—თქვენი წყალობა ღმერთმა ნუ მოაკლოს ჩემს საწყალ ოჯახს! გმადლობთ შენი ქირიმე, გმადლობთ! მიუგო თამაზამ და გამოემშვიდობა გოგიას.

რაც გოგია კოტათი წამოიზარდა, მინაყმობიდან განთავისუფლდა, გარედ გავიდა და წუთი სოფლის აკარგი შეიტყო სულ იმ აზრისა იყო, რომ აღამიანმა ყველთვის შემთხვევით უნდა იპარგებლოს, თვისი თავი

დააწინაუროსო. ამას თუ მოქმის ღალატი მოჰყვება, ეს ხომ, გოგიას აზრით, ბუნების წესია, რადგან ერთის ბედნიერება მეორეს უბედურებიდგან მომდინარეობსო. ამ გვარის მიმართულების მიმდევარი გოგია, მუდამ იმას ჰფიქრობდა, ნივთიერად წელი გაემაგრებია, ფეხი წამოედგა და ამის გასახორციელებლად ღვიძლ ძმასაც არ დაინდობდა.

იმ დროს, როდესაც მადნებში ბერძენი სიყვარულის განცხრომაში იყო, გოგია ზ — ში თავის საქმეებს აწყობდა.

— ხომ იცი, შვილო, ერთი ღარიბი კაცის შვილი ხარ! მამა შენი შენის იმედით სცოცხლობს. მეც შენთვის დიდი სიკეთე მსურს. თუ დამიჯერებ, კაცი დარჩები. დღეს აი, ეს სასწორი შენთვის ჩამიბარებია. ისარგებლე. ეს ევროპიული სასწორია. ჩვენებური გლეხი ამისას ვერას გაიგებს. თუ ძალიან არ ეცადე, ისე ფულს ვერ მოიგებ! ასე არიგებდა ერთს დილას გოგია ცბიერადე თავის ნათლულს და თან ევროპიულ სასწორზედ ქვის წონას ასწავლიდა. მიხაკოც იდგა და მთლად სმენად გადაქცეულიყო. გოგიას წასვლის შემდეგ მიხაკო ნათლია მისის ნათქვამმა სიტყვებმა დააფიქრა: «ისარგებლე, ეცადე, ისე ფული არ იშოვება და სხ. ნეტა რას ნიშნავს ეს სიტყვებო!» ფიქრობდა მიხაკო თავისთვის. მიხაკოს უმანკო და გამოუცდელ გონებას ვერ მიეხწია იმ გაგებამდის, თუ რა სიბრძნე იხატებოდა ამ სიტყვებში. მაგრამ ცხოვრების შკოლამ ისიც მალე გაწვრთნა, თავის დარეჯაკში გაატარა და დიდ ხანს არ გაუვლია, რომ მთელი შავი ქვის არე-მარეში გოგიას მწონელს დიდი სახელი გაუვარდა. მიხაკოს ვერაგობამ, მზიდველ გლეხების წონაში ცარცვა-გლეჯამ მმართველობის ყურამდისაც მიაღწია. ვერც ჯანდრების დაყენებამ, ვერც განგებ ამორჩეულ

პირების თვალ-ყურის დევნამ გლეხების სატკივარს ვერა უშველა რა. თვალყურის მდევნელებაც იმათ მიეკედლენ ვინც მეტი საკენკი დაუყარა. ქვის მზიდველები ისევ იმ მდგომარეობაში იყვნენ. და გოგია კი სხვის ნაშრომით ჯიბეს იტენიდა. მიხაკო პირველ მწონელად ითვლებოდა შავი ქვის სამეფოში. შავი ქვის მწარმოებლები გოგიას ხარბის თვალთ უყურებდნენ. „ნეტავი იმას, ვისაც გოგიასთანა მწონელი ჰყავსო!“ თავის მწონელების გასაგონლად იტყოდნენ ხოლმე მრწველები.

მიხაკოს ბევრმა მოუმატა ჯამაგირი, მაგრამ გოგია, ნათლიაც რომ არ ყოფილიყო, ვის გაატანდა, თავს ვის დააჯაბნიებდა?!

გოგიას სიმდიდრე დღითიდღე მატულობდა. ამ გვარად ნაშოვარი ქვა ყველა თავის საკუთარს სახელზედ იგზავნებოდა. ამხანაგებს იმაში ხელი არ ჰქონდათ. ყოველ გვარი საანგარიშო დავთრები გოგიას ხელში იყო. ქვის ანგარიშს დრო-გამოშვებით აძლევდა ხოლმე გოგია თავის ამხანაგებს. გოგიას ასე უცებ ნივთიერად ამალლება ყველასათვის თვალ-საჩინო შეიქმნა. ამხანაგებმაც ექვის თვალთ დაუწყეს ყურება. გოგია კი ყურებსაც არ იბერტყდა, რადგან კარგად გრძნობდა, რომ ახლა თავი ქუდში ჰქონდა. მიხაკო წლოვანებით თუმცა სულ ახალგაზრდა იყო, მაგრამ მისი სქელი ფართე ბეჭები, მალალი სახტი ტანადობა და ღრიალა ბოხი ხმა შიშის ზარს დასცემდა ხოლმე ქვის მზიდველ გლეხებს, თუ როდესმე გაურისხდებოდა და გაჯავრებული შეუტყვედა.

წვრილ-ფეხა პოლიციის მოხელეებს რამდენჯერმე შეუდგენიათ მიხაკოსათვის ოქმი, მაგრამ დანიშნულ ადგილამდის არც ერთს არ მიუღწევია, რადგან გოგიას პატივისცემით თითქმის ყველა ყელამდის მიძღარნი ბრძანდე-

ბოდნენ. „კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო“, ამბობს ქართული გონიერი ანდაზა. გათამამებულ მიხაკოსაც გაუჩნდნენ მტრები; პოლიციის ბოქაული მტრულის თვალთ უყურებდა მიხაკოს. ბოროტი ენები ამის მიზეზად გოგიას დაპირების შეუსრულებლობას ასახელებდნენ.

„მაშ თუ ასეა, უღვაშაც არ მესხმის, თუ ორივეს მახეში არ გავაბავო“. დაკვება ერთ დღეს ბოქაულმა და მიხაკოს მოქმედებას საიდუმლოდ თვალ-ყურის დევნა დაუწყო.

დილა იყო. მზე მორცხვად იქყიტებოდა აღმოსავლეთის ლაქვარდ ცის უფსკრულში. შავად დასვრილ-დათითხნილი ურმები გარს ერტყა მიხაკოს და სასწორზედ ქვას ღებულობდა. სულ ათი ურემი არ ექნებოდა აწონილი, რომ პოლიციის ბოქაული ყაზახებით თავს დაესხა და სასწორი გაუჩხრიკა. სასწორი და მიხაკო ერთი საათის იქით პოლიციაში იყო. საქმე გამომძიებელს გადაეცა. საქმის გარემოების შეტყობამდის გამომძიებელმა მიხაკო სატუსალოში დააკავა და გოგია ცბიერაძეს ჩვენება ჩამოართვა. გოგიამ გაიძვერულად მთელი დანაშაულობა მწონელს გადააცხო: «მე სასწორზედ მწონელი მყავს, მას ჰკითხეთ, მე ამ საქმის სრულებითაც არაფერი არ ვიციო!» მიუგო გამომძიებელს გოგია ცბიერაძემ.

გამომძიებელმა გოგიას სიტყვები საბუთიანად იცნო და მიხაკოს უფრო მაგრად ჩაჰკიდა ხელი. მიხაკო პირველ ჩვენებისათანავე დაკავებული იყო. სატუსალოში მიხაკო კაი ხანს იჯდა. მას ვერ გადაეწყვიტა საქმის ვითარების დაწვრილებით მოყოლა გამომძიებლისათვის. ის ყოველ კითხვაზედ მოწყვეტილ პასუხს აძლევდა გამომძიებელს: „არ ვიცი, ბატონო, ჩემი ბრალი არ არის და სხვ.“

გამომძიებელი ბევრსაც არ ჩაჰკითხებია, რადგან სთქმის ისედაც ნათლად და აშკარად იყო ახსნილი. მიხაკო გამოძიებელმა დამნაშავედ იცნო. ის დიდხანს ელოდა გოგიას მოსვლას სატუსალოში, ელოდა მისგან დარიგებას, სწორ გზაზედ დაყენებას... მაგრამ გოგია კი ამ დროს სიხარულის მორევში სცურავდა. მიხაკოს შველა გოგიას ხელს არ აძლევდა. გოგიას მიზანი ახლოს იყო. თავის ნათლულის დაკავების დღიდგან გოგია ზ—ნს არ გაჰკარებია. მადნებში გაექანა და იქ თავისი გაიძვერული ფრთები გაშალა. გოგიას ამგვარმა საქციელმა მიხაკო მოთმინებიდან გამოიყვანა და ნაღვლით სავსე თავისავე გულს ასკდებოდა.

ერთს დილას გამომძიებელი სატუსალოში მივიდა. „ახლა კი არც მე დავზოგავო“! სთქვა მიხაკომ და გამოძიებელს ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა.

—ეს მეხუთე წელიწადია, ბატონო, რომ ნათლია ჩემთან ვდგევარ მწონლად. რადგან მისი ხელით მონათლული ვიყავი, მეც მშობლურის იმედებით შეგვყურებდი. მისი სიტყვა, მისი დარიგება ჩემთვის ქეშმარიტება, კანონი იყო. მის დარიგებას გვერდს ვერ აფუვლიდი. შეუსრულებელს ვერ დავტოვებდი. მუდამ მის ფიქრში ვიყავი: ნათლია ჩემს რა ვასიამოვნო მეთქი. ქვის საწყობ ადგილს გვერდით რკინის გზის ლიანდაგი ჩაურბენდა. მეორე მხრით, ცოტა მოშორებით პატარა ჩავარდნილ-ჩაფერდებული ბრეკი ეკრა და ამ ჩაღრმავებულ ადგილას მუდამ წყლის წუმპე იდგა. ეს პატარა ტბა წვიმის დროს იმატებდა და სამ ოთხ თვეს იმ ადგილას წყალი დგებოდა. პირველ დღეებში ჩემს მოვალეობას იმ ტბიდგან ღამ-ღამობით წყლის ზიდვა და დატვირთულ ვაგონებში შავ ქვაზედ დასხმა შეადგენდა; რამდენს მეტს დავასხამდი,

იმდენი წყლით გაქენთილი ქვა მძიმე გამოვიდოდა ფრთ-  
ში, აწონის დროს და მძიმე საქონელის სასყიდელიც  
მძიმე გამოვიდოდა... ამ თანამდებობას წელიწად ნახევარი  
გულ-მოდგინედ და ერთგულად ვასრულებდი. რისთვის-  
საც ნათლია ჩემმა დამაჯილდოვა და ღამის ყარაულად და-  
მნიშნა. ღამ-ღამობით ყარაულებს ერთმანეთისათვის ქვა  
უნდა მოგვეპარა და ჩვენი აღის ჯიბე გაგვეტენა. მეც ამ  
გვარად ვზრუნავდი ნათლია ჩემის სასარგებლოდ. როცა  
ამ გვარებში სიყოჩაღე შემატყო ყალბი სასწორი გამიწყო  
და მწონელად დამაყენა.

—კარგი, კარგი! კმარა, რაც სთქვი ყველა შენვე  
გამტყუნებსო! გააჩერა მიხაკო გამომძიებელმა და ცოტა-  
ხნის შემდეგ სატუსალოდგან გამოვიდა.

მეორე დღეს ზ—ის რკინის გზის სადგურზედ ხიშ-  
ტიანი რუსები გარს ერტყა მიხაკოს და ქ—ის დიდ სა-  
ტუსალოში მიჰყავდათ.

## VII.

შემოდგომის დამლევნი იყო. ხშირს წვიმებს ზემო იმე-  
რეთის ვიწრო და მიხრილ-მოხრილი გზები კიდევ უფრო  
ძნელ გასავლელად გაეხადა. თუმცა ახალი შეღამებული  
იყო, მაგრამ ღამის გუშაგი თავის ნათლით სავსე ღვთიურ  
სხივებს უხვად ჰფენდა გარშემო მიდამოს. მთვარის ბრწყინ-  
ვალე შუქზედ ადამიანს კარგად შეეძლო თავისვე მგზავსი  
ადამიანი გამოეცნო. სულ საათ ნახევარი არ იქნებოდა,  
რაც თამაზა თავის სახლიდგან მძიმე საგზლით დატვირ-  
თული, დაღონებული გამოვიდა და გზაში თავის მეზობელს  
გეგენას წამოეწია. რამდენიმე ვერსი ექნებოდათ გავლილი,  
რომ წინ ორი უცხო ცხენოსანი შემოეგებათ. სანამ დაკ-

ვირებით არ დააშტერდნენ—ვერც ერთი ვერ იცვნეს: იფიქრეს ქვის მზიდველები არიან და აქ შემოლამებიათო. მაგრამ მთვარის სხავეებზედ მოძრიგებელ სასამართლოს ბოქაულის ბრჭყვიალა ფოლაქებმა უცებ გააცნო მათ ეს უცხონი.

—გეგენა, იცი? ეტყობა ვილაც ჩინონიკია! უთხრა გეგენას თამაზამ.

—როგორ? ვერ იცანი? ეგ ხომ ჩვენი „პრისტავია“ კაცო!

—მერე, ნეტავი სად მიდის? ეგ მეორე ვილა იყო?

—ვერც ეგ იცანი? მაშ, ცნობა დაგკარგვია, ჩემო თამაზა!

—რა ვჰქნა, ძმაო! ცნობა კი არა ჩემი შვილის პატრონს ან სული რად მიდგია? ან ცოცხალი რადა ვარ! ოხ, ღმერთო, შენ ჰკითხე გოგია ცბიერაძეს!!! ამოოხვრით სთქვა თამაზამ.

—ეგ, მეორეც, შენი ნათლია კაცი, გოგია ცბიერაძე ბრძანდებოდა. განაგრძო გეგენამ. ვინ იცის, ვის აუტირებს ხვალ ცოლშვილს?!!

ღმერთო შენ დაუბნიე მაგას გზა და კვალი! დღესაც ხომ მხედავ, ჩემო გეგენა! ამოდენა ხნის კაცს ზურგზედ მძიმე საგზალი მომიდგია და მაგის გაოხრებულ საქმის გამოსაკეთებლად მივჩოჩავ. შენც გაიგონებდი, გეგენა ჩემო, მიხაკო მაგის შემწეობით გამომძიებელმა დამიკავა და მივდივარ ეგებ თავდებ ქვეშ მაინც გამოვიყვანო—ვუშველო რამე.

იმ დროს, როდესაც მოხუცებული თამაზა ჯოხზედ დაყრდნობილი, თავშიშველი იდგა გამომძიებლის ოთანის კარებში ღ მის მოსვლას ელოდა—გოგია ცბიერაძეს სასამართლოს ბოქაული მიეყვანა, მთელ თამაზას შავი ქვის ადგი-

ლებს სწერდა და გოგიას აბარებდა. თამაზას მეზობლები გუნ-  
ვიფრებით შეჰყურებდნენ ამ გვარ გათახსირებას და ერთ-  
მანეთს ეკითხებოდნენ: „ბიჭო, ნეტა, სად შექამა თამაზამ  
ამდენი ფულიო?!“ ზოგიც ექვით უყურებდა გოგიას მოქ-  
მედებას და თავის ქნევით ამბობდა: „არა, ძმაო! აქსულ  
სხვა რამე უნდა იყოს! აქსულ გოგიას ხრიკები იქნებაო“.

— რად კადრულობთ, ბატონო ნათლია, ამ გვარად  
ჩვენს აოხრებას?! არ იკმარეთ განა, რომ მიხაკოს დაკარ-  
გვით დამდაგეთ, ახლა მთელს ოჯახსაც მინგრევთ—მი-  
ოხრებთ?! თვალვებ-ცრემლიანი და თმა-გაწეწილი შეპტი-  
როდა გოგიას თამაზას ცოლი. განა ეს სამართალია?! განა  
ღმერთი ჩვენს სიმართლეს და სისაწყლეს არ უყურებს?!  
გვადროვეთ მაინც, ჩემი ქმრის მოსვლამდის?! ვეღღრე-  
ბოდა გოგიას დაჩოქილი ნათლის-დედა.

მაგრამ თამაზას ცოლის სიტყვებმა გოგიას გაქვავე-  
ბულ გულის სიღრმეში ჩაწოლილი გაცივებული გრძნო-  
ბები სრულებითაც ვერ შეანძრია. მან ვერ შესძლო  
გოგიასაგან რაიმე სიბრალოული გამოეწვია. ის  
იღვა, იუდას პირის სახის გამომეტყველება მიეღო და  
ბოქაულის მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებდა. გარეგნო-  
ბით გოგია სრული ბედნიერი იყო. აუარებელი შავი ქვის  
ადგილები ხელში ჩაიგდო, მაგრამ ვინ იცის, განგება რა  
წამების გვირგვინს - უწნავედა მას?!... ამის შემ-  
დეგ რამდენიმე დღემ გაიარა. გამომძიებელმა თამაზას  
ათასი მანეთის თავდები მოსთხოვა. გამომძიებლის ამ გვა-  
რი გარდაწყვეტილება პირ-და-პირ უარის თქმას ნიშნავდა,  
რადგან თამაზასთვის ათასი მანეთის თავდები ძნელი სა-  
შოვარი იყო. თამაზას ერთად-ერთი იმედი ქვა იყო. «და-  
ვაგირავებ ან გავყიდი და მიხაკოს იქ მაინც არ გავაჩე-  
რებო“. ფიქრობდა თამაზა გზაში. გადასული ვახშობდა

იქნებოდა, რომ თამაზას ეზოში ძაღლებმა ყეფა შექნეს. ძაღლების ყეფაზედ თამაზას ცოლი კარებზედ მოადგა. ეზოში შემოსული თამაზა ძაღლებმა სუნით იცნეს, გარს შემოერტყენ, ხმა გაკმიდეს და სიამოვნების ნიშნად კუდის ქნევით წუწკუნნი დაიწყეს. თამაზას ცოლმაც ეჭვი აიღო; ალბად ჩემი ქმარი იქნებოა, რომ თამაზა დერფთანში კიდევ შემოსულიყო.

თამაზას მოხუცებულობისა გამო დანაოქებულ პირის სახეს რაღაც ნაღვლიანობა ეტყობოდა. შინ შემოსვლისათანავე სკამ-ლოგინზედ ჩამოჯდა და ყალიონი გაიწყო. კაი ხანს ისხდნენ გაჩუმებულნი, თითქო ერთმანეთს რაღაც საიდუმლოს უმაღავენო. თამაზამ ცალმხრივ გადახედა თავის მეუღლეს. მისი ნამტირალი თვალები რაღაც სევდით იყურებოდნენ. მის სულიერ მოძრაობას პირის სახეზედ აღებეჭდა მღელვარების კვალი. თამაზას ამ გვარი ცვლილება, თუმც მაშინვე თვალში ეცა, მაგრამ ყველაფერი მიხაკოს გამო მწუხარებას მიაწერა: „დედის გული გრძობიერია, შვილის ტანჯვას ვერ აიტანსო“; ფიქრობდა თამაზა თავისთვის. მაგრამ თან ესეც აკვირებდა, რომ მიხაკოზედ დედა-მისი არაფერს არ ჰკითხულობდა.

ქალო, რად დაღვრემილხარ ასე? რატომ არაფერს ამბავს არ მეკითხები?

შვილო, მიხაკო! სად მყავხარ; დედა გენაცვალოს, რომ შენი ოჯახის უბედურობას არ უყურებ! სთქვა და გადმოუშვა ცხარე ცრემლები. წართალა, რა ჰქენი კაცო, მოეხმარე რამეს?

— იმას კი ვუშველი, მაგრამ შენ რას შეუწუხებიხარ ასე?

მე ის მაწუხებს, რომ შენ ასე საიდუმლოდ საქმეებს აკეთებ და მე კი არაფერს არ მეუბნები. ერთი შვილი



დამიკარგე, სხვა შვილები შინ მშიერ-მწყურვალნი მძინარენ და ადგილ-მამული კი გოგია ცბიერადეს ჩაუყარე ხელში!

—რა მამულიო, ქალო? სიზმარში ხარ თუ ცხადში? ჰკითხა თამაზამ თავის ცოლს.

—ახლა კითხულობ? თითქო არ იცი?! გუშინ გოგია „პრისტავი“ მოიყვანა და მთელი ჩვენი ადგილები ჩაიბარა.

რას ამბობ ქალო? მე ხვალვე „პრისტავთან“ ჩავალ, ყველაფერს დაწვრილებით გავიგებ. აქ სულ სხვა ნაირად იქნება საქმე. მე ერთი ნაკვეთი ადგილი მივპყიდე, მთელს მამულს ვინ წამართმევს. თუ რამე ეშმაკობაა, ცეცხლათ გადავსწვავ, ცეცხლით გოგიასაც და სილიბისტრო ხრიკაძესაც?! უთხრა თამაზამ თავის მეუღლეს.

—შენ როგორც გერჩიოს ისე იფიქრე და საქმე კი ასეა! მიუგო ცოლმა.

თამაზა, თუმც დასაწოლად მოემზადა, მაგრამ მის თვალებს ძილი არ ეკიდებოდა. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ მის დამწვარს გულს ზედ კიდევ დუღარე დაასხა. იმის გონებას ვერ წარმოედგინა თუ რანაირად შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. მტრედის ფრად თენდებოდა, რომ თამაზა სოფლის გზას ადგა და ბოქაულთან მიდიოდა. იმ დღეს ბოქაულიც ადრე ამდგარიყო: აივანზედ იდგა და ეზოში მოსტკრიალო ქათმებს გადმოჰყურებდა. ქათმები სიმინდის მარცვლებს დასეოდნენ, ერთმანეთს პირიდგან ლუკმას გლეჯდენ, ზურგზედ ახტებოდნენ, ნისკარტით თავში სცემდნენ და ომობდნენ. ბოქაული კი ზევიდგან დასცქეროდა და რალაც ფიქრებს გაეტაცა: «აი ბრძოლა არსებობისათვისო, ნუ თუ ჩვენც, ადამიანები, ასე არ ვიქცევით?! ვინ იცის რა ხრიკებს არ ეხმარობთ, რა სინდისის სიმდაბლეს არ ვკადრულობთ, რომ რამე ფრად

მოძმის სიკეთით ვისარგებლოთ და მუცელი მუდამ მშრალი დაგვქონდესო!“ ამის ფიქრში იყო რომ უცებ კაცის ფეხის ხმაურობა შემოვსმა, ოცნებიდან გამოიკვია და წინ თავმოხრილი თამაზა დაინახა. თამაზამ ბოქაულს მოწიწებით თავი დაუკრა.

—რა ამბავი? რაზედ მოსულხარ ასე ადრე? ჰკითხა ბოქაულმა.

—რაზედ, შენი ქირიმე და მეუბნებიან გუშინ გოგია ცბიერაძემ შენი ადგილი ჩაიბარაო. რაშია საქმე, ბატონო? გთხოვთ გამაგებოთ. მე გოგიას მარტო ერთი ნაკვეთი ადგილი მივჰყიდე, სადაც დღესაც მუშაობენ. მეტი მასთან არაფერი საქმე არ მქონია. უთხრა ათრთოლებულის ხმით თამაზამ.

ბოქაული შინ შებრუნდა, საქმეები გაჩხრიკა და თამაზას გამოუცხადა:

—შენ და გოგია ცბიერაძეს ზიარი ადგილები გქონიათ. მედიატორის წესით გაყოფილხართ და მედიატორეს მთელი მამული გოგიასათვის მიუსჯია. მისი გადაწყვეტილება ძალაში მოსულა და გუშინ ადგილები ჩაიბარა. შენ თვითონ მიგაცია, ვისი რა ბრალია?!

—ვაი ჩემო წვრილო ცოლო და შვილო, დაღუპულს ოჯახო! ირტყა თავში ხელი და უნებლიედ თვალეზიდვან ცრემლები გადმოცვივდნენ. ღმერთო! ღმერთო ზეციერო შენ ჰკითხე სილიბისტრო ხრიკაძეს. ეს სულ მისი ოინებია! ვაი, ვაი, ვაი! იცემდა თავში ხელს და ოხრავდა.

—ახლა რა ეშველება შენი ქირიმე! რაღა დავიჯერო ამ საქმეს თავი არ მოვევლებოდეს, ჩემთვის სამართალი გასწყდეს?! ჰკითხა თამაზამ ბოქაულს.

— რასაც ტყუილად არ დაიხარჯები, ჩემო ძმაო, ამ საქმეს შენ ვეღარ დაარღვევ. ისევ გირჩევნია, გოგიასვე დაუჩოქე, თავი შეაბრალე და ეგებ რამე მოგცეს... უთხრა თამაზას ბოქაულმა და ოთახში შებრუნდა.

თამაზა ბოქაულის რჩევამ მაინც ვერ დააკმაყოფილა. ადგილობრივ სასამართლოში, ლუბერნატორთან და პროკურორთან ყველგან ქალაქი შეიტანა, მაგრამ ყველამ ერთი და იგივე პასუხი მისცა: „შენვე მიგიცია, ვადა გაგსვლია, ვისი რა ბრალიაო!“

თამაზა ასე მოულოდნელმა უბედურებამ წელში გატეხა, სასოება დაუკარგა, და ყოველ მხრივ იმედ-მოწყვეტილი დაემორჩილა ბედს.

## VIII

შავი ქვის წარმოების დღიდგან გოგია ამხანაგად ითვლებოდა ვაჭარ ბერძენთან და სტეფანე დიდგულაშვილთან. გოგიას მოხერხებულ მოქმედებით აუარებელი შავი ქვის მადნები ჩაიგდეს ხელში და პირველ წლებში მოგებაც დიდი ნახეს. ამგვარად საქმის დაყენებამ გოგიას სახელი და ნდობა მოუმატა. თავის ამხანაგების თვალში გოგიას თვალსაჩინო ადგილი ეკავა. როგორც ნიჭიერს და დროთა შესაფერს ვაჭარს პატივს სცემდნენ. ეს იყო მიზეზიც, რომ ამხანაგები გოგიას ენდობოდნენ და ანგარიშებს რამდენიმე თვეში ერთხელაც არ მოსთხოვდნენ. გოგია კი ამ ნდობით ბოროტ-მოქმედებდა. მისმა ვერაგობამ და სინიდისის სიმდაბლემ ორივე ამხანაგი მოაშორა. გაყრის დროს გაუწითლებლად ეუბნებოდა ბერძენს: „შენ რომ ვაჭრობა ლამაზ ქმნილებას ანაცვალო, ვისი

ბრალია, დამნაშავე ქე ვინ არის!“ სტეფანეს კი იმდენს ვერ უბედავდა: ამდენ ხანს ხომ კარგი გოგია ვიყავი და ახლა, თუ არ მოგწონვართ, ანგარიში მიიღეთ და მიბრძანდითო!“

ზამთრის პირი იყო. შვერ ქვის მწარმოებლები ნალვლიანის სახით ჩვეულებრივ „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ მაგიერ ერთმანეთს ჰკითხავდნენ:—რა ჰქენი, ქვა გაყიდე? კაი ფასებში მაინც თუ გაყიდე და სხვ. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც მწარმოებლები ქვას ჰყიდიან, პირობებს სწერენ და გაზაფხულზედ ზიდვას იწყებენ. არა ერთხელ წასულა ჩვენი ბერძენი ამ დროს სამზღვარ გარედ ქვის კაი ფასებში გასასყიდლად, მაგრამ ისევ დროზედ დაბრუნებულა. დღესაც, ჩვეულებრივად, გამომზადებულიყო წასასვლელად და რალაც ჩაფიქრებული დადიოდა. თებრონეც თან ახლდა და ისიც ღრმად ჩაფიქრებული ადევნებდა თვალს თვითაეულ ბერძნის ფეხის გადადგმას. თებრონეს აგებულობა ორგვარ გრძნობას შეეპყრო. ბერძნის სამზღვარ გარედ წასვლა ერთ და იმავე დროს სიხარულის გრძნობებსაც ჰძრავდა თებრონეს გულში და მწუხარების ცეცხლსაც უკიდებდა. „ვაი თუ წავიდეს, მეტი ვეღარც კა ვნახო!“ ჰფიქრობდა თებრონე თავისთვის. „მაგრამ არა,—მოვა, ჯვარის დაწერის ნებას მოიტანს, მეც მისი კანონიერი ცოლი შევიქნებიო!“ მაშინათვე დააიმედებდა ხოლმე თავის თავს. ამასობაში მატარებელიც მოადგა რკინის გზის სადგურს. ყველა სიჩქარიან ეძებდა ვაგონებში დასაჯდომ ადგილს. მატარებელი ცოტა ხნის შემდეგ კიდევაც დაინძრა, წასასვლელად მოემზადა, რომ «ვაგონში» ბერძენი და თებრონე ერთმანეთს ჩაკრულნი მხოლოდ დედის უკანასკნელმა ხმამ მოაშორა:

— თებრონე! კმარა, გადმოდი მალე! მატარებელი მიდის, არაფერი მოიწიო!

ეს იყო და ეს. ბერძენი ამ დღიდგან კავკასიას არ უხილავს; შეურაცხყოფილი თებრონე კი მის გარყვნილ გემოვნების მსხვერპლი შეიქმნა... სტეფანე დიდგულაშვილიც მალე გაშორდა გოგიას. გოგია მარტო დარჩა, მაგრამ ამ დროს მის ქონებას რამდენიმე ათი ათასი მანეთის ქვა და ქვის ადგილები შეადგენდა.

ქ — ის ლუბერნიის სატუსალოში, მიხაკომ თითქმის წელიწად ნახევარი გაატარა. რადგან მამა მისმა თავდები ვერ იშოვნა. — მიხაკო საქმის გარჩევამდის რამდენიმე თვე სატუსალოში იყო. სატუსალოში ყოფნამ მიხაკო მთლად გამოცვალა. კაცობრიობაზედ სრულებით გული გაუცივდა. ადამიანის სიბრალულს ანუ რაიმე დახმარებას მის გულში ადგილი არ ჰქონდა. „მეტი გაჭირვება რაღა დამადგებაო, ნათლია ჩემმა გამომიმეტა, მაგრამ არც მე დავაყენებ სიამის დღესო“. ჰფიქრობდა მიხაკო სატუსალოში. მიხაკო თავის იჯახის ამბავს ყველაფერს სატუსალოში ტყობილობდა. მაგრამ რა ექნა, თავს ზევით ძალა არ ჰქონდა, ისევ თავისვე გულს ასკდებოდა. „მამულში ჩავდგები, ვინ დამიშლის, ამიერ წუთისოფელს გამოვავთხოვებ, ქე მაინც იტყვიან თავის მამულში მოიკლა თავიო; თორემ სულ ერთია, უმამულოდ აქ რაღა დასადგომი პირი შექნება?! ფიქრობდა მიხაკო თავისთვის.

შემოდგომის მიწურული იყო. მიხაკომ სასჯელის ვადა შეასრულა. სატუსალოს ტანისამოსი გააძვრეს; მიხაკო შინისაკენ გამოისტუმრეს. მიხაკოს დანახვამ გოგიას უსიამოვნების სხივი მიჰფინა. გოგიამ მიხაკოს რკინის



გზის სადგურზედ მოსვლის დროს მოჰკრა თვალს და  
გვერდი აუარა. მისი დანახვა გოგიასთვის გულზედ ლახ-  
ვარის დაცემა იყო. „უჰ! ქე არ გამოუშვიათ ეს შეჩვენე-  
ბულიო!“ წაილაპარაკა თავისთვის შეშინებულმა გოგიამ.  
დის მდგომარეობა მიხაკოს ცოფიან მგელივით ჰხდოდა.  
გავიდა რამდენიმე ხანი. გოგიამ მანდებში შესწყ-  
ვიტა მუშაობა. მუშაობის შეჩერების მიზეზი მიხაკო შე-  
იქნა. გოგიამ ეს მოქმედება ძალადობად ჩასთვალა, და პო-  
ლიციას აცნობა.

— ჩემია, ბატონო პრისტავო, ეს ადგილი და ჩემ-  
თვის ვმუშაობ. ვის რა უნდა? მოახსენა მიხაკომ ბოქაულს.

— შენ ვინ მოგცა, შე უგნურო? ვერ ხედავ საბუ-  
თები ამას აქვს!? შეჰყვირა ბოქაულმა და მიუთითა გო-  
გიაზედ.

— მაგ, ბატონო, სულ ყალბი საბუთებია, მოხერხე-  
ბულია! უპასუხა მოთბინებიდგან გამოსულმა მიხაკომ.

— თუ ყალბია, დაუმტკიცე და მერე შენი იქნება!  
კიდევ შეჰყვირა ბოქაულმა და დასაჭერად მიიწია. მიხაკომ თავი არ დაანება და გვერდზედ გაუდგა.

— ეს, ბატონო, იმან მითხრას, ვინც დაისაკუთრა  
ჩემი ადგილები! ნათლია ჩემმა მიბრძანოს და მას ვაგებ  
პასუხს. უთხრა მიხაკომ.

— განა ექვში ხარ, რომ ადგილები ჩემია?! თუ არ  
გჯერა, აჰა, საბუთ... არ დაუსრულებია გოგიას უკან-  
ასკნელი სიტყვები, რომ მიხაკოს ბასრი ხანჯალი ბოქა-  
ულმა მუცლიდგან ძლივს ამოაძრო და გოგია ცბიერადის  
გვაში უგრძობლად დედამიწას შოლტივით გაეკრა.

189... წ. ქ—ის ოლქის სასამართლომ გარჩია  
გოგია ცბიერადის მკვლელობის საქმე და მიხაკოს ციმა-



## მეფე ერეკლე.

(საისტორიო მასალა).



ამა ერეკლე მეფისა, მეფე თეიმურაზი, 1761 წ. რუსეთს გაემგზავრა. იქ იგი დიდის პატივისცემით მიიღეს. გზაზე ჯარი დაახვედრეს და ახლად შედგენილი ქართული „მარშიც“ დაუკრეს მუსიკით. მეფე თეიმურაზი რუსეთში გარდაიცვალა. მის გამგზავრების შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფედ ერეკლე გამოცხადდა. ამ გარემოებით ისარგებლა ერეკლე მეფემ და ქართლი და კახეთი დააკავშირა ერთ სკიპტრასა და ტახტის ქვეშ.

მას შემდეგ, რაც საქართველო ვრდომილებას მიეცა, ქართველთ მეფენი საქართველოში ქრისტიანულის წესით არ აღიოდნენ სამეფო ტახტზე, არამედ სპარსულ-ოსმალურის ანუ მაჰმადიანების წესით. ამის წინააღმდეგ წავიდა მეფე ერეკლე. ეს პირველი მაგალითი იყო. ამან ისურვა ქრისტიანულის წესით დავირგვინება, ქართველთა მეფეთა ჩვეულებით ტახტზე ასვლა და კურთხევა. ვიდრე ტახტზე ასვლა და კურთ-



ხევა მოხდებოდა, მანამდე მეფემ თავის განზრახვა და თათბირი ერს განუზიარა.

მეფის განზრახვა მთელს ქართველობას გაეხარდა, ქართველთ შორის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დანიშნულს დღეს, მეფე მთელის ერთ და დიდებულებით გიმოცხადდა მცხეთის ტაძარში, დაგვირგვინდა და სამეფო ტახტზედ აღვიდა დიდის დიდებით. სამღვდელოება აქებდა მეფის მოქმედებას. ქართველთ ქათალიკოსი ლაღადებდა ქართველთ მეფის ქართულ წესჩვეულებით ანუ ქრისტიანულის წესით ტახტზედ ასვლას. მთელმა საქართველომ ეს დაგვირგვინება დიდის ამბით იღღესასწაულა. ყოველი ქართველი თამამად ამბობდა:—ძლივს, როგორც იქმნა და ამდენი მოლოდინის შემდეგ, ქართველთ მეფის ქრისტიანულის წესით კურთხევასაც მოვესწარით საქართველოშიო.

ასე და ამგვარად ერეკლე მეფემ დასძლია იმ მონებას, რაც სხვა ქართველთა მეფეთათვის უძლეველი იყო და გაუბედავიც. ამ გარემოებამ ქართველნი მედიდურობით შემოსა. ერეკლე მეფის დაგვირგვინება სპარსეთის ყაენმაც შეიტყო და ამაზე ლაპარაკიც ატყდა. ამ საგნის შესახებ მეფემ ყაენს ზრდილობიანი პასუხი აგო.

—მე თქვენი ერთგული გახლავართ, მაგრამ მასთანვე გვირგვინოსანი, ქრისტიანულის წესით კურთხეული და ტახტზედ ასული მეფე! მე დღეის შემდეგ აღარ შემფერის, რომ ჩემს ბეჭედზედ შემდეგი სიტყვები ვატარო:—„ფეხთა მტვერი ყაენისა, მეფე ქართლკახეთისა ირაკლი“. ამიერიდგან ქრისტიან მეფედ უნდა მიმიღოთ და არა უბრალო ხანად. ხანების გაჩენა-გამრავლება ყოველთვის შეიძლება, ხოლო გვირგვინოსან,



კურთხეულ მეფის კი არა. ამიერიდგან მე მეფედ უნდა ვიწოდო. იგი ასეც იქმნა ყველა იმპერიებში წოდებული.

მხოლოდ დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, სომეხთ შორის ზოგიერთ მწერალ-მოძღვარნი ერეკლე მეფეს ხანს უხმობენ სრულებით უსაფუძვლოდ და ისტორიული სინამდვილის წინააღმდეგ. ეს არ შეჰფერის ისეთ ერს, რომელზედაც ამ მეფეს ერთობ დიდი ამაგი და ღვაწლი აქვს დადებული, ვისაც სწყალობდა იგი, თავადისშვილობას აქლევდა, აზნაურობას, გლეხებს, მამულებს და ფულს. დღეს ამას აღარავინ ახსენებს...

მეფე ერეკლე აღრიდგანვე იქმნა განღვიძებული და გამხნევებული ევროპიელთაგან. იგი სპარსეთში ყოფნის დროსვე დაუახლოვდა ევროპიელ მოგზაურებს და ლათინთ მოძღვრებს. ავღანისტანში გაილაშქრა სპარსეთის ჯარმა, თან ახლდა ახალგაზდა მეფე ერეკლეც: მეფეს თან მრავალ ქართველთ ცხენოსნებიც ახლდნენ. ჯარს მთავარ-სარდლობდა მეფე ერეკლე. სპარსელებმა გაიმარჯვეს; გამარჯვების გეგმა ერეკლე მეფის საკუთრება იყო. ამ გამარჯვების და მხნეობის სანახაოვროდ ერეკლე მეფეს შაჰ-ნადირმა მთელის ირანის მსაჯულობა მიულოცა. მეფემ მიიღო ირანთ მსაჯულობა და თავის ორს ხელქვეითად სპარსეთში მყოფი ლათინთ მოძღვარნი ამოიჩინა და ამათის ხელმძღვანელობით განაგებდა იგი თავის საქმეებს.

ამ დროს სპარსეთიდგან მრავალნაირი წერილები გაგზავნეს ევროპის გაზეთებში დასაბეჭდად და მეფე ერეკლე ბეჭდვით აქვს პარიჟის გაზეთებში, რომ მეფე ერეკლე სპარსეთის საქმეებს ფრანგის ბერების დახმარებით განაგებს; იგი აზიელთ მხედარია, მაგრამ ევრო-

პის წეს-წყობილების დიდი პატივისმცემელიაო. მეფე ერეკლეს საფრანგეთის გაზეთებში ჰეისსონელიც აქებდა ხოლმე, იმ დროის კოსტანტინეპოლის საფრანგეთის ელჩი, რომელიც საქართველოს კარგად იცნობდა. ბევრს სხვებსაც უჭია და რომის პაპისაგანაც ხომ ხშირად მოსდიოდა ლოცვა-კურთხევა, ქება ანუ ბულაა.

სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნებულ მეფემ უფრო მკიდროდ ისურვა ევროპიელებთან დაახლოვება, ამიტომ ამან მტკიცე კავშირი დაიჭირა იმ დროის ტფილისში მყოფ ლათინთა პატრებთან. მათ მიანიჭა სრული უფლება მღვდელ-მოქმედების, ქადაგების, ექიმობის, სასწავლებლების დახსნის და ყმაწვილების სწავლების; ამას გარდა თავის სახლის ექიმებადაც იგინი დანიშნა, ასევე თავის შვილების აღსაზრდელად, მასწავლებლებად. მეფე ერეკლეს შვილებმა და შვილის-შვილებმა თუ რამ იცოდნენ ევროპის მეცნიერების შესახებ, სულ ამ ქადაგებელთა მეოხებით.

ამ მეფის დროსვე განმტკიცდა ქალაქის მცხოვრებთ საქმეები, ვაკეთდა ქუჩები, ქარვასლები ვაქართათვის და მოგზაურთათვის, დაიხსნა წამალხანები, დალაქხანები, ხელოსანთა ამქრულმა წეს-წყობილებამ თავის საკუთარი ძალა მიიღო, იგი განთავისუფლდა მელიქის გავლენისაგან. ვაქართ ღიენიშნათ მზრუნველნი. მეფის თხოვნით რუსეთმა საქართველოს ვაქართათვის ბაზრობა ეკატერინდარში დანიშნა; აქ სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა ბაზრობა, საქართველოს ვაქარნი ამ ბაზრობაზე მიდიოდნენ, თან მიჰქონდათ ყველა ის საქონელი და მასალა, რაც კი საქართველოში ზოდოდა და რუსეთში იყიდებოდა; იქიდან საქართველოში შემოჰქონდათ ის საქონელი,

რაც საქართველოში იყო საჭირო და საღებობა. ვაქრებს ყოველთვის სამეფოს გზის მცველები ამგზავრებდნენ რუსეთის საზღვრამდე, რომ არავის გაეცარცვათ.

ამ მეფის დროს, საქართველოში ქურდობა, ავაზაკობა, კაცის კვლა და სხვა ასეთი რამეები სრულებით არ არსებობდა. მაშინ დიდი შიშიანობა იყო დათესილი და ამიტომ ყველა პირი ეკრძალოდა დანაშაულობას. დღევანდელი ჩვენი ქვეყნის დამნაშაობა ათასჯერ წინ არის წასული ძველი დროის დამნაშაობაზე.

მეფე იქამდის მღვიძარე იყო სამეფო წეს-წყობილების გაუმჯობესებისათვის და ევროპიულად განახლებისათვის, რომ იგი ამისათვის ბევრ რამეს ჰფიქრობდა. სხვათა შორის, სპარსეთიდან საქართველოში მოვიდა ექიმი რეინგესი, რომელიც ევროპაში მიდიოდა. ექიმი რეინგესი მეფე ერეკლემ თავის სახლში ექიმად მიიწვია და მასთან შვილების აღსაზრდელად. ამბობენ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი დოქტორ რეინგესმა გამოზარდაო.

დოქტორ რეინგესი სპარსეთში კარგა ხანს სცხოვრობდა. იგი ყაენის კარზე იყო ექიმად, იცოდა კარგად აღმოსავლეთის ხალხთა ენები და მწიგნობრობა. სპარსულს ენაზე ამან გადათარგმნა გერმანიელის სამხედრო მწერლის ზონენფელის წიგნი „ზოჯიბაჟურა წესება“. ამ წიგნმა იმ დროს თავის წერტილამდის მიაღწია. მერე ეს წიგნი დოქტორ რეინგესის დახმარებით მეფე ერეკლემ ქართულს ენაზე სთარგმნა და ქართველთა შორის განავრცო. დოქტორ რეინგესმა მეფე ერეკლეს შესახებ ბევრი რამ ცნობები დასწერა და,

როცა ის რუსეთში დაბრუნდა, მერე ყველა ეს ნაწერები ცალკე წიგნად პეტერბურგში დაბეჭდა 1796 წ.

მეფე ერეკლემ ტფილისის გეგმაც დაახატინა და მასთან ბევრი სხვა ამ გვარი რამეები. გარდა ამისა ისურვა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა დაახლოება და ამისთვის მან ისევ საქართველოში მცხოვრებ პატრებს მიმართა და მათით დაიწყო ევროპასთან დაახლოება. სხვათა შორის, 1782 წ. „ხელშეკრულობის“ დარღვევის შემდეგ ევროპაში გაგზავნა ერთი პატრი, დომინიკანელების ორდენის წევრი, მცოდნე ქართულის ენისა. ამ პატრს წერილი გაატანა იმპერატორ იოსებ მეორესთან; წერილით მეფე იოსებ იმპერატორს დახმარებას სთხოვდა.

საუბედუროდ ამ წერილმა იმპერატორამდის ვერ მიაღწია. ზღვაზე მოგზაურობისაგან დაღლილი პატრი სტამბოლში ავად გახდა და გარდაიცვალა. ამავე წელიწადს, ეს ამბავი სტამბოლის პატრებმა მეფე ერეკლეს აცნობეს. მეფეს ძლიერ ეწყინა. ამავე წლის დეკემბრის 18-ს, მეორე წერილი გაგზავნა და წერილი გაატანა საქართველოში მყოფს პატრს მავროს. ამ წერილითაც მეფე იმასვე სთხოვდა, რასაც პირველ წერილით. ამ წერილის შესახებ რა პასუხი მიიღო მეფემ, ჩვენ არა ვიცით რა. ესევე პატრი გაგზავნილ იქმნა ვენეციის სენატში, დიდებულთა წინაშე დახმარების სათხოვნელად. 1782 წ. 18 ოქტ. პატრი წარსდგა სენატის წინაშე, დიდებულთ გარდასცა მეფე ერეკლეს სამი წერილი და თვითონაც სთხოვა პირადად დახმარება. მეფე ერეკლემ სთხოვდა ერთი პოლკის შესადგენ ფულით დახმარებას. დღეს ეს წერილები მოპოვებულ იქმნა იტალიის ერთს ძველს არხივში, რომელის ოთახების რიცხვი

400 მეტია. ამ სასახლეს ეწოდება ლათინური *Archivio di stato* ერთ დარბაზში, სხვათა შორის გამოკიდებულია შემდეგი წერილები მეფე ერეკლესი:

„განათლებულთა მკათ დიდთა ვენეციას ქალაქს შორის შემდეგებულთა შეკრებულთა.

მრავლის ჟამიდან დაგვირდა რათამცა ევროპის თვითმხერობელთა, ყოვლად მადლთა კეისართა და ყოვლად მოწყალებთა დიდებულთა ხელმწიფეთა და მეფეთა და უგანათლებულესთა მადლთა შეკრებულებათა ვაწეინთ თავა და დამჭირნეტა ჩვენა მოვასხსნით და რათამცა ჰქონ წყალობა, მაგრამ აქამომდე მძლავრთა მტერთაგან ისმაიტელთა და სხვათაცა წინააღმდეგობაგან ვერ მივიღეთ ჟამა:

„და არა დროსა შინა ვეწიენათ მოწყალებათა მღვთასათა და მივიღეთ ესდენი ბედნიერება, და აწ დროსა ამისა გაწეინეთ და განათლებული გონება თქვენნი ნუ უმე შევასწუხეთ ჯ ვითხოვ განათლებულებისაგან, რათა ახლა ღვთისა წყალობათ აღიძრათ და რომელიც ამ ხატრი მავროსაგან დაბარებულა აქვნიდეს წერილათ თუ ზეპირად უნაკლულად ჩვენად მოახსენოდ და რა გვარათაც ჩვენის სათხოვრის აღსრულება მოვასხსნით, ის აღვასრულეთ.

ჩვენ თქვენს განათლებულებასთან სიშორით არაფერა სიმსახური არა მიგვიძღვის რა, მაგრამ ქრისტიანობას და ერთა შეწუხებულთათვის იღვაწეთ და ივასსეთ, ღვთისა თხოვალი ჩვენა აღგვიხრულეთ და ესდენ უმრავლესთა შეწუხებულთა ქრისტიანეთა გული თქვენთვის მოიკვივით, რათა თქვენნიცა განათლებულებისა მრავალნი საქმენი წარგვიმართოსთ დამერთმან ყოველსა შინა.

რადგანაც აზიის ერთ კერძოდამ ევროპაში ვსახეთ შეწევნად, თქვენცა რომ წყალობა შეგიძლიანთ ჩვენ და ჩვენს ერზე თქვენიცა საკადრისა გვგონია, რომ ჩვენა თქვენთან



მოსხენებულად თხოვდა აღკვესრულათ. ვეკრძალვით თქვენს განათლებულას ამდენ თავის წყენასა, ვათხოვ, რომ ეს მოსხენება თქვენს განათლებულს გონებას არ შესწეინდეს.

განათლებულებისა თქვენისა უერთგულესი მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა

იაკაკლე

დაიწერა ქალაქ ტფილისს  
ოქტომბრის 18-ს 1782 წ.

აი, მეორე წერილიც, რომელიც ამავე დღესვე დაწერილი:

„მათ განათლებულთ დიდსა ვენეციის შეკრებულთა.

„ქ: თუშტა ამ მოსხენებასათვის დიდათ ვმარცხობთ და ვეკრძალვით, მაგრამ რომელად ჩვენის ქვეყნის შწუნარება და შექარაგება სხვას არზით მოგვიხსენება, ის მაკადნაერებს. ჩვენი სათხოვრის ჰაზრთა ეს არის, რომ ერთი ზოლკის ჯარის ჯამაგირა გვებოდოს რომ კაცა ჩვენ ვაშოფოთ და ამ ჯამაგირათ ის ჯარა გაუწეოთ ევროპის რაგზე, რა რომ მტერა ამ ჯარის რაგს საბოლოოდ სცნავს, ვერას დროს ჩვენს მტრობას ვეღარ გაბედავს.“

მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა

იაკაკლე

ოქტომბრის 18 1782 წ.  
ქალაქს ტფილისს

ყველაზე საყურადღებო შემდეგია: ინგლისის სამფლობელოს ინდოეთის ქალაქს კალკუტაში სცხოვრებდა ერთი მდიდარი სომეხი იაკობ შახრიმიანი, 15 მილიონი ფულის პატრონი; 20 ათასამდე ინდოეთის მონები ჰყვანდა და მამულეებიც ბევრი აქვანდა. 1775 წ.



ამ პირთან მიწერ-მოწერა დაიწყო მეფე ერეკლემ და ინგლისის საქართველოს შესახებ დახმარებას სთხოვდა. წერილების წერა 18 წელს გაგრძელდა. საქმე ისე მოეწყო, რომ უკანასკნელ დაახლოვებაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს აღარ მოხდა, რადგანაც ალა მამადხანის შემდეგ მეფე ერეკლე გარდაიკვალა და მის სურვილსაც საზღვარი დაედო.

იაკობ შახრიმიანი ამ საქმის შესახებ დიდად ეცადა, სომხურსა და ინგლისურს ენაზე ვრცელი წიგნი დაბეჭდა, შიგ მოათავსა ყველა ის ცვლილებითი წესები, რაც კი საქართველოში უნდა მომხდარიყო. წიგნის ერთი ცალი იმ დროის სომეხთ კათალიკოზს გამოეგზავნა, მეორე მეფე ერეკლეს და მესამე ეკატერინა იმპერატრიცას. ჰაზრი იყო, რომ საქართველოს მეფე ერეკლე კავკასიაში ერთად ერთი ქრისტიანი მეფეა და ამიტომ მას დახმარება უნდა მიეცესო, რომ იგი კავკასიაში მცხოვრებთ ქრისტიანთათვის დიდ მფარველ მეფედ გამოცხადდესო.

შახრიმიანმა მეფე ერეკლეს დიდი ძალი ძვირფასი ფეშქაშები მიართვა. ნიშნად პატივის-ცემისა მეფემაც თავადის-შვილობა მიუბოძა და მთელი ბორჯალოს მახრა და ლორეც აჩუქა. ამ მოწყალების საუწყებელად მეფე ერეკლემ საქართველოდგან გაგზავნა ქართველკათოლიკე რაფიელ დანიბეკოვი. ეს გაემგზავრა ახალციხით და ერთი წლის მგზავრობის შემდეგ ჩავიდა შახრიმიანთან და ყოველივე მიულოცა მის შვილს, რადგანაც შახრიმიანი ცოტა წინეთ გარდაცვლილიყო. შვილმა მიიღო თავადის-შვილობა და სიტყვაც სთქვა, რომ მამიჩემის სურვილისამებრ საქართველოში გამოსახლდებო, ჩემს შექმლებას და მონებსაც იქ ვად-



მოვასახლებ, რომ სხვა-დასხვა საქარხნო საქმეები ავრცელონო. რაფ. დანიშევოკი დაბრუნდა საქართველოში და ერთი წლის შემდეგ მოაღწია, მაგრამ მეფე ერეკლე გარდაცვლილი დახვდა.

მეფე ერეკლეს ანდერძის ძალით ლორე და ბორჩალოს მამულები შახრიმიანის საკუთრებად დაშთა. მალე აქ სომეხებმა იპინეს თავი. ამათ რუსეთის იმპერატორს სთხოვეს დახმარება, რომ გიორკი მეფესთან გვიშუამდგომლეთ, რომ საქართველოში დაგვასახლოსო. მეფემ შეიწყნარა იმპერატორის თხოვნა და მათ ნება მისცა ბორჩალოს მაზრაში და ლორისკენ დასახლებისა. სომეხნი მალე გადმოსახლდნენ სპარს-ოსმალეთიდგან და დასახლდნენ. მეპატონეთ ერეკლე მეფისაგან გათავადებული შახრიმიანი დაედგინათ. სომეხთაც გაეხარდათ. მამულების შეაფალი შახრიმიანის შვილის სასარგებლოდ გროვდებოდა. მცირე ხნის შემდეგ საქართველოც რუსეთს დაუკავშირდა და იმ დროის ახალ მთავრობას ეუწყა ამ საქმის ვითარება და ლორეს და ბორჩალოს მამულების პატრონი საქმე. რუსის მთავრობამ შეიწყნარა ქართველთ მეფის ბრძანება: ეს მამულები შახრიმიანის სასარგებლოდ დარჩა. ეკონათ დღეს ხვალ შახრიმიანი მოვაო, მაგრამ იგი აქ არ მოვიდა. 1846 წ. ეს მამულები ორბელიანებსა და ბარათაშვილებს გარდაეცათ, რადგანაც აღრეც მათი ყოფილიყო.

საქართველოს ინგლისთან დაახლოვების წეს-რიგის წაგნში მოთავსებული იყო შემდეგი მუხლები:

საქართველო ინგლისს უახლოვდება. საქართველოს სამეფო ძლიერდება.



ინგლისელნი საქართველოში გზავნიან სამხედრო და საერო ნასწავლ კაცებს.

საყოველთაოდ წესდება საქართველოში ჯარის მოკრება. ჯარისთვის წესდება სამსახურის დრო.

შენდება ჯარის თავ-შესაფარი სასახლეები, ამით მასწავლებლად ინგლისიდგან მოდიან მკოდნე კაცები.

კეთდება თოფხანები, ასხამენ ზარბაზნებს, თოფებს, ამზადებენ ტყვია-წამალს. წესდება საქართველოს არტილერია.

ქალაქთა და დაბებთ შორის კეთდება გზები, წესდება გაგზავნ-გამოგზავნის კაცები—ფოსტა. წესდება საყოველთაოდ საკომლო ხარჯი, ბაჟები და სხვანი.

საქართველოს წვრილ თავად-აზნაურებს ხელიდგან ერთმევათ თემის მეუფროსობა, მარტოდ წოდებრივი ძალა ენიჭებათ.

თბილისში წესდება ევროპიელთ სახელმწიფოთა კონსოლები. ასევე საქართველოს მოსამზღვრე უცხო სახელმწიფოთა ქალაქებში არსდება მათი თანამდებობა. თვით ახალციხეში უნდა დაარსდეს რუსეთის კონსოლი, რომ მან თვალი ადევნოს ქრისტიანთ საქმეებს.

მეფე ერეკლეს ევროპის სახელმწიფოანი უმხერიანი ვითარცა ძრიელ ქრისტიან მეფეს. სამეფო ტახტი მეუფროსობით შვილიდგან შვილზე გადადის. მეფე ერეკლევე იწოდება სომხეთის მეფედ, ამის წყალობით სომეხნიც ნელ-ნელა ძლიერდებიან. ბოლოს კაკასიაში ფუქნდება ქრისტიანთ ძლიერი სამეფო, საქართველოს ბაგრატიონების მფლობელობით.

საქართველოს სამეფოსთვის არსდება ყველა საჭირო საქმეები, სკოლები. მიწი ერის ცხოვრების წესწყობილება ევროპის სახელმწიფოთა ერის ცხოვრების



გეგმას უახლოვდება. საქართველო ცნობილ უნდა იქმნეს მთელს სახელმწიფოებში და ამ სამეფოს დასაფარად ურთი-ერთ შორის ხელშეკრულება უნდა მოხდეს.

ქართველთ შორის უნდა მოისპოს ტყვის გაყიდვა და ოსმალ-სპარსებს და კაკასიის მუსულმანთაც აღეკრძალებათ ქურდულად ქართველებზე გათარეშება, ნავარდი და ტაციობა.

ბევრიც სხვა რამეები იყო მაშინ შემუშავებული გარკვეული ამ წესდებაში, მაგრამ ყველა ამას დასასრული 1795 წ. მისცა. მალე მეფეც გარდაიცვალა აზრი მეფისა ევროპასთან დაახლოვების დაშთა სანახსოვროდ შვილების წინაშე და ამიტომ ქართლ-კახეთი 1801 წ. 18 იანვარს რუსეთს დაუკავშირდა და მით შეასრულა მეფე ერეკლეს თხოვნა ამის შვილმა გიორგი მეფემ...

ინგლისთან დაახლოვებას და მიწერ-მოწერას ამ ტყიცებს ცხადათვის გარემოებაც, რომ რაფ. დანიზე გოკმა თავის მგზავრობა საქართველოში ყოფნის დროს ქართულს ენაზე დასწერა. მერე ეს აღწერა რუსულს ენაზე. გადასთარგმნეს 1815 წ. მოსკოვში ცალკე წიგნად დაბეჭდეს. ამ წიგნში მოთავსებულია მკირე რამ ცნობები მეფე ერეკლეს აზრების და განზრახვის შესახებ.

წ. კ.



...ნი აქვე უნდა იქნას მოხსენიებული, ანუ სწორედ  
...ნი აქვე უნდა იქნას მოხსენიებული, ანუ სწორედ  
...ნი აქვე უნდა იქნას მოხსენიებული, ანუ სწორედ

### ს ა ქ ა რ თ ქ ი მ ლ მ ს

...ნი აქვე უნდა იქნას მოხსენიებული, ანუ სწორედ  
...ნი აქვე უნდა იქნას მოხსენიებული, ანუ სწორედ  
...ნი აქვე უნდა იქნას მოხსენიებული, ანუ სწორედ

## ტ ვ ი ლ ი ს ი

გაგრძელება \*).

თემური მოადგა ტფილისის ფრიად გამაგრებულ ციხეს. ლომებრ იბრძოდნენ მეციხოვნენი, გარნა დამარცხდნენ. მტერმა აიღო ქალაქი და მერე შეესია ქართლს და დადგა მუხრანს და დაუწყო ოხრება ქვეყანას. დასწვა, გადაბუგა იგი და დაბრუნდა ბარდავს. აქედგან ხელახლა შემოუსია საქართველოს სპასილარნი ხოჯა-მისალი და ამირქანშა, რომელთაც ხელახლა აღაოხრეს ქართლი და დაბრუნდნენ. გაქირებაში მყოფმა მეფემ შორილება აღუთქვა თემურს. მან მისწერა, გამომეცხადეო. მეფემ არა ქმნა. თემური შემოვიდა ქართლს, გადავიდა სამცხეს, იავარჰყო, მოვიდა მანგლისს და ორი თვე დადგა. აქ მიესალმენ მას ახლად მოსულნი ფრანგთა მეფის კაცნი და მოართვეს ძღვენი სახელმწიფო. და აქვე დგომისას მისმა მეომრებმა მოართვეს

\* ) იხ. „კრებული“, № 3, 1899 წ.



მას კეისრის ტყვე-ქმნილი შვილი, რომელიც შეეწყა-  
ლა და განუტევა დაჯილდოებული. შემდეგ ამისა  
აიყარა ჭეშვილა არაგვის ხეობაში. დაამტკრია და აიღო  
ციხე-სიმაგრენი და იავარ ჰყო, ხოლო ხიზანი ვერ  
იპოვნა. აქედგან გაბრუნდა, წავიდა და დაიპყრა სხვა  
და სხვა ქვეყნები, საიდგანაც საქართველოს შემოუსია  
თვისნი შვილნი უსეინ, ფირმაჰმედ და ამირ შიხ-აბუ-  
ბეკირ. ამათ აიღეს ერინჯანგის (აღინჯის) ციხე, და-  
ატყვევეს ციხის-თავი და წარუგზავნეს მამას, ხოლო  
თვითონ მანგლისს მოვიდნენ. გიორგიმ წაჰგლიჯა თათ-  
რებს აღინჯის ციხე (1400 წ.). და თავზარი დასცა  
მტრებს. თემურმა შვილები დაიბარა და წარგზავნა  
ბაღდადის დასაპყრობად. ამ ქალაქის დაპყრობის შემ-  
დეგ იგი ისევ საქართველოში შემოვიდა, აიღო აღინ-  
ჯის ციხე და იქვე დაიბანაკა (1401 წ.) მეფემ აახლო  
ძმა და მორ'ილება გამოუცხადა. თემურმა პატივი სცა  
მას და გამოისტუმრა, ხოლო თვითონ წავიდა ბარდავს  
და იქიდგან ისევ მანგლისს მოვიდა. აქ გამოეცხადნენ  
მას ათაბაგი ივანე აღბულას ძე, სომხითის, სამცხის და  
კარის თავადნი. გიორგიმაც მიართვა ძღვენი თავის  
ძმის კოლტანტინეს ხელით. თემური აიყარა და წავიდა  
ქურთისტანის დასაპყრობად და იქიდგან განიზრახა სა-  
ქართველოში შემოსვლა და ძირიან-ფესკიანად აღმოფ-  
ხვრა მისი. მეფემ ისევ აახლო ელ'ი, მორჩილება გამო-  
უცხადა და ფეშქაში მიართვა. თემურმა არც მეფის  
თხოვნა შეიწყნარა და არც ფეშქაში მიიღო, არამედ  
მეფეს შემოუთვალა, თუ საქართველოსთვის სიკეთე  
გსურს, შენ თვითონ გამოცხადდი ჩემ წინაშეო, ხარკი  
დაიდევ და შენს რჯულზედვე იყავიო. ესეთი შეთვ-  
ლილობა წარმოუგზავნა მეფეს და თვითონაც აიყარა



და გამოაწია ჩვენკენ. მის მოსვლამდე მინდორის ნახული აიღეს ქართველებმა და მეფითურთ სიმაგრეებში შევიდნენ. თემური ურიცხვის ჯარით ქვემო ქართლიდან შიდა ქართლს შევიდა ოხრებითა, წვითა და დაქცევითა, გარნა ვერსად ადამიანი ვერ ნახა. აქედგან წაიკიდა და გარემოადგა ბირთვისის ციხეს, რომელშიაც გამაგრებულ იყვნენ წარბინებულნი თავადნი (30) სული. ციხისთავად იყო ნახალი და მათვე ჰყვანდათ მრავალნი აზნაურნი და მსახურნი. საქმელი, სასამელი მრავლად ჰქონდათ. ციხე მიუვალს აღვილას იყო და მეტად გამაგრებული. რამდენჯერაც მიესვოდნენ თათართა მეომარნი მეციხოვნეებს, იმდენჯერ გამოცვიოდნენ ხოლმე შიგნიდან და მუსრს ავლებდენ მტრებს. მრავალი მტერი გაჟლიტეს ერთ მუჰა ქართველებმა. თემური ძრწოდა და შიშითა და ბრაზით. საქმე რომ გაუჰირდა, გარემოიცვა ციხის არე-მარე და მის გარეშემო მალალი ციხეები და კოშკები ააშენებინა. შიგ ჩააყენა თვისი ლაშქარი და უბრძანა ძლიერად ბრძოლა. ქართველნი უშიშრად იყვნენ და მტერს დიდს ზარალს ალევდნენ. არე გაკრძეღდა ბრძოლა დიდ ხანს. საუბედუროდ ძლევამოსილებით განლაღებულ მეციხოვნეთ ტალა (ყარაული) არა ჰყვანდათ ციხის იმ მარვი, საცა იყო ციხეში ამოსაძრომი გვირაბი. თემურის ჯარში იყო ვინმე ბეგიჯან, რომელმაც იცოდა ამ გვირაბის აღკვეთადგება რეობა. თემურმა გააკეთებინა ბამბეულის თოკი, ამ თოკით კიბე დააწვნევინა. ეს ბეგიჯანი ღამე აიპარა კლდეზე და დაწული კიბის წვერი მოამაგრა გვირაბის შესავალს. იმავე ღამეს თითო-თითოდ ავიდნენ თემურისანნი, შევიდნენ ციხეში და კარები გააღეს. იმავე წამს თათრები გარედანაც და შიგნიდანაც მიეივნენ ქართველებს. შეიქმნა ომი ფიცხელი; ახჯართა ცემა-კვეთებისაგან იდგა გრიალი და ქუჩილი. ქართველებმა გაა-

პეს მრავალკეცი რაზმი მტრებისა, გაჟლიტეს ურიცხვი თათარი, გარნა ამაო იყო მათი ბრძოლა: თათარნი ბევრნი იყვნენ და საბოლოო გამარჯვება მათი იყო. ასეც მოხდა. ქართველთა უმეტესობა დახოცეს, დანარჩენნი შეიპყრეს და ხელშეკრულები წარუდგინეს თემურს, ხოლო მათი უამრავი სიმდიდრე-ქონებანი მოჰხვეჭეს და მიუტანეს თვისს მბრძანებელს. თემური მეტად გახარებული იყო. ქართველთა ტყვენი სამარყანდს გაგზავნა (1402 წ.). ციხეში ჩააყენა თავისი რაზმი მაჰმედის მოთავეობით და თვითონ აიყარა და წავიდა შამს, შეება სულთან ბაიაზიტს, დაამარცხა იგი, შეიპყრა და ჩასვა რკინის ყაფაზაში. კეისარმა მოართვა თემურს ძღვენი და მისცა ხარჯი. აქედგან თემური მივიდა თურქისტანს, სალმობიერ იქმნა და „ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა“. მემატიანე ასრე აბოლოებს თემურის ისტორიას: „შიდ გზის იავარ-ჰყო საქართველო ბოროტმან და ღვთისა მიერ რისხვეულმან“, რომელიც იმდენად უღვთო და უღმობელი იყო, რომ ჩვილ ყრმებსაც, როგორც უკვე ვსთქვით, არ ინდობდა. ზებირგადმოცემით, ამ თემურმა ტფილისის აღების შემდეგ შემოაგროვებინა მოქალაქეთა ბავშვები, მიწაზე დააყრვეინა იგინი და მერე კვერი შეაბმევიდა და ამ კვერს გაათელიდა მრავალი უსუსური და უმანკო სული. იმ ადგილს, საცა ასეთი კალო გაილეწა, დაერქვა „კალოუბანი“ და აშენდა ეგრედ წოდებული კალოუბნის ტაძარი.

თვალი რომ გადავაგლოთ ეხლა მონგოლთა მფლობელობის ჟამს, ჩვენ ვერც კი აღვსუსხავთ იმ დიად ვნებას, რომელიც დაჰმართა მათმა ბატონობამ ქართველებსა და მათს სატახტო ქალაქს. თათრებმა სულ

120 წელიწადი იმფლობელეს საქართველოში (1325—1220)+(1402—1387)=120) და ამ დროს განმავლობაში:

ა) თამარის აღყვავებული საქართველო (უმეტესად ამერეთი) გაღეწეს, გადაზუგეს, გაძარცვეს, გადასთხარეს, გააშიშვლეს, გააგერანეს;

ბ) თამარის დროს მჭიდროდ დასახლებული ერი, რომლის რიცხვი  $4\frac{1}{2}$  მილიონი იყო მარტო ამერეთში, ზოგი გაელიტა მტერმა, ზოგი ტყვედ წაასხა, ზოგი შიშიანობამ, უსმელ-უკმელობამ, ყინვა-სიცივემ და მრავალთა, ომიანობის მიერ მოვლენილ უბედურებათ იმსხვერპლეს; და უმეტესად კი დაიღუპნენ ისინი, რომელნიც რჩეულნი და ქვეყნის მარადნი იყვნენ, ესე იგი, მხენნი, ძლიერნი, ახოვანნი, ნიკიერნი, მწიგნობარნი, უშიშარნი, ერთის სიტყვით იმისთანა გაგებულნი კაცნი და გმირნი, რომელთაც მტერთან ბრძოლა სამშობლოს სადღეგრძელოდ „ლხენად და თამაშად“ მიაჩნდათ.

გ) ზნეობა ერისა შეირკა: თათართა მეოხებით შემოვიდა სოღომური სიზილწე, მოისპო ძმობა, ერთობა, პირიანობა; გახშირდა ორპირობა, დალატი, განდგომილობა, სიმცონარე, და ასე იყო არა თუ საერო წოდებაში, არამედ, ხშირად, სასულიეროშიაც \*).

დ) მეფეთა უზენაესი ხელმწიფება შესუსტდა, დაძაბუნდა, დაქუცმაცდა, განაწილდა; დამკვიდრდა და-

---

\*) ან ერთი მსგავსითი. დავით მეფის იმერეთში მეფობისას ბასილი ჭყონდიდელმა და უკარმელმა ურცხვად შეაჯინა მეფის საწოლი: თანაყო ესუქან დედოფალს და ფრიადი აწეინა სეუეთა ქვეყანასთა. მეფე რომ ტფაღისს დაბრუნდა,



მოუკიდებელი ათაბაგობა სამცხისა, თვითმპყრობელობა იმერთა მეფისა, გურიელობა, დადიანობა, დადიშქელიანობა, შარვაშიძეობა და სხ. მოსწყდა საქართველოს ანისი, დვინი, კარი, კარნუქალაქი, დარუბანდი, ლეკეთი.

ე) აშენებული და ერ-მრავალი ქალაქები — ტფილისი და სხვ. დაიღწნენ, დაიწვნენ და მათთან ერთად მოისპო ვაჭრობა და სააღებ-მიმცემო კავშირი მეზობელ ხალხებთან.

ვ) შეიკამა და გადაშენდა შინაური პირუტყვი, ხვადაგი, ცხენი, ფრთოსანი და სხ. და მათი მოშენება ახლად უნდა დაწყებულიყო.

ზ) გონებიტი საზრდო — აუარებელი რიცხვი ხელნაწერებისა მტერმა გადასწვა და ანუ დახიკ-დაფხრიწა.

ერთის სიტყვით, მონგოლთა წაშალების შემდეგ საქართველო (ამერეთი) წარმოადგენდა უდაბნოს, საცა მოთანტულ-მითანტულ და მიყრილ-მოყრილ შენობათა ნამუსრევნი, დაკოდილ-დაკოლულ კაცთა ლეშნი და მათ გარეშემო ვაებით მოტირალ და ქანც-გაწყვეტილ ერის გარჯა მკვდართა დასამარხავად, სახლთა და ეკკლესიათა ასაგებად, კარ-მიდამოს მოსაწყობად, სათესად, ბალვენახთა გასაშენებლად, გადათბრილი არსების შესაკეთებლად და სხ. და სხ.

ასეთი შედეგი აქვს და ექნება უმცროს და ბრიყვ ერის მფლობელობასა და მძლავრობას: იგი უდაბნოდ

შეკსმინეს ბასილა და იგი ძელზე ჩამოკიდებულ იქმნა შუა ქალაქში. ხოლო ესუქან დედოფალმა შური აგო და შეეუ მონაწამფისა („ქართ. ცხ. 4 კვ, 394, 409).

და ახალშენად აქცევს მოშენებულსა, აღყვავებულსა და პატარძალიკით მორთულს ქვეყანას!

დიახ, მონგოლთა კრილობა ისეთი ღრმა და პირფართო იყო, რომ საქართველომ ამიერიდგან ველარ შესძლო განკურნება, ერთობისა, ძმობისა და მყუდროების დამყარება. იგი, რასაკვირველია, ამას შესძლებდა, თუ არ გამოჩენილიყვნენ ახალნი მძინვარე მპყრობელნი და მათ წინანდელ კრილობისათვის ახალი კრილობაც არ მიემატებინათ.

მონგოლთა წაშავების შემდეგ კიდევ გავიდა 60 წელიწადი და ახლა საქართველო აიკლეს სპარსელებმა და მათ შემდეგ ოსმალებმა. ამ სამოც წელიწადში (1402 წლიდან 1463 წლ.) ამერეთი ისევ მოშენდა. ალექსანდრე მეფემ (1413—1442) და მისმა მოხელეებმა ხალხი გამოიყვანეს სახიზნებიდან, ააშენეს სოფლები, ქალაქები, ციხეები, ეკლესიები; შემოჰკრიბა მონაზონნი, მღვდელნი, მგალობელნი; შეეწია თავადთა, აზნაურთა, გლეხთა, დიდთა და წვრილთა და მკვდრეთით აღადგინა ქვეყანა. მანვე ააშენა მცხეთის სვეტიცხოველი, განამშენა, შეამკო, უბოძა მამულები, გაუწინა შემოსავალი. დაშოშმინდა ერი, დაწყნარდა, დაბინავდა. მრავალი ტყვედ წაყვანილი ქართველი გამოისყიდა, მოიყვანა და დაასახლა. აღადგინა აკრეთვე ტფილისი, რომელსაც შემოავლო გალავანი, გაამაგრა და ააშენა ახალი სახლები. საზოგადო საქმეების გასაკეთებლად მთელს ერს გამოჰქონდა თავისი წვლილი— ორმოც-ორმოცი თეთრი (=2 მან.) ყოველს კომლს. ეს კომლეული ხარკი შემოიღო ალექსანდრე მეფემ 1431 წ. და მანვე ამოჰკვეთა 1440 წ.

ალექსანდრეს ძე გიორგი VIII რომ დაჯდა ტახტზე

(1445—1469 წ.), ბიზანტიის იმპერატორმა კოსტანტინემ (გამეფდა 1448 წ.) ტფილისს გამოგზავნა თავისი პროტოპრესვიტიარი ფრანცა \*) დიდის ამალით—დიდებულებითა, მხედრებითა, ექიმებით, ბერებითა და მგალობელთა გუნდით. აზრი ფრანცას მგზავრობისა ის იყო, რომ იმპერატორს ჰსურდა დედოფლად მიეყვანა გიორგი მეფის შვენიერი ასული. ფრანცა რომ მოდიოდა ტფილისისაკენ, მას ეგებებოდნენ დაბა-სოფლელნი და, თუმცა ბერძული ენა არ ეყურებოდათ, მაინც აღტაცებით ისმენდნენ მათს მუსიკას. ფრანცამ ინახულა მეფე, მეფის ასული და დაბრუნდა ტრაპიზონს და ნახულ-გაგონილი მოახსენა იმპერატორს. ფრანცა მეორე წელიწადს მოვიდა და დაწინა მეფის ასული, რომელსაც მამამ მისცა მზითვად 50,000 ღუკატი და ყოველ-წლიურ ჯამაგირად განუწესა 5,000 ღუკატი. ფრანცამ ამის შემდეგ კოსტანტინეპოლს წაიყვანა მეფის მოციქული, რომელიც სიხარულით მიიღო იმპერატორმა, „ოქროს სიგელი“ შეადგინა თავის დაწინდვის შესახებ, ზედ დაასო სამი წითელი ჯვარი და ქართველს მოციქულს უბრძანა, რომ მომავალის წლის გაზაფხულს (1453 წ.) პატარძლის მოსაყვანად საქართველოს გამოგზავნი ეგმებსო. ამის შემდეგ გადაეხვია ფრანცას, მადლობა უთხრა და უბრძანა მომავალს წელს ისევ მოგიხდება საქართველოში წასვლა იმპერატორის მოსაყვანადო. გარნა ეს დაწყობილება არ აღსრულდა, ვინაიდგან სწორედ იმ წელიწადს, რომელსაც პატარძალი უნდა წაეყვანათ, კოსტანტინეპოლი აიღო სულთან მურად II-მ და იმპერატორი კოსტან-

\*) იხ. კაბბონის ისტორია.

ტინე XII დაიღუპა დიდებული ქალაქის ნანგრევებზე.

გავიდა კიდევ რაოდენიმე ხანი და საქართველოს ახლა მძვინვარე და დაუძინებელ მტრებად გაუხდნენ სპარსეთის ყაენები და ოსმალეთის სულთნები.

1463 წელს ასანბეგ ყაენის ჯარმა აიკლო ქართლი, მეფე გიორგის საგანძურნი წარიტაცა და უკუიქცა. ეს რომ იხილეს მოვაკნელებმა და შირვანელთ, განუდგნენ მეფეს და ხარკი აღარ მისცეს.

1469 წ. მეფე კოსტანტინე ეკურთხა ტფილისს. უზუნასან ყაენმა აიღო ტრაპიზონი და 1478 წ. შემოვიდა სომხეთს, გააოხრა იგი; მერე მოვიდა სომხითს, შემოადგა ორბეთის ციხეს, ვერ აიღო იგი, გამოსწია და შემოერთა ტფილისს. კოსტანტინე იძულებულ იქმნა დაეთმო ქალაქი ყაენისათვის, რომელმაც თვისი მეომრები ჩააყენა ტფილისის ციხეში და შეესია ქართლს და დადგა მუხრანს. აქედგან წარგზავნა ჯარი, რომელმაც მოარბია ქართლი, ხერკი, საგურამო და თიანეთი. ამ დროს ყაენი დასნეულდა, მეფეს დაუბრუნა ტფილისი, გარდა მისის ციხისა, რომელშიაც სპარსთა მეციხოვნენი იყვნენ, და თვითონ დაბრუნდა სპარსეთს და მოკვდა. გაყაენდა იაყუბი. სცნეს-რა ყაენის სიკვდილი, ტფილისის მეციხოვნენი გამოვიდნენ და სპარსეთს გადიხვეწნენ. მეფემ აიღო ტფილისი, გორი; მოსწყვიდა ყაენისაგან ქართლს დასახლებულნი ელნი.

1486 წ. იაყუბ ყაენი შემოვიდა სამცხეს და შემოუსია ჯარი, რომელნიც თავს დაესხნენ დბანისსა და ქვეშის ციხეს; მოსტყვენვეს, მოაოხრეს და დაბრუნდნენ. ქალაქს ეღარ მოვიდნენ, რადგან იგი ფრიად გაემაგრებინა მეფეს და ამასთან საბარათიანოს ლაშქარი ძლიერად შეება მათ და მუსრი გაავლო.

1486 წ. იმავე ყაენის სპასპეტი ხალილბეგ მოვიდა სომხითს, აიღო ციხეები ქაოზიანი და აღჯაყალა, გაამაგრა იგინი და ტფილისს გარემოადგა და ძლიერი ბრძოლა ასტეხა. მეფე კოსტანტინე ამ დროს იმერეთს იყო. იგი მსწრაფლ მოვიდა და საბარათიანოს ჯარით დაეცენ სპარსელებს კანდარს და სრულიად მოსწყვიტა იგინი. ტფილისის გარემოდგომილთ თავზარი დაეცათ და გაიქცნენ. კუმისის ბოლოს გაღუსწრეს მათ ქართველებმა, მოსრეს და მათი თავები ღობე-მარგილებზე ჩამოაცვეს. ხალილბეგმა ძლივს მოასწრო გაქცევა.

1490 წ. იუზუბის ჯარი კვალად შემოვიდა სომხითს, აიღო კოყრის ციხე და მოადგა ტფილისს. იბრძოლეს დიდხანს და ვერ აიღეს. შეუსიეს რაზმი ორბეთს, მაგრამ იგინი ამოსწყვიტეს ბარათიანთ. ტფილისის გარემოდგომნიც გაიქცნენ, მაგრამ ამათგანაც უმეტეობა ამოწყვეტილ იქმნა. მეფემ აიღო აღჯაყალა და ქაოზიანი და ქალაქს დაბრუნდა.

ამავე წელიწადს მეფემ მოიწვია თვის სასახლეში კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარბინებულნი და დაეკითხა მათ: „რა გჰყოთ განდგომილობისათვის ქვეყანათა და ეითარ მოვაგოთ კვალად მეფობასვე ჩვენსა?“ ითათბირეს დიდ ხანს და დაადგინეს: „ვინაიღვან მტკიცედ სდგან ერთგულობასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არ ჯაგიზრახავთ, მეფეო, ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მრე ვექმნნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასავე შენსა“.

1512 წ. ყაენების ძლევამოსილობის საწინააღმდე-

გოდ სამცხეს შემოვიდა ხონთქრის დიდ-ძალი ლაშქარი. რომ ქართველები არ მიმხრობოდნენ მას, ყაენი შაჰ ისმაილ მსწრაფლ წამოვიდა ტფილისისკენ. მეფე დავითმა (1505—1525 წ.) ერთგულება გამოუცხადა მას, თვისი ძე აახლა და ძღვენი მიართო. ყაენი გაბრუნდა და დაიპყრა დიარბექირი. აქ მას შეება ხონთქარი სელიმ და დაამარცხა.

1522 წ. შაჰისმაილ ყაენი დიდის ლაშქრით შემოვიდა სომხითს, აიღო აღჯაყალა და იქიდგან ტფილისს წარმოგზავნა ჯარით ყარაფილი; მას სხვა ჯარით უკან გამოადევნა ელიასბეგი და თვითონაც ნელა-ნელა წამოვიდა. მეფე ტფილისიდან გავიდა თავის ჯარით და თელეთს შეება ყარაფილს, მრავალნი გაჟლიტა და დანარჩენნი გაიქცნენ. გაქცეულებს შემოხვდათ ელიასბეგი და უკანვე დააბრუნა და გამოსწია ტფილისისკენ. მეფე და მეფის ძე ლუარსაბი სასტიკად შეებნენ მტერს და პირი აბრუნებინეს. გაქცეულებს დაედევნა ლუარსაბი და ყათლამი უყო. ამ დროს იაღლუჯიდან შემოპარულიყო თვით ყაენი და ზურგის მხრივ მოსდგომოდა ქართველებს, რომელნიც უკვე დაღალულიყვნენ. შეიქმნა ომი სასტიკი. ქართველები ლომებრ იბრძოდნენ, გასწყვიტეს მრავალი მტერი, გარნა ბოლოს იძლივნენ და გაიქცნენ. ყაენი მოადგა ტფილისს, რომლის საშველად ქართლის ჯარით მოდიოდა მეფე დავით. ყაენმა მოისყიდა ციხის-თავი და აიღო ციხეცა და ქალაქიც, სადაც შემუსრა ხატნი და ჯვარნი, გაძარცვა სიონის ღვთის-მშობლის ძვირფასი ხატი და მტკვარში ჩაავდო (ეს ხატი შემდგომად იპოვნა ბატონმან ლევან ნავთლულის ქალაშიო, შენიშნავს მემატიანე), გასწყვიტა მოქალაქენი და ტყვე-ჰყო; ავლაბრის ხიდის

ყურზედ ააშენა მეჩითი, ციხეში შეაყენა თავისი მცვე-  
ლები და მერე წარუგზავნა თვისი ჯარი ქართლისა და  
სამცხის ასაოხრებლად. გული რომ შეიჯერა ყაენმა,  
აიყარა და წავიდა სპარსეთს. ხოლო დავით მეფემ მოს-  
რა მის მიერ ქალაქის გარემოს დაყენებული თათრობა,  
აიღო ტფილისი (1513 წ.) და გასწყვიტა შიგ მყოფნი  
სპარსნი; წავიდა და აიღო აღჯაყალა და გარეკა ყი-  
ზილბაშნი.

1536 წ. ყაენი შაჰთამაზ მოვიდა განჯას და იქიდ-  
გან მიეპარა ტფილისს, აიღო იგი და გადასწვა. მეცი-  
ხოვნენი შეშინდნენ და ციხე გადასცეს ყაენს, რომელ-  
მაც ციხეში თავის ჯარი ჩააყენა, ხოლო ქართველნი  
მეციხოვნენი გაამაჰმადიანა და უკუ იქცა. დაბრუნდა  
რა ყაენი, მეფე ლუარსაბმა (1534-1538 წ.) მოსრა  
ყიზილბაშნი და აიღო ტფილისი.

1548 წ. შაჰთამაზი კვალად მოვიდა შირვანს და  
იქიდგან ტფილისს, რომელიც აიღო, გასწყვიტა შიგ  
დარჩენილნი ქართველნი, ციხეში შეაყენა მრავალნი  
მცველნი და დაბრუნდა. მეორე წელიწადს ისევ გამო-  
ილაშქრა, შემუსრა კარი, აიღო არტაანი, მოაოხრა  
სამცხე, თრიალეთი, საბარათიანო, ბიცხვისი, შემუსრა  
გორი, აიღო ვერისციხე, ატენი, საცა დაატყვევა ლუ-  
არსაბის დედა და მრ. წარჩინებულთა ცოლნი, წამო-  
ვიდა მოვაკანს, ერევანს და სხ. დასვა ხანნი, ბეგ-  
ლარ-ბეგნი, სულტანნი და მათ უბრძანა მიშველგბოდ-  
ნენ ტფილისს, თუ მას დაეცემოდა მეფე ლუარსაბი.  
ყაენის წასვლისავე უმაღლ მეფემ გასწყვიტა ტფილისის  
არემარეზე მოსახლე თათარ-სპარსნი და გარემოადგა  
ქალაქს. მეციხოვნე სპარსელთ შველა სთხოვეს განჯის  
ბეგლარ-ბეგს შავერდის. იგიც წამოვიდა. მას დაეცნენ


ლუარსაბი და მისი შვილი სვიმონი, ამოქოლიტეს და უკუაქციეს. გარნა მეფემ კრილობა მიიღო და აღესრულა (1558 წ.).

მეფე სვიმონი ეკურთხა მცხეთას. გარემოდგა ტფილისის ციხეს და შეაქირვა მეციხოვნენი, რომელთაც ყაენმა მოაშველა ჯარი და საქართველოს მეფედ დანიშნა გამაჰმადიანებული დაუთხანი, ძმა სვიმონ მეფისა. დაუთხანი წამოუძღვა ყიზილბაშებს. მოიშველია განჯის ხანიცა და ტფილისს შემოვიდა. სვიმონი გამაგრდა დიღომს. დაუთხანი დაეცა მას, მაგრამ იძლია და შეივლტო ქალაქს (1567 წ.) და სვიმონი გარემოდგა მას და შეაქირვა. დაუთხანმა შემწეობა ითხოვა ყარაიმლუს სპასპეტის უსეინბეგისაგან. უსეინბეგი შემოიპარა ტფილისს. სვიმონი ავიდა ტაბახმელას. განლაღებული დაუთხან გამოვიდა ქალაქიდან და ეკვეთა სვიმონს სამადლოს, გარნა ძღვეული გამოიქცა და შემოიხვეწა ტფილისს; ხოლო სვიმონი ისევ ტაბახმელას დადგა. დაუთხანმა თვისი გაქირვება აცნობა ყაენს, რომელმაც უბრძანა განჯა-შამახის ბეგლარბეგებს დაეჭირავებინათ ჩერქეზნი, ლეკეთის შამხალი და მიშველებოდნენ დაუთხანს. ეგრე ქმნეს. დაუთხანი დიდძალის ჯარით ფარცხისს ავიდა. სვიმონი იდგა აწუფისს. მას უღალატა კახაბერ ყორღანაშვილმა, გაიქცა მტრებთან და მოუძღვა მათ. სვიმონი მწვავედ შეება მტრებს, ჰკლა, მუსრა, ჟლიტა და პირი აბრუნებინა. ამ დროს ყორღანაშვილმა სპარსელთ ანიშნა „აი ეგ არის მეფეო“. მიესიგნენ მას და დაიქირეს (1569 წ.). სვიმონის ჯარი გაიფანტა. გამარჯვებული დაუთხან ტფილისს მოვიდა და ტახტზე დაჯდა, სვიმონი კი წარუგზავნა ყაენს, რომელმაც იგი ჩასო აღიამუტის საპყრობილეში.

რჯულისა და ქვეყნის მოღალატე დაუთხან რომ განცხრომაში იყო, არას ზრუნავდა ქვეყნისათვის, საქართველოს შემოესია ოსმალთა სარდალი ლალაფაშა. მან გამოვლო სამცხე, ქართლი და მოადგა ტფილისს. ბიწიერ დაუთხანმა გადასწვა ქალაქი დე თვითონ თავი შეაფარა მთის სიმაგრეებში. ლალაფაშამ აიღო ტფილისი, დაიპყრა ქართლი, სამცხე და იმერეთს შეუსია რაზმი; გარნა ეს რაზმი ამოჟლიტეს იმერლებმა და ქართლებმა. ლალაფაშა წავიდა შირვანს, დაიპყრო იგი, დაბრუნდა და დადგა მუხრანს. ყენი (ხუდაბანდა) ამერეთს თავისად რაცხდა და ამიტომ ამ ქვეყნის ბატონობას ვერ დაუთმობდა სპარსეთის დაუძინებელ მტრებს, ოსმალებს. გარნა ოსმალთა შემოსევის შიში თვითონაც ჰქონდა და საქართველოსთვის არა სკალოდა. ამიტომ ხუდაბანდამ თავის დედას ოთარ შალიკაშვილის ასულის რწევით საპატიმროდან გამოიყვანა სვიმონი, მეფობა დაუმტკიცა, 9,000 თუმანი განუკვეთა, ქართველი ტყვეები მისცა და დაავალა „წადი, საქართველო დაიპყარ და ოსმალნი გარეკეო“. სვიმონი წამოვიდა. მას მიემხრენ ქართველნი. დაუთხანი ლალაფაშას შეეფარა და წავიდა სტამბოლს, საცა მოკვდა. ლალამ ტფილისი საფაშოდ ჰყო, ხოლო გორი სანჯაყად. მერე წავიდა და სამშვილდის სიონი დაანგრია, ხოლო მისი ციხე გაამაგრა. სვიმონი მოვიდა და აიღო ლორე, გორი და სხ. ციხენი, გარდა ტფილისისა. ლალაფაშა მუხრანიდან სამცხეს წავიდა და მის მაგიერ მოვიდა სინანთაშა, რომელმაც აიღო ლორე, გორი და დადგა მუხრანს. მას თავს დაესხა სვიმონი და შემუსრა იგი. ფაშა გაიქცა და ძლივს შეასწრო ტფილისს (1581 წ.). მეფე ლილოს ავიდა და წარგზავნა რაზმი

ტფილისის ნახირთა წამოსასხმელად. მათ გამოუხტნენ  
ოსმალნი, ხოლო მეფე დაეცა მტრებს და ამოჟლიტა  
მცირეოდენის გარდა! მეფე წავიდა და შეება ლორეს  
ფაშას, რომელიც დაამარცხა, უკუაქცია (1582 წ.), და  
ლორე აიღო (1 აპრილს). აქედგან მოვიდა ტაბახმელას.  
მას დაეცა ტფილისის ფაშა, რომელიც შემუსრა მეფემ  
და ტფილისში შეაგდო და თვითონაც მოადგა ქალაქს,  
აიღო იგი და რაც ოსმალთა ჯარი იყო სულ ერთიანად  
ამოსწყვიტა (1583 წ.). შემდეგ ამისა მეფემ აიღო სამ-  
შვილდეც და ოსმალნი აქაც გაჟლიტა. ამის გამგონე  
სულთანმა დიდძალი ჯარი გამოგზავნა. ეს ლაშქარი  
დადგა ხატის სოფელს, გარნა სვიმონმა გაჟლიტა  
ეს ლაშქარიც, აიღო დბანისი და რაოდენიმე  
წლის შემდეგ გორიც (1599 წ.). სულთანმა ახლა ჯა-  
ფარფაშა გამოგზავნა უამრავის ლაშქრით. ჯაფარფაშა  
დადგა ნახიდურს, სვიმონი საღირაშენს. მტრის ჯარის  
დასაზვერადად გამოსული სვიმონ მეფე შეიპყრეს მტრებ-  
მა და წაიყვანეს სტამბოლს (1600 წ.).

მისე ჯანაშვილი.



კიკოლას ნაამბობი.



I

სის წლის მეტის ვიქნები, —  
 ასე დაწყეთ კიკოლას, —  
 გამომწვას, გამომბარმმედა  
 ამ წუთისროფლის მიუღლამ.  
 მადლი ხუმს გამხუნს, ჯერ კადევ  
 არ დაშელებია ძალ-ღონე.  
 ვარ ბევრა რამის მხახველი  
 და უფრო ბევრის გამგონე.

სსოგნა ისევე სრული მაქვს,  
 არ დაშელებია, მკონია:  
 თვალ წინ მიდგია, რაც ვნახე  
 და ან რაც გამაგონია.

ბეული და ახლის მოწამე  
 სსკა ხემისთანა ძვირია! —  
 მე გეტყვი და შენ დამღერე!...  
 შუა-მავალი სტვირია!...

ბეგრი მინახავს დიდ-კაცო,  
მაგრამ ზურაბი\*) სხვა იყო!  
ამისი ეფთვა-ცხვრება  
დაუღეველი ზღვა იყო!

ამისი ციხე ღარბაზი  
ცას თავით ებჯინებოდა;  
მისი მტერი და ორგული  
შიშით ცოცხლადვე სდებოდა.

შორს გამჭვრეტელი, ჭკვიანი,  
ცნის მთას გადაღმა ჭხედავდა;  
ხელში ეჭირა თვით მუფე:  
უმისოდ ვერას ჭხედავდა.

ასე ბრძანებდა: „სომ ჭხედავთ  
ამ ჩემს მარჯვენა ხელსა?  
მთელს იმერეთში არ გავცვლი  
სახლთხუცესს-წერეთელსა!!“

ამის მტერი და ორგული  
მოდალატა ჩემიო!...  
უსიტყვოდ დაემორჩილეს  
ამ ჩვენი ქვეყნის თემიო!“

სუეველა ამას ჭფიქრობდა:  
მოკვიჯადოვა მუფეო...  
ვამ თუ ბოლოს გასწიროს  
სიკეთე მოიუფეო!

\*) წერეთელი

ჰიფიქრობდნენ, მაგრამ ხმა-მადლა  
ვინ გაჰბედავდა ძრახვას?  
უხმოდ იკლავდენ გულის თქმას,  
შაშობდენ რისხვის ნახვას!

მე და ჩემი ძმა, ორივე,  
შინა უმად ვახლდით დღიერსა;  
ვერვინ გუნახავდა მის ხელში  
შაშველს, შწეურვალს და შშიერსა.

მრისხანე იყო. ხან და ხან  
სულ უბრალოზე სწერებოდა,  
მაგრამ სხვიის მაინც ის ჩვენი  
შავ-ბედა ენატრებოდა,

რადგან მას საემოს ვაკლანხად  
ვერავინ რასმე ჰკადრებდა;  
წვიადი იყო ბატონი —  
სხვიებს თავს არ გაუყადრებდა!

მთელს მას საემოში ჩვენ ვვაკლდით  
ორივე სძეობა რჩეულად,  
არ გვიძორებდა არც ერთს წამს,  
ვეველგან თან ვახლდით ჩვეულად.

ბრძანებდა: „ბერიკს, მამა თქვენს,  
მიუძღვის სამსახურიო...  
იმას მიჰბაძეთ! გეჭიროსთ  
ფრთხილად თკალა და ეურიო!

ხომ იცით, ერთგულს არ ვერჩია.  
არ ცავასარებ ორგულსო!..  
მონა ურჩია და მზაკვარია  
თვით მეუფესაც კი სძულსო!“

ჩვენ რა გვეთქმოდა? და მხოლოდ  
თაუვანსა ვსტეშდათ მონებით,  
თავ-დადებული იმისთვის  
სიტყვსლით, გრძობით, გონებით.

## II

ერთხელ დავარდა ჩვენში ხმა:  
ქართლს მონდგომია ჭირიო,  
ასაკლებს-ასაონრებლად,  
შეუკრავთ თათრებს შირიო;

აღა-მაჰმად-ხან მოუძღვისთ  
თქვერნით წამოსულიო,  
ქალაქს უშირებს ადებსა  
ის ხოჯა გულ-მოსულიო!

განრისხდა მეფე ირაკლი—  
გალომებული სელია...  
სთქვა: „ვაი რა დროს მომასწრეს,  
დონე რამ შემთქლია!!...“

სიბერემ დამაუძღურა,  
დამაუძღურდა კრიო,  
თორემ ამ თავის აკდებას  
ვერ გაჭებდავდა მტერიო.

ათ-ათი მოჭყაფს თითოზე,  
სწახს, იმედი აქვს რაცხვისო;  
მაგრამ ქართველი ვაკლასად  
არვისგან გაიკიცხვისო:

ან მოჭკლავს, ან შეაკვდება,  
სარცხვილს კი არ სწამს გშირიო,  
მაგრამ გაწუდება ქვეუანს  
და ამას უფრო ვსტირიო!...“

წადგა სოლომონ\*) მდივანი  
სთქვა: „სიტუვას გკადრებთ ერთხაო:  
გარდუვალა ხვენს თავზედ  
ის, რაც ჰსურს მადალ-დმურთსაო!

წინ ნუ შეეხვებით მომსულელ მტერს,  
აქ შევავრთვით ჯარიო;  
ტფილისს ქალაქში გაგმავრდეთ,  
დავჭკეტოთ ციხის კარიო.

\*) ლეონიძე.

შევატუობინთ სოფლიმის,\*\*)  
რომ მოგვაშეგლეს ჯარით,  
და მაშინ ამოვიყარეთ  
ეიზილბაშების ჯარით!“

დაუჭდა რჩევა ირაკლის  
და შდივანს მაღლი უბრძანა.  
სახქაროდ წიგნი დასწერა,  
შეილი-შეილს გამოუგზავნა.

### III

მოეწერა: „მეფობით ძმაჲ,  
სისხლით ჩემო შეილის-შეილო,  
მაგრამ შეილის თანასწორო,  
საიმედოჲ, ნუგეშ-ტკბილო!

ღმერთმა ის დღე შენს მტერს მისცეს,  
რაც დღე ადგეს ზანა შენსა:  
ახრებას უზირებენ  
მის ნადგაწლს და მის ნაშენსა!

თუქვრანით წამოსულა  
ხოჯა ხანა, ის ღვთის მტერი,  
და უნდა რომ ჩვენს ქვეყანას  
აადინოს რისხვით მტერი;

\*\*) იმერეთის მეფეს.

ჯარი მოჭყავს უთვალავი,  
მე არ მუავს არც შეათედი!—  
სიბერის ღრის ღმერთს შევძულდი  
და მღალატობს, ვხედავ; ბედი.

ვფიცავ ზენას, უბრალო ვარ!...  
შინ საქმე მაქვს არეული...  
ეველს ერთად ამტკიას—  
შინ მუთფი და გარეული.

თხვრით ვხედავ უფლის-წულებს,  
რომ ერთმანეთს ჭკლეჯენ კალთას;  
სხვს და სხვს მხრით მიაწევენ,  
ზოგი „აღთას“, ზოგი „ბაღთას“!...

ანდერძი და ჩემი აღთქმა  
გამიტუღდა, გამიქარწულდა:  
დაბალ-ღობედ მივანნივართ—  
უძღურინ კი გამიძაღდა!...

შინ ბევრი მუავს მღალატე,  
გარედ მტერი უთვალავი!..  
რას გააწეობს მარტო ჩემი  
ფარ-ხმალი და გულ-მკერდ-მკლავი?!

მის შემდეგ რაც საქართველო,  
ორ ნაწილად გაუთფილა,  
მშვიდობა და მოსვენება  
ადარც ერთში არ უთფილა.

გვაფაწუდებს, რომ ძმები ვართ  
ერთმანეთის განაურა;  
ერთის სისხლით მორწყული გვაქვს  
მინდორა, ტყე, მთა და ბაღი.

---

ერთა დედის ძუძუები  
არის ამერ-იმერეთა!...  
ჩვენ ძმები ვართ ტყუპის ცალი,  
საქართველო—დედა ერთა!..

---

ცალი ძუძუ რომ ჩამსჭრან  
და შიმშილმა მოჰკლას ერთა,  
ცალ ძუძუს და მეორე ძმას  
რადა შეუბას მისცემს დმერთა?

---

მადი, შვილო, მამუსწრაფე,  
იმერლეო მამახმარე!!  
ერთბა და ქრისტეს სჯული  
ერთი მხარეს გაამუარე!“

---

## IV

რომ წაიკითხა მეფემ ეს წიგნი,  
ელდა ენა და ჩაუარდა ენა;  
თვალეებზე ცრემლი მოადგა სიმწრით,  
და სახეზედაც დაეტოოა წიგნი.

---

გონს რომ მოეგო, გააკდოა წიგნი  
და კარის კარებს ასე უბრძანა:

„ნეტავი ეს კი არ გამოგონა  
და დამტკივდა ზედ გულზე ღანს!...“

ეს რა მოჭსულია შეივე ირაკლია!  
ამ სიბერის დროს რისხვა სწევდა:  
აღა-მაჰმად-ხან უიზილბაშებით  
ასაოხრებლად შემოსევია!..

ის წვეულები მოულოდნელად  
თავს დასტკივან, როგორც კაღა...  
დახმარებას გვთხოვს შეივე ირაკლი,  
და შემწობაც ჩვენი ვაღა.

უნდა შევჭვაროთ სანქაროდ ვარი,  
რომ მივაშველოთ!... თქმა აღარ უნდა!...  
და ჩვენებურად, მამა-შაჰურად,  
მტკერს მივაყაროთ ჩვენც ქვა და გუნდა!“

უკვლად დასთანხდა... სასლთ-ხუცესი კი  
წამოდგა ზეზე და მოასხენა:  
„ბატონო შეივე! ერთს სიტყვას გაადრებო  
და მერე გინდა მომტკერო ენა:“

„გული შეივეთა—ხელთა უფლისა“, —  
საყვეულოთა არს აღსარება, —  
მაგრამ ხელმწიფეს მაინც არ ჰმართებს  
გულის აუთლა და აჩქარება.

სიფრთხილუ ჰმართებს მომეტებული,  
რადგანაც სხვების ბედსაც განაგებს;

მის ხელში არის მთელი სამეფო  
და მის მაგიერ ზსახუნსაც აკებს.

—  
ნუ მოუშდლას ღმერთმა ირაკლის  
თქვენა ნუგეში და ეკ იმედი!...  
მაგრამ ვაი თუ მაგ კეთილბოთ  
აქ გაუმრუდოთ იმერეთს ბედი:

—  
ეს ეველამ ვიციოთ, თათრის ექენი,  
ძლევა-მოსილი, თავ-მომწონია,  
მაგრამ ჭერ თვალით კი არ გვინახავს  
და მხლად ამბად გაგვიგონია.

—  
სწარსელებიან ქართლსა და კახეთს  
ბევრჯელ დაეცა ზარი და მენი,  
მაგრამ, მადლი ღმერთს, იმერეთისკენ  
არ გადმოუდგავთ ჭერ იმათ ფენი.

—  
შაჰ-აბაზის დროს კახეთის მეფე  
ჩვენში ეძებდა თავის შესთვარს...  
ექენი მხლად მუქარას სთვლად  
და ვერ ჰგზავნიდა ჩვენსკენ თავის ჭარს,

—  
რადგანც ერთხელვე გამოუნატავსო  
ჩვენი ქვეყანა საშიშარ მხარედ,  
მაგრამ დაზოგვით კი არ დაგვზოგვენ,  
თუ დაგვიხელთეს მათ საღმე კარედ.

—  
ჭარი ცოტა ჰყავს მეფე ირაკლის...  
დაამარცხებენ, უკბედა, !

და იმერლებიც რომ იქ გასწევიტონ...  
ეს რა ზეგა და საქციელია?

რომ წამოვიდენ შერე ჩვენსკენაც  
და მოინდომონ ჩვენი დაპურობა,  
ვინდა დახვდეს მობირდაპირედ  
და რაღას გვარგებს სხვისი მოყურობა?

არა, მეფეო! ჩვენ ჩვენთვის ვაუთო,  
ისინი მათთვის, ასე სჯობია!...  
რად დავიწუღულთ სხვისათვის გული,  
როცა ისარი ჩვენ არ გვესობია!“

დაფიქრდა მეფე... \* დაღონებულმა  
ადარ იცოდა, რა უნდა ეთქვა!..  
ზურაბ წერეთლის სატყუა-მასუხი  
გულზე დააწვა, როგორც საბი ქვა,

მაგრამ მაშინვე ადგა სარდალი  
ქაინოსრო\*) და ასე დაიწყო:  
„ბატონო, მეფევ! თქვენც იცით, რომ მე  
სამხედრო საქმის არა ვარ უცხო!

და ამისთვის ვჭკადნიერდები,  
რომ მოგახსენოთ მეც ერთი სატყუა:  
—სწორედ არა ვარ მისი თანახმა,  
რაც სახლთ-ხუცესმა თქვენ წინ წარმოს-  
[თქვა!...]

\*) წერეთელი სარდალი.

შინაგან საქმის აწონ-გაწომას  
სახლთ-სუტუცობის მითხროვს ვაღვი,  
მაცრამ სამხედრო საქმის შესახებ,  
მე უკეთ გავსჯა, როგორც სარდალი:

ჩვენა გუეავს ჭარი თხისა სასარდლო,  
და რომელსუდაც მიდგება ჭერი,  
თვითთ და თვითთ სკამთა არის,  
რომ შეაყენოს მომსგულელი მტერი!

რომ შეგვიძლია, რომ შუა გავჭეოთ:  
ორი აქ დარჩეს—ორი გავკზავნოთ;  
სახამდი მტერი წამოვიდოდეს,  
სახდვარს გადაღმა დავაზიანოთ?

და თუ მაშინაც არ დაიშალნ,   
ორი სასარდლო წინ მივაგებოთ!  
არა მკონია, ამ სამაგრეში,  
რომ ვინმემ გვიძლიოს ჩვენ უკანგებოთ.

და თუ განგება გავვირისდება,  
გადაინრება მათეკნ სასწორო,  
მაშინ რიცხვითაც ვერას გავაწეობთ:  
ერთი იქნება, თხისი, თუ ორი! ..

რომ გაათავა სარდალმა სიტყვა,  
წინ წადგენენ ერთად დარბაისლები,  
ნიშნად თანხმობის და ერთგულების  
მათ მოიყარეს ერთად მუნლები.

და მათსენებს: ბატონო მეუვე,  
სუვეველა ამის გვევედრებითო,  
რომ ქართლელთ ღვინი ჩვენა ღვინია  
და მათ ჭირშიან დავესწრებითო!

---

იამა მეუვეს და ასე ბრძანა:  
სწორედ მაკ სიტუვას მავუელადიო!  
„ძმა ძმისთვისო, შავ-ღღისთვისო“,  
აწ ადარ მაწიკვს გუღსე ღოდო.

---

მერე შევეითხა ზურაბ ვერეთელს:  
ნამ გესმის ქვეყნის სურვილ-ნებაო?  
ვუიდავ ჩემს მზესა, მეც თანახმა ვარ,  
უამისობა არ იქნებაო!

---

სოქვა და წამოღვა. სარდალ ვერეთელს  
ჯარის შეკრება უბრძანა ჩქარა:  
ეწიანა ზურაბს სიტუვის გატეხა,  
მაგრამ გაჩუმიდა, ვეღარა სოქვა-რა.

---

მხელად ეძებდა უფრო მარჯვე დროს,  
რომ მეუვე მარტოდ-მარტო ენახა  
და წაეუვანა მაინც იმავე გზით,  
რომელიც ადრევე მან განიზრახა.

---

და მართლაც, მარტო რომ დაიხვლა,  
დაუწყო მეუვეს ტკბილ-საუბარი:  
გველი რომ ადამს ეუბნებოდა,  
სწორედ მისთანა და მისი გვარა:

---

„ბატონო ჩემო, თქვენი განზრახვა  
შეკარდმო არის შთაგონებული.  
შეცქარეთ ცოდვით და სიბრალუდით,  
ღმერთმა სომ იცის, მაკვნესის გული.“

მაგრამ ხან-და-ხან გულის აუღლა  
საზარალა და სასიფათო,  
ვინ, თუ ჩვენი საქმეც გაფუჭდეს,  
და ბევრი ვერც რამ ვარგოთ იმათ!

ახქარებითა და ფაცო-ფუცოთ  
განა ამგვარი საქმე იქნება?!  
შეტუბო უნდა სომ ფოველიფურს:  
ჰერ გამოკვლევა... შერე შეგნება.

რომ მივალთ--ვისთან ჯ რაზედ მივალთ?  
უნდა შევატყოთ ჰერ დაწვრილებით;  
და რომ გავიგებთ ავსაც და კარცსაც,  
ჩვენ მხოლოდ მაშინ მივეშველებით.

ის დადგენილი ურუდ იწერება,  
გიბარებსო, თვითქმის უბრალე სარდალს.  
ეს თქვენს შეუბასს არ ეკადრება,  
ენაც რომ მამწრათ, ვიტყვი მე მართაღს.

მღევარა არ ხართ, შევე ბრძანდებით,  
უნდა წაბძანდეთ დიან შეფურად:  
დიდ-ძალის ჯარით, სახით და საგზლით,  
რომ არცინ მოკვდეს იქ უმადურად.

სხანამ სარდლები აქ ჯარს შეჭერადენ  
მე რომ გიანხლოთ, ის არ აჯობებს?  
ადგილობრივუკუნე ვინახავ უფლიფურს,  
და გამოვიკვლევ იქაურ ამბებს.

მანამდე თქვენც აქ ჯარს მოაკვარებთ,  
წამობძანდებით მომზადებულად,  
ისე, როგორაც შეშვენის შეფეს,  
წინდახედულად და დიდებულად“.

დასთანხმდა მეფე და სხლოთ-ხუცესი  
მეორე დღესვე ქართლში გაგზავნა,  
მაგრამ იმ დროსვე ჯარის გაწვევა  
დაუყოვნებლივ სარდლებს უბრძანა.

## V

მეორე დღესვე ზურაბმა  
კორტობი გადაიარა,  
თავისი გულის ზასუხი  
არაჟინს გაუზიარა.

ათას-ორასი მხედარი  
თან მოჭყეუებოდა ჯარადა,  
მაგრამ არაჟინ იცოდა,  
სად მიდიოდა და რადა?

ქალაქს რომ მიუახლოვდენ,  
მაშინ კი ბრძანა: „კმარაო,

ამის მეტს ბიჯსაც ნუ წასდგავთ,  
ჩამოხტით აქვე ჩქარაო?”

ერთს უფროსთაგანს უბრძანა: —  
აქ დასვენე უგელაო,  
დავეესაც არვინ გაბედოს,  
სხანადის ასე ბნელაო!

რომ ხმაურობა არ ასტუდეს,  
ბეგრს ნუ დაღვევს ღვინოსო,  
უგელამ ცხენს თოფურა მიუცა,  
რომ აღარ აჭინვიანოსო.

ვინც კაკაბუდავს უჩიობას,  
მოვეკიდება აუადო,  
და შე კი თვაითონ მიუღივარ  
არაკელის სხანაუადო.

იანლა შეუეს, — რა უთხრა,  
არვინთვის გაუმსელაო,  
მაგრამ რომ დაადაჯატა —  
ცხადი და უკველაო.

ამბობენ, მეუფე არქიმუნა,  
სურდლათ შე გამომკზავნაო,  
ოცა ათასი მხედარად  
გამომატანა თანაო.

საომრად დამზადებულა,  
აკერ მახლობლად დგანანო,

და დრო გაქვს, მეფემ რომ შენს მტერს  
მისი საბრძოლველად ახანო!

—

ბრძოლვას დააწვევით თუ არა,  
თავს გადაუწყვლით თათრებსა,  
მთელი დღისადაც დავესწივით,  
დაუკარგვინებთ დაუთრებსა.

—

დროს ხელა ჰკარგავთ... ძვირად დარს...  
ახლავე ავსტრელით რამა,  
რომ უგებულად დამარცხდეს  
თქვენა წახდენას მდომილ! —

—

დაამედა მეფე და  
თავად კი ჩვენთან მიბრძანდა.  
არ გვითხრა, რასთვის წავიდა  
და ან რად დაავიანდა.

—

მაგრამ ჩვენ ეჭვი ავადეთ,  
ვუცდიდით გათენებსა;  
ბატონას სატყუას ველოდით  
და მის ბძანება-ნებასა.

## VII

განთავდასხს შორით, სადღაცა  
ზურნამ საზარლად დაიჭიკუნა;  
ასტუდა თოთის სმ და მას თან მოჭიკვა  
სრიალ-კრიალი!... დასრეს კიუნა.

—

სე წამოგვივლით, ცხენებს მივმართეთ  
და გამოვეწვეეთ ჩვენცა საომრად.  
კათკებული ჯერ კიდევ სრულად  
არ იყო, მხალხად სცემდა მტრედის ფრად.

—  
ხმა საოცარი, ხმა საომარი,  
უფრო და უფრო ძლიერდებოდა,  
მაგრამ თვალთ კი, თუ არ ახლავსვე,  
შორს არაფერი იხედებოდა.

—  
ვიცდიდით, სანამ დილის ნათელმა  
სულ არ გაჭთვანტა წვევდიადი ბნელი,  
მაშინ კი შორით გადავიხედეთ  
და დავინახეთ ერწანისის ველი.

—  
როგორც კალია მოხდვავებული,  
ერთის მხრით იდგა ურიცხვი მტერი,  
მხე აღარა სჩნდა, შავ-ღრუბელივით  
ამდგარი იყო ბღღვირი და მტვერი.

—  
წინ ქართველები გუნდად და გუნდად  
სალ-კლდეებივით ედობებოდნენ:  
ენა ვერ იტყვის, თუ რა საოცრად  
და შეუზოგრად ეომებოდნენ.

—  
მაგრამ იმავე დროს კი ეტყობოდა,  
გუნდა თან-და-თან რამ მცირედებოდა,  
მაშინ როდესაც მოსისხარ მტრის ჯარს  
ახალ-ახალი ემატებოდა.

ძნელა, როცა ათი და ოცი  
მარტოს იბრიუვებს და ერთზე მიდის,  
და იმ საბრძლოს ერთს ვაშ-კაცობა  
მარტო-ხელობით აღარ გაუდის.

—

ჩვენც აგვიტაცა ბრძოლის სურვილი,  
ცეცხლი მოგვედო იმათი ცოდვით!  
შეგზავრებოდიო ბატონ სსსლთ-სურცეს,  
რას უნდა გვექნა, — აღარ ვაცოდით...

—

ათას ორასი მაშინ მომხმარე  
ოცი ათასად დაფანდებოდა,  
თუ შავუეფანეთ ჩვენცა იქ, საცა  
თავ-კანწიარულა მოქმე გვდებოდა.

—

მაგრამ ზურაბმა ჩვენი სურვილი  
როგორც შეიტყო, წარბი შეიკრა,  
ჯერ მიგვიითათა შემშრებისკენ  
თავის ქნევათა და მერე გვითხრა!

—

„ვაი, შენ ჩემო თბილის ქალაქო!  
რას ამბავია, ჰხედავთ თუ არა?  
ვეფხ-ლომეობაც რომ გადაიქცენ  
დღეს ქართლელები, მაინც არ გამარა.“

—

დამარცხების, უეჭველია...  
ველარას არგებს ვერც ჩვენა შველას!  
და ისევე ის სჯობს, იმერეთისკენ  
ჩვენს გზას გაუუდგეთ მშვიდობით უე-  
[ლას!“

—



მე წავალ მარტო, მაგრამ გაიგებთ,  
თუ რა მოუვათ თქვენ ცოლ-შვილებსო!..  
განა არ იცით, რომ ჩემს სურვილსა  
თვათონ შეუფერ ვერ გააწილებსო?“

სთქვა და წავიდა, ხარი აბრუნა  
იმერეთისკენ, გასწია ჩქარა...  
ეველას გვესმოდა, თუ რას ჭნაშნავდა  
მისი რისხვა და მისი მუქარა!...

ვინ არ იცოდა, რომ ცოლსა და შვილს  
მისიან ურჩობით გამოსჭრიდა ეელს.  
შეშინდა მაშინ უმეტესობა  
და გამოუდგა უკან წერეთელს.

მაგრამ ორსი კაცი კი დარჩა,  
წერეთელას რჩევა არ დაჰერს...  
შორს გაიხედეს, იმერეთისკენ,  
ცრემლით ხარჯვარო გადაიწერეს:

და სთქვეს: „უთვალე, ეოვლად ძლიერო!  
ჩვენცა აქ მსხვერპლად შეგვიწირეო,  
და სატანჯველია, მათზე მიმდგარა,  
იქ ჩვენს მახლობლებს შეუმცირეო!“

იმაშულეს ხმლები და კაქაჩენ  
იქითკენ, სადაც შტერი აბრძოდა...  
მაგრამ უთვალავ და ურიცხვ-შტერთან  
რას გახდებოდა გუნდი ის ცოტა?

მათ მხოლოდ ძმურად გაიზიარეს  
ამერ-ქართუელის სსსტიკი ბედა  
და მტრის სივრცეში ისე ჩაინთქენ,  
ვით ზღვის უფსკრულში წვეთი მცო-  
— [რედი...\*]

მეც მათთან ვიყავ ადარ მასსოვდა  
ადარც ბატონი და არც დედ-მამა,  
სხვების გმირულმა სანახაობამ,  
მეც სსსაკვდილოდ წამათამაშა.

მაშინ დაგრწმუნდი, რომ ჩვენს ქვეყანას  
მონიჭების მადლით გმირობა  
და ძალით ვერ ვინ დაიმორჩილებს,  
თუ არ დალატა და ორწირობა.

თუ ის ათასი სხვა იმერლებიც,  
წერეთელისგან გაბრუნებული,  
ჩვენთან ამ ომში ჩამოსულაფუნენ,  
ჩვენსავით მტერზე განრისხებული, —

ვიფიცავ გამჩენს, რომ გამარჯვება  
ჩვენ დაგვრჩებოდა და არა თათრებს,  
და უხატრონოდ არ ჩავუურადით  
ხელში იმ ჩვენს მტრებს დაჭრილებს და  
— მკვდრებს!

\*) აქ იმ პირველ დღის ბრძოლაზე ა' ბოძს,  
სადაც იმერეთის მეფე სოლომონი არ დას-  
წრებია.

ჟერ კიდევ შუა ომში ვიყავით,  
მოულოდნელად რომ მეცა ელდა,  
ხმალი გამჟარდა... წაფიბარბაცე,  
და არე-მარე უცბად დაბნელდა.

ამეწვა მკერდი... ხელი მოვისვი,  
სასხელი მოსჩქეუდა თბილი, ახარა...  
ჟერ ჩავიხრქე... შერე დავუცნო  
და იქვე გულსაც შემომეყარა...

რამდენ ხანს ვიყავ კრძნობა-მიხდილი,  
არ მახსოვს, მხოლოდ გონს რომ მოვედი,  
მე შეუცნოვა მდგომარეობა.  
მოულოდნელად შევვკრთი, შევშინდი:—

ზატარა ქონში შეუდრო ადგილას,  
ლოგინზე ვიწექ მე ცოცხალ-მკვდარი,  
და ჭირისუფლად ჩემს სიასლოვეს  
ვალაც მოხუცი იჯდა თათარი.

მანიშნა ხელით: „ჩუმად იყავო!“  
გამისხნა მკერდი, ჭრილობა ხანა,  
მალამო წამცხო, ისევ შემავრა  
და თან ზირჯვარი გამოასხნა.

გულში გამიფლო, ეგები მძინავს  
და, რასაც ვხედავ, არის სიზმარი!...  
თორემ სადა ვარ? და ვასთანა ვარ?  
ვინ ზირჯვრის წერა და ვინ თათარი?!

შემატოე, მათხრა ღიმილით: „ძმაო,  
ხურა გიკვირს რა! ვარ თქვენებური,  
კარეკნობით ვარ მსჭმადიანა  
და ნამდვილად კი ქრისტეს მსახური.“

ახლას ამის მეტს აღარას გეტყვი,  
ვევლას გაიმობობ, როცა მოწხებო!  
და მანამდე კი დამშვიდდა, გიორვე,  
ხუ აშოთადები, ხუ შეურხებო!!“

მათხრა და რადაც მწარე სსსმული  
ძალ-დატანებით დამალეუინა...  
შევესვი თუ არა, ძილი მომინდა,  
დავხუტე თვალი და დამეძინა...

რა გავაგრძელო: თვე ნახევარი  
თავს შევლებოდა მამაშვილურად.  
თან-და-თან ვგრძნობდი მეც უკეთობას,  
თუმცა კი ვიუავ ცოტა უძლურად.

როცა სრულიად განკთავისუფლდი  
და შეშინორცდა ნაკლდი ძვალი,  
მშინ დამისვს გვერდით და მათხრა,  
თავისი მან თავ-გადასვადი:

## VII

„იძერელი ვარ ნამდვილი,  
იძერეთს დაბადებულა,

გვარდაც თურმანძიკ ვარ,  
ჯანიოზობით ქებული.

—  
თვით უკვდავების წყაროშია  
მოხელილი მაქვს მალამო,  
მაგრამ ამ საიდუმლობას  
დიდი სიფრთხილით ვმალავო.

—  
ანდერძი საგვარეულო  
გვიწერს, რომ უნდა დაკუთროთ,  
და მოსწავლედაც სხვა გვარის  
ვერაგონ ვერ მივიბაროთ.

—  
ქალებსაც კი ვერ ვასწავლით,  
წესა ამისაც გვაფთხილებს,  
რომ მერე მათ არ გადასცენ  
ეს ცოდნა ქმარსა და შვილებს.

—  
მხლოდდ იმ ჩვენს გვარს ეკუთვნას  
ეს სამკურნალო ძალობა,  
და უხსოვარი დროც არის  
ამისი ძველან-ძველობა.

—  
სწავლა სტუმარს ჭკავს მომსუღელსა,  
ჭკუა კი მასზინძელია...  
თუ სტუმარს მწერადად დაუხვდა,  
მათი თანხმობა ძნელია!

—  
და ჩვენს გვარშიაც ასეა:  
ზოგს ნიჭი უჭრის, ზოგს არა,

ზოგი ნამდვილად მკურნალთს  
და ზოგი არის მასხარა.

არავის მოუხვეჭია  
გვარში ჩემდენი სახელი!  
მღოცრველი ბევრი შეოღია  
და არცა ერთი მძრახველი.

მეფე სოლომონ ზირველი  
წუაღობის თვალით მიმზერდა:  
არავის ვეზუბოდი,  
გული საღხინოდ მიმღერდა.

ეს არ მოსწონდა სახლთ-ხურცეს,  
უბრალოდ მირისხდებოდა;  
მიზეზს ეძებდა... დაღუნვა  
ჩემი არ ავიწყდებოდა.

უცხო ქვეყნიდან სახლთ-ხურცეს  
თან მოჰყვა ერთი მკურნალი,  
ანაწერებით იცოდა  
ეოველი გვარი წამალი.

მაგრამ ჭრილობის მალამო  
ჯერ გაკონილიც არ ჰქონდა,  
რომ ნახა ჩვენი ხელობა,  
მეტის სიხარბით დაღონდა.

და შეჭხვეწოდა სახლთ-ხურცეს,  
რომ მისთვის მესწავლებია

ის, რაც მის სწავლას და ცოდნას  
სათვალ-და-თვალოდ ჰქვამდა.

მაგრამ მე როგორ შემიძლო  
გატყუა გვარის ანდერძის?  
უარი ვსთქვი, და მსახური  
კარზე მომადგა სასლთსუცის.

ებრძანებია, ზღუნდები  
ფეხებში შეუყარეთ  
და მოდინახის ცისეში  
შეკრული ამომგვარეთ.

ეს რომ გავიგე—მეწეანა,  
მსახურს დაუწყე ფრთხილებს:  
„რომ წამიუვანოთ ცოცხალი,  
იცოდეთ არ შეიძლება!“

შეუფიცე, მაგრამ მან მაინც  
ხელი წამავლო სიბრეუვით  
და თანაც მისხენიებდა  
ავდებითა და ავ-სიტუვით.

ბრახ-მორეული ავგნთე,  
ხელი გავიკარ სტეგარს,  
სასლთსუცის შინა-უმის სისხლი  
ზე მივანქევე სსხლის კარს,

და... თავს ვუშველე, გავეარდი,  
გავიჭერ როგორც ნადირი,

შინ დასაძინებელი რადგანაც  
აღარა შეძენდა მე ზიარი.

გადავიხვეწე თათრებში  
და, რომ მომეგო მტრის გული,  
გარეგან დასახსნავად,  
გამოვიცვალე მე რკული.

იმ დღიდან უკუნის კარზე  
ქაიმაში ვარ ქებული,  
მაგრამ კი ჩვენი ქვეყანა  
არა მაქვს დავიწყებული.

აქ დაჭრილებში რომ ცხახე  
ობლად ოხერი, ტაალი,  
და იმერლადაც გიციანი,—  
გულმა დამიწყო ფრიალი.

ამ ქოხში გადმოგაეფანე,  
აქ გზატრონობდი ფარულად,  
და მადლი უფლის შემძლებელს,  
რომ გაიკურნე აწ სრულად!

ეს არის, შეილა, რაც გსურდა  
შეგეტეო ზირველ დღესავე!...  
ჩემის ქვეყნის შეილს რომ ცხედავ,  
გქმე და გუნათესავე.

ახლა შენც მითხარ: „ვინა ხარ?  
სადაურა ხარ? რა გვარი?“

ან რისთვის გადმოგიუღაა  
შენი სამშობლო საზღვარი? ...

ზოგი ეს შეითხა, ზოგი ის,  
სხვა-და-სხვა რამე მრავალი.  
ბოლოს შეც წვრილად ვუამბე  
ჩემი თავ-გადასასვალი.

ორასი კაცის ურჩობა  
როცა ვუთხარი წერეთლის,  
და ან მათ ცოლ-შვილს, დედ-მამას,  
იმერეთს რა დღე მოეღას,

მთხუცი გამხიარულდა  
და სთქვა: „მადლობა დმურთსა!  
ჩირქა სახლთ-ხუცესს ედება  
და არა იმერეთსა!“

შერე მთქუვა და მიაბო,  
ჩემ შემდეგ რაც მომხდარიყო:  
ვინც ჩემთან ჩხუბში დაესწრო,  
სუუველა იქ მომკვდარიყო.

მაგრამ იმათი გმირობა  
ადარ დაფასდა არაფრად,  
რადგანც სხვა გუნდმა იმერლის  
თავი იჩინა იმ დღეს მტრად:

რომ ნახეს, ქალაქს იკლებდნენ,  
თვითონაც გამოერიენ, —

და დაუღაც ასე იშოვნეს,  
რომ თითქმის ვერ მოერივნ...

—  
აღარ ზოგავდენ ქვრივ-ობლებს,  
აღარც მკვდარს, აღარც ცოცხალსა,  
დათარეშობდენ, ახსავდენ  
დამწვარს ზე მღუღარე წყალსა.

—  
არ იკონებდენ აღარც ღმერთს,  
აღარც რწმუნს ცოდვის შეილება!  
ესენი იყვენ სახლთ-ხუცის  
შინა ემად გამოზდილება.

—  
ამ ათასს კაცში ერივნ,  
უკან რომ გაჰყევენ წერეთელს,  
უფროსად ჰყავდათ ჩემი ძმა,—  
ღმერთმა მოჰკითხოს ვმ სოფელს.—

—  
თურმე წინადგე ყოფილან  
ბატონის განაძრახება  
და ასრულებდენ მის ხეობას,  
შერცხვენილი და გლახება!

—  
ღვთისაგან რჩეულ თორმეტში  
იუდა გამოერია!  
ათი და ოცი მთელ ჯარშიც,  
რომ იყოს, განა ბეჯრია?

—  
მაგრამ თქმულაი ძველთაგან:  
ერთი შერცხვენს ასსაო

და ახი ათასს ღირსეულს  
დააკარგვინებს ფასსაჲ.

---

არვინ იხსენებს იმ სწულებს,  
თავი რომ მსხვერპლად შესწირეს!..  
და უკვლას თითოთ უჩვენებს  
იმ შეჩვენებულს გუნდს მცირეს.

---

ეს რომ მიაშობ, შეწეინა,  
სიარცხვილით ჩამვარდა ენა,  
და გულში ბევრიც ვუთხარა  
ზურაბ წერეთელს შერცხვენა.

---

ვჭტოაქრობდი: რად დალატობდა  
ან იმერეთს და ან ქართლსა?  
რად ვარდებოდა ცოდვასა?  
რად უარ ჭეოფდა ღვთის მადლსა?

---

მაშინ ვერ მივხვდი მე, მაგრამ  
ბოლოს კი უკვლამ გაიგო,  
რომ მაშინდელი დალატით  
იმან სხვის გულა მიაგო....

---

სამ თვემდე დაურჩი მოხუცთან,  
ვჭტარავდი ვინაობასა!  
ვერ ტეობილობდა ვერავინ  
ჩემს იქ ვარაბად უოფასა.

---

ასე შევეტკებით ერთმანეთს,  
როგორც მამა და შვილია,

მაგრამ სამშობლო ქვეყანა  
სუყოლიაფერზე ტკბილია.

---

ღის-იმერეთის ღრუბელი,  
ყოველ წაშს შელანდებოდა...  
მაგონდებოდა დედ-მამაც  
და გული მიღონდებოდა.

---

გჭფიქრობდი: ჩემი ბრალდებით  
ვაი თუ რამე აუტუდათ,  
და მათთვის ტკბილი სახელი  
ჩემი, საწუევრად გაუხდათ!

---

ეს ჩემი გულის ტკივილი  
მოხუცმაც გაიზიარა,  
გზა დამიღოცა და დამით  
ტფილანით გამომანარა...

---

ღმერთმა აცხონოს! მას შემდეგ  
ადარ ვარ მანა მნახული!  
დღესაც-კი მათთვის ვლოცულობ  
და მახსოვს მისი სახელი:

---

ჩვენში თთარი რქმეოდა,  
იქ ეძახდენ ომარსა.—  
ღვინოს არა ვსუამ მე ისევე  
თუ არ მის შესხნდობარსა.

---

### VIII

ქურდულად მაველ იპურეთს,  
რფგორც ბატონის ორგული.  
კულმა დამიწყო ფრიალა,  
რომ დაუინახე ორღული\*).

იქ იყო ჩვენი სოფელი,  
სამოსახლო და სახლ-კარი!  
მუსლ-მოყრით ვეცა თაყვანა,  
თავი მაწახედ დაჰჰკარი,

სახლის კარებზე მივდგე...  
ხმა გავიგონე დედისა...  
შევხედე—შავად მოსილი  
იჯდა, შკმობელი ბედისა.

მამახაც შავი ჩაკეცა...  
წვერავ მოეშვა, ვხედავდი...  
მანდოდა კარი შემედო  
და შესულას კი ვერ ვხედავდი.

როდესაც კონსედ მოვედი  
და გაემაცრე კლას-გული,  
კარი შევადე საბრთხილათ  
და შეველ დამშვიდებულა.

\*) სოფელია საწერეთლოში.

დედამ შემხედა, იკიულა,  
ზე წამოვარდა გიჟივით:  
„რას ხედავს ჩუმა თვალება,  
შვილო, შენ გნახე ისევე ღვთით?“

იმ სოფლად შეგულებოდი  
და კადევ გხედავ ამ სოფელს?“  
ეს სთქვა და გულში მიმიკრა,  
ზე გადამაჭდა ეკლა-ეკელს.

მამაც წამოდგა, სთქვა: იმე!  
სასწაუღია, თუ რაო?  
უბრალოდ წუთისათველსა  
ბედმა რად დამამღურაო?

შვილი ცოცხალი შეოღია,  
შე ვიჭექ—მგლოვიარეო!..  
ახლა კი, მადლა ჩემს გამჩენს,  
ვნახე და გავიხარეო!

დაჯდა და გვერდში მომიხვია —  
დედაც არ მოგვეშორებია,  
ისე გათუნდა, რომ არც ერთს  
ძილი არ მოგვეკარებია.

ვუამბე წვრილად უოველი,  
რაც ვიცოდი და რაც ვნახე,  
საქება ეველა ვაქე და  
დასაძრახისი დაფძრახე...

სულ-განაბული მიგდებდა  
ეურს მამა-ჩემი შწუხარე,  
და თეთრ წვერებზე წვეთ-წვეთად  
ცრემლი სდიოდა მდულარე;

სთქვა: „შვილო, დღემდე ვიკლოვდი,  
შენსედ ვაცვავდა შავსაო,  
დღეიდან ვიკლოვ იმ შენს ძმას,  
მოდლატეს და ავსაო.“

ვმადლობ ღმერთს, რომ შენც ძმასავით  
ზირა არ შევირცხვინია  
და მთელი ქვეუნიას სწუენია  
შენც, როგორც ქართველს, გწუენია.

ძმებს ძმურად მოჰხმარებიხარ,  
არ გაჰქცევინარ სიკვდილს!  
კვ შეშვენოდა იმერელს,  
კვადრებოდა ჩემს შვილსა.

შენ უფროსს ძმაზე რაღა ვსთქვა?  
კარუნელი სსსხლეშა!..  
ეტეობა, სული არა აქვს,  
მარტო უგულო ლეშა!..

ვხედავ, დღეიდან შენ სხლშა  
რომ აღარა გაქვს შენ ბინა!  
თუ ვინმემ შენი აქ ეოფნა  
სხლთ-სუცესს შეატეობინა,

შენც მოგვლავს, ჩვენც ამოგვადებს,  
მთლად გადაგვიწვავს სახლ-კარსა,  
ჩვენ სისხლს დაღვეს და სორცს შესცამს,  
როგორც თაფლსა და შაქარსა.

უნდა გაჭმორდე იმერეთს,—  
სოფელი ღონიერია,  
კაცი ეთველებს დარჩება,  
თუ თვითონ გონიერია“ !..

ამას ამბობდა ტირილით,  
დედაც ბანს ეუბნებოდა,  
გულს იმაგრებდენ, ვხედავდი,  
მაცრამ ორივე ბნდებოდა.

ორი დღე დაურჩი ჩემს სახლში,  
ვერიდებოდი ეველასა,  
რადგანც არვისგან ველოდი  
დახმარებას და შეველასა.

მესამე ღამეს აუტირდი,  
ცრემლებს ვაფრქვევდი მწარესა,  
გამოვეთხოვე დედ-მამას  
და ჩემს სამშობლო მხარესა.

კაკას ხიდს გაველ, დაუბდე  
იმერეთისა საზღვარი;  
ახალ-ციხეში ჩავუდი,  
იქ მომცეს თავ-შესაფარი.

IX

დიდხანს დაურჩია უცხო მხარეს,  
მარტოობა გუელზედ მკობენდა:  
იმერეთის დანატრულსა,  
მე სიხარულს რა მომიფენდა?

—

ერთხელ გზაში უღოდნულად  
შემხვდა ჩემი ნათესავი,  
გამიკვირდა!.. ვჭკითხუ, ძმაო,  
სად მოსულხარ? სად იყავი?

—

მიზასუხა: გადმოვარდა  
აქეთ ჩვენი სოფლომონი \*),  
წერეთლებიც თან ახლავან—  
ქახოსრო და სვიმონი.

—

სტამბოლს უნდათ რომ მიავადენ  
და სვანთქარსა სოხოვონ შეუღა...  
ჩვენც იმათთან ვაკარგებით,  
თან მოვუვებით ერთად ვუეღა.

—

ღმერთმა ჭკითხოს ჩვენი ცოდვა,  
მოდლატეს, ავის მქნელსა,  
ნურც იმ სოფელს გაახაროს,  
ნურც ამრავლეს ამ სოფელსა!..

—

\*) მეფე.

ეს სთქვა და მოხდა  
ქუდი, მიწას დაახლა,  
დაიძახა მანვე „ამინ“!  
მე კი აღარ დამაცალა!

---

როცა მასმა მწარე სიტუვამ  
გული სრულად დამიშხამა,—  
მერე ვჭკითხე:—როგორ არის  
ჩემი დედა და ან მამა?

---

გააკვირვა! რასა მკითხავ?  
განა ჯერ არ შეგიტუვია?  
რომ სხლთ-სუცის ბრძანებითა  
მამა-შენს ჭკრეს გულში ტუვია:

---

მას ჯავრსა და მწუნარებს  
თან გადაჭევა დედა-შენი,  
და სრულიად გადაგაწვესო  
სახლა, კარა და ნაშენი...

---

იმატომ რომ ბატონისთვის  
მაეტანათ შენ მტრებს ენა,  
ეთქვათ შენი სახლში მოსვლა  
და საცოცხლე—გადარქენა...

---

ეს რომ მითხრა, გულზე გეცხლო  
მომედო და მომეკიდა!...  
მზად ვაუკვა, ჩემი სული  
ეშმაკისთვის მიმეკიდა,

---

ოდონდა კი ეს ამბავი  
დაწვრილებით მე გამეგო  
და იმ დროსვე ქვეუნი სისხლი  
ჩემი მტრისგან ამოვეგო.

---

დავკარ თები მაშინათვე,  
იმერეთში გადავედი....  
დრო მინდოდა შექერნია  
და მომესზო მისი ბედი.

---

ბატონისს რომ მივედი,  
ლხინი ჭქონდა ჩემსა მტერსა, --  
ნურავინ ნუ დაიხუმებს  
მასზინძლობას უკეთესსა:

---

კაცის თვალი ვერ სწვდებოდა  
კაცკელებულ ფანჩატურსა,  
შინა უმება ვერ ასწრებდენ  
იქ სტუმრების სამსახურსა.

---

სავსე სუფრა, მხიარულა  
უცინოდა მასზინძელსა!  
ახადს არეინ კადრულობდა,  
დვინოს სვამდენ ძველის-ძველსა.

---

მოსწრებულა ზმა და მღერა  
დაატკობდენ საამოდ უურს;  
აქ იმღერდენ სუფრულ-ღექსებს,  
იქ გალობდენ კანდელაკურს...

---

თავში იჯდა თვათ ბატონი  
მოკაზმული სულ სხვა ფერად:  
მხრებზე ედვა ჭინჭილეები,  
მოყვითაულა მჭადის კვერად.

---

რომ შევხედე, გამიკვირდა!  
ვსთქვა: ეტუობა, ძველსა სწუნობს,  
უნდა ახალს სტაცოს ხელი  
ეუღში, მაგრამ მაიმუნობს!..

---

გამახსენდა სოჯა-ხანი  
და თბილისი დაღუპული;  
მომავინდა სოლომონიც,  
სამშობლოდგან კაცდებული.

---

წარმომიღვა თან ღედ-მამა  
და სხელ-კარი გადამწვარი.  
გულზე სისხლი ამომენტხა,  
„დრო ახლა გაქვს“, — თავს ვუთხარი.

---

აქვე ახლოს ხეს ვეფარე,  
ჩემ წინ იჯდენ სუფრად უკვლას.  
ბატონს თოფი დაუმიძინე,  
კადმოვცდე მაჭასელას.

---

მაგრამ იმ დროს მერაქიავემ  
თვალი მომერა... აეფარა...  
იმას მოხუდა სხვისი ტუფია,  
სისხლიც ტუფილას დაიდვარა...

---

ბეო, ბეი! — დაიძახეს,  
წამოგვივადენ, შტატეს ხელი...  
ჯერ ნუ მოჰკლავთ, აქ მომგვარეთ,  
ღრიალებდა მასწინძელა.

მიცნო, შეჰქურთა, შემომძახა:  
„სად მოსულხარ შენ, კაცნო!  
კატას მოკვლა როკორც უნდა,  
თავმან ჩემმან, შე გაჩვენო.“

არც მოგვლავ და არც დაგარჩენ,  
აქ ნუ ელი შენ სამარეს!  
ძაღვთაზიარებს ჩაგაბარებ,  
გაგენებენ შენ სამწარეს“.

და მართლაც რომ ჩამაბარეს  
სატანჯავად სისხლას მსმელებს,  
არ უშეუბდენ არც მნახველებს,  
ვინ მოსთვლის ჩემ გასაჭირებს?

მაგრამ ბოლოს გავიზარე,  
გავიჭერა ვათ ნადარო,  
და დღეს სრულად მოვდილა მაქვს  
სმელებთა და ზღვისა ზარი.

დღეს აქა ვარ, ხვალ იქა ვარ,  
არც სისლა მაქვს და არც კარი,

ადარც მტერი შემრის ვანმე  
და არც მყავს შეგობარა.

სიკვდილს ვუცდი, — არც ის მადის,  
დავაუწუდი, ვკონებ უფალს!..  
მაგრამ მადლო და დიდება  
მისს ნებს და მისს სამართალს!..

ბაკვი

## გოტტგოლდ ლესინგი.

(შემდეგა \*)

### III

ლესინგი ბერლინშიაც ძალიან ცუდს ყოფაში იყო. კრიტიკოსის ბიოგრაფები თითქმის ყველანი ერთხმად ამტკიცებდენ, რომ ლესინგი იმ ჟამად გრძნობდა დაღლილობას, მოქანცულობას, სულით მარტო-ხელობას და ღრმა მწუხარებას. ამ ღროსათასში ერთხელ თუ მოაგონდებოდა თეატრი და კლუბი, სადაც მცირეოდენ მხიარულებას ეძლეოდა, თორემ სულ ერთთავად სახლში იყო კარ-ააკეტილი და სწერდა მრავალგვარ საგნებზე სხვა-და-სხვა წვრილმან სტატიებს. სწერდა იგავ-არაკების შესახებ სტატიას, პოეტის გლემის ლექსებიც გააჩნია და მრავლის უმრავლესს სხვა სალიტერატურო წერილებს სტამბავდა. აქვე გარდაწყვეტი

\*) იხ. „კრებული“ № 3, 1899 წ.

შეიმუშავა დრამატიულ ნაწარმოებთა წერის რიგი, მაგრამ ბედმა არ მისცა მას მოსვენება. სწორედ ამ დროს იმას ომში მოუკლეს ერთი მეტად ძვირფასი მეგობარი, რომლის უდროოდ დაკარგვამ მწერალს ჩასწყვიტა გულის უმთავრესი ძარღვი და იგი წუთისოფელს გადაამტერა. „უამთა სიავით“ მწარედ გულ-მოკლული, ლესსინგი მოერიდა ხალხსა და საზოგადოებას და დაიწყო სამაგალითო მუშაობა, რომ მაშინდელი ცხოვრების სისაძაგლენი სრულიად დაევიწყებინა. ლესსინგი შეუდგა კლასიკურ მწერლის სოფოკლის ღრმად შესწავლას და დაიწყო შესანიშნავი სტატია, სადაც უნდა განეხილა იმისი ნაწერები, მაგრამ, სამწუხაროდ, დაწყებული სტატია მან ვერ დაასრულა. ამ დროს ავსტრიელებისა და რუსების შეერთებულმა ძლევამოსილმა ჯარმა ქალაქი ბერლინი აიღო. მწერალმა იმ წამსვე მიატოვა ბერლინი და წავიდა ბრესლაველს, სადაც მას ეპატიებოდა განათლებული გენერალი ტაუენცინი, რომელიც აძლევდა რაღაც სამდივნო სამსახურს. გენერალისას თავისუფლად და მოსვენებით იყო ლესსინგი, რომელსაც ზედმოპრით აღუსრულდა რომაელთა მიერ შეთხზული და ლესსინგის საყვარელი აზრის გამოთქმულება: „მუხები თხოულობენ მწერალის მოკლასა და მყუდროდ, განცალკევებით ცხოვრებას“. ლესსინგმა ისარგებლა ამ თავისუფალის ცხოვრებით და ბევრი ღირსშესანიშნავი მასალა დააგროვა თავისი საყურადღებო თხზულების „ლაოკოონ“-ისათვის. ბრესლავეში რიგიანი და შეძლებული ცხოვრება ჰქონდა ლესსინგს, ასე რომ მშობლებსა და ძმებსაც ფულებს უგზავნიდა და შემწეობას აძლევდა. იქაურს საზოგადოებაშიაც ძალიან გაერთო და ფულებს უანგარიშოდ ხარჯავდა, და

ამიტომაც, ერთმა კარგმა ნაცნობმა მანდილოსანმა გააფრთხილა: „ფულებს ასე უკანაწინოდ ნუ ჰფანტავო“, რაზედაც ლესსინგმა უპასუხა: „მე ყოველთვის მექნება ფულები, სანამ შემრჩება ეს სამი თითი (კალმის დასაქერად) და, აი, ეს“ — მიუთითა თავის შუბლზედ.

1764 წ. გაზაფხული ქ. ბრესლავეში გაატარა და გულიანად შეუდგა პირველი ნემენცური საერო დრამის „მინნა ფონ ბარნჰელმ“-ის მუშაობას. ამ მუშაობამ ძალიან მოქანცა ლესსინგი და ავადაც გახდა. რის ვაივაგლახით დოქტორებმა მოარწინეს ეს გამოჩენილი კაცი, მაგრამ გული მაინც ხშირად უსუსტდებოდა, თავს ბრუ ესხმოდა და ამიტომ ძლიერ სწუხდა, რომამ ახალს დრამას ვეღარ დავასრულებო. „მე არა მსურს ნახვეარის თავით ვსწერო ასეთი ნაწარმოებო“ — ხშირად იტყოდა ხოლმე და კარგად გამოარწინის შემდეგ დაიწყო მხოლოდ იმისი მუშაობა.

ვინკლერისგან ლესსინგმა მოიგო 300 ტალღერი და მაშინვე ხელ-მოკლე და გაპირვებულ მოხუცებულ მშობლების სანახავად გასწია. ინახულა ყველა თავისიანები და ბერლინს გაბრუნდა. ქ. ბერლინში დაასრულა ლესსინგმა თვისი „მინნა ფონ ბარნჰელმი“ და დაიწყო შესანიშნავის ნაწარმოების „ლაოკოონის“ წერა.

„მინნა ფონ ბარნჰელმა“ და რდილა ყველა საუკეთესო ნემენცური პიესები და მთელს პრუსიაში ავტორს მოუხვეჭა პირველი დრამატურგის სახელი. მაგრამ უფრო დიდად საპატიო სახელი დაუმკვიდრა ნემენცთა მსწავლულ და ფილოსოფოსთა შორის იმისმა „ლაოკოონმა“, რომელიც იწყებს ესტეტიურ კრიტიკის სამფლობელოში სრულიად ახალს ხანას და გენიოსი

ავტორი სწინდება წინამორბედი ახალის ნაყოფიერის ლიტერატურისა. იმ დროის გამოჩენილი მსწავლელები მიხედნენ, რომ ლესსინგი არა ჩვეულებრივი, გენიოსი კრიტიკოსია, რომელიც სიკაცხლის მომგვრელ სულს შთაჰპერავს აღორძინებულს ლიტერატურასო და, ცოტა არ იყოს, შურით და მძულვარებით დაუწყეს ყურება. ლესსინგის „ლაოკოონს“ მართლაც დიდი და ღრმა მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ისტორიაში, რადგან ამ ნაწარმოებს განუსაზღვრელი და გასაოცარი ზედმოქმედება და გავლენა ჰქონდა მთელს შემდეგს თაობაზედ და, განსაკუთრებით, სახელოვან გიოტესა და შილლერზედ.

ლესსინგზედ ცოტა ადრე ხელოვნების სფერაში კრიტიკულის წერილების წერით თავი ისახელა საფრანგეთის დიდმა მოაზრემ დიდრომ, რომლის აზრები და შეხედულებანი წააგავს ლესსინგის აზრებს. მაგრამ დღეს ყველა მსწავლელებს სრულ გარდაწყვეტილ ქეშმარიტებად მიაჩნიათ, რომ „ლაოკოონში“ გატარებულს შესანიშნავს აზრებს კრიტიკოსი სრულიად დამოუკიდებლივ და საკუთრივ თავის ნიჭით, ცოდნით და მოსაზრებით მიაწყდა და აქ ლესსინგი ნამდვილი თვითარსი, გენიოსი კრიტიკოსიაო. „ლაოკოონის“ შესახებ მთელი ლიტერატურა არსებობს და იქ სწორედ ეს გარდაწყვეტილი აზრია გამოთქმული. ლესსინგმა ვერ დაასრულა ეს გასაშტერებელი ნამუშევარის სისრულეში მოყვანა და მხოლოდ პირველი ნაწილი-და დაისტამბა. ავტორს უნდოდა ეს პირველი ტომი ფრანგულენაზედ გადაეთარგმნა და ფრანგულებისთვის ცალკე წიგნად დაებეჭდა, მაგრამ ვერც ეს განზრახულება მოიყვანა სისრულეში...



ჩვენ აქ საჭიროდ ვსთვლით დავასახელოთ ის თავრესი, საყურადღებო დედა-აზრები, რომელიც გატარებულია ლესსინგის „ლაოკოონში“. ავტორს ამ ნაწარმოებში წამოყენებული აქვს საკითხი: „ქანდაქარმა, რომელმაც ჩამოასხა ქანდაკება სახელოვან ჯგუფის—ლაოკოონისა და იმისი შვილების, რომელთაც გველები სულს უხუთავენ—რატომ არ გამოხატა თვით ლაოკოონი მომტირალე, ანუ მწარედ მკენესარე? შემცდარი ვიქნებოდით გვეფიქრა, რომ ქანდაქარს ამით უნდოდა გამოეხატა სულ-გრძელება ანუ სი<sup>ა</sup>უქე ლაოკოონისა. ძველი ბერძნები ტირილსა და მწუხარებას სრულებითაც არ სთვლიდენ სულის დავრდომილებისა და მხდალობის ნიშნად, თვისებად. იმათი სახელოვანი გმირებიც კი მოურიდებლად, საქვეყნოდ გოდებენ და სტირიან კიდევ, როგორც მაგალითად, ფილოკტეტი სოფოკლისა. ვირგილიოსს, რომელმაც შვენირად გაიგო ხასიათი და მთელი სული ძველი საბერძნეთისა, საშინლად მომკვირალე, მოღრიალე გამოჰყავს თვისი ლაოკოონი, და იგი მართალია, რადგან პოეზიის საზღვრები გაცილებით უფრო ფართვა და ვრცელი, ვიდრე ქანდაკების ხელოვნებისა. ქანდაქარისათვის სახელმძღვანელო დედა-აზრი უნდა იყოს შვენირება. მაგრამ საშინელის ღრიალით მომტირალე კაცი ყოვლად უშვერი და უსაძაგლესია; აი, სად იმალება მიზეზი იმისი, რომ ქანდაქარს სხვანაირად გამოუხატავს ტანჯვა ლაოკოონისა, ვიდრე პოეტს“. ლესსინგი პოეზიას უღარებს მხატვრობასაც და გამოსთქვამს მსგავსსავე აზრს. „მხატვრობა გამოხატავს სხეულებს, საგნებს, პოეზია კი—მოქმედებას და საქციელს. მხატვრობა მოქმედებას ვერ გამოხატავს: მხატვრობა გაკვრით, მცირეოდენ

ნიშნებით-ლა თუ გადმოგვცემს მოქმედებას; და იქით; პოეტი მხოლოდ მოქმედების საშუალებითა და დახმარებით გამოხატავს სხეულის ხორციელს ფორმებს“. ლესსინგი უარჰყოფს ეგრედ-წოდებულს ნატურალურ სკოლის ამბავთა მიკიბე-მოკიბვას, პროტოკოლურს სი-აშკარავეს და ისეთს პოეზიასაც, რომელიც მოქმედების ზედა-პირის „აღწერის“ მეტა აღარასფერს იძლევა. კრიტიკოსის აზრით, პოეტებმა უნდა მიბაძონ ჰომე-როსს, რომელიც რაოდენიმე ძლიერის ეპიტეტებით გვიხატავს შვენირებას და ამით, რასაკვირველია, დიდს ზედ-მოქმედებას მოახდენს ჩვენზედ.

ძველი ქვეყნის წარმომადგენელი, ლესსინგის სი-ტყვით, მხატვრობის უაღრეს კანონად მარტო შვენიე-რებას სთვლიდენ. ძველის-ძველს თებას ქალაქში კანო-ნით აღკრძალული იყო სიმახინჯისა და სიანძაგლის გამოხატვა. ვერც ერთი მხატვარი მაშინ ვერ გამოხა-ტავდა ბრაზ-მორეულს, ანუ უნუგეშო, სასოწარკვე-თილს სახეს: მრისხანების მაგიერად უნდა გამოეხატათ მკაცრი, წარბ-შეკრული პირის სახე; სასოწარკვეთილე-ბის მაგიერად—მწუხარება. იფიგენიის მსხვერპლის შე-წირვის დროს, საბერძნეთის მხატვარმა ტიმანმა მაყუ-რებელთა პირის სახის გამომეტყველება მწუხარე სახით გამოხატა; ხოლო პირის სახე აკამემნონისა დაფარული დასტოვა. მხატვარმა განზრახ დასტოვა დაფარულად იმისი სახე, რადგანაც არ უნდოდა გამოეხატა სასო-წარკვეთილება მამისა და ამით არ შეებღალა თვით შვენირება, რომელსაც ესოდენი დიდი ფასი ჰქონდა ყოველგვარ ხელოვნურ ნაწარმოებისთვის. პირდაფა-რული მამის სახე დიდს შთაბეჭდილებას მოახდენს მა-ყურებელზედ და აშკარად გვამცნევს იმ ღრმა და უძ-

ლიერესს უხილავს მწუხარებას, რომელსაც სულ ერთიანად მოუცავს აგამემნონის არსება. მსგავსსავე აზრს გამოსთქვამს ლესსინგი ლაოკოონის შესახებაც. „მხატვარს უნდოდა გამოეხატა უშვენიერესი მხატვრობა, როგორის გამოსახვასაც კი გარემოება ნებას მისცემდა. უსაშინელეს ტკივილებთან ერთად შვენიერების შეერთებით გამოსახვა ერთს არსებაში ყოველად შეუძლებელია. ამიტომაც ლიერი გულის ტკივილის გრძნობა მხატვარმა შეამსუბუქა; საზარელი მოთქმით ტირილი და ღრიალი მხოლოდ ოჯრით გამოხატა; და ასე მოიქცა იმიტომ კი არა, რომ ღრიალით ტირილი სულმოკლეობის ნიშანი იყოს, არამედ იმიტომ, რომ იგი ასახიერებს, ამახინჯებს პირის სახეს. მართლაც, წარმოვიდგინოთ, რომ ლაოკოონს პირი დაღებული აქვს და... განსაჯეთ. ახლა ძალა დაატანეთ ლაოკოონს, რომ იყვიროს და შეხედეთ. წინად თქვენ ნახეთ გამოხატულება კაცისა, რომლის მდგომარეობამ თქვენში აღძრა სიბრალულის გრძნობა, რადგანაც თქვენ ერთსა და იმავე დროს ნახეთ შვენიერებაცა და ტანჯვაც; ახლა კი გამოვიდა საზიზღარი ნაწარმოები, რომელსაც დიდის კმაყოფილებით შეაქცევთ ზურგს, რადგან სატკივრების დანახვა იწვევს ფრიად უსიამოვნო გრძნობას. ხოლო სიშვენიერის გამოუხატველობა დატანჯულის კაცისა თქვენი უკმარობის უსიამო გრძნობას ვერ გარდაჭმნის სიბრალულის ტკბილ და სიამით სავსე გრძნობად“.

ლესსინგი თითქოს მიმხვდარია, თუ რა წინააღმდეგობას გაუწევს რეალისტების კრიტიკა და უნდა ეს წინააღმდეგი აზრი თავიდან აიცილოს. „ხელოვნებაში, ამბობენ, დღეს, აწინდელს დროში დიდათ გაი-

ფართოვა საზღვრები. იმისი მიმბაძველობითი ნიჭი, ამბობენ, მთელს ხილულს ბუნებას სწვდება, ხოლო შვენიერება კი შეადგენს სულ მცირეოდენ ნაწილს ხილული ქვეყნისას. კეშმარიტება, პირ-წმინდად და უმეტ-ნაკლებოდ გამოხატვა საკნისა არის ერთი უპირველესი კანონი ხელოვნებისაო“.

„ესთქვათ, რომ ეს ასეა, ამბობს ლესსინგი; მაგრამ ამ მხრითაც რომ შევხედოთ საგანს, გავიგებთ, რომ მხატვარი ვერ მიკიბ-მოკიბავს ყველაფერს, რაც კი მას მოებრძინება. მხატვარს შეუძლია გამოხატოს მულამ ცვალებად ბუნებაში მხოლოდ ერთი მომენტი; ხელოვნების ნაწარმოები ხანგრძლივია, მათ შეჰყურებენ დიდხანსა და რამდენჯერმე: ცხადია, რომ მხატვარმა უნდა მოიკრიბოს მთელი ძალ-ღონე და ნიჭი, რომ მის მიერვე აღრჩეული მომენტი და წინააღმდეგ განზრახული აზრი, რაც შეიძლება უფრო მარჯვედ, უფრო შნოიანად გამოხატოს. მაგრამ ყველაზედ უფრო მარჯვედ და შნოიანად დახატული მხოლოდ ის სურათია, რომელიც უფრო მეტს საზრდოს აძლევს მაყურებელის წარმოდგენას და ფანტაზიას. სცდება ის მხატვარი, რომელიც ვნებათა, გულის-თქმათა გამოსახატავად აღირჩევს ძლიერი შთაბეჭდილების მომენტს: ამით იგი მაყურებელს უსპობს ყოველგვარ ნიჭს, რომ მან წარმოიდგინოს თვით იმაზედ უდიდესი და უაღრესი რამ. რაკი ლაოკოონი მწარედ ამოიოზრებს, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ იგი ყვირილით მოთქმას ან ტირილს დაიწყებს; მაგრამ თუ მან საზარელის ხმით ღრიალი მოართო, მაშინ ამას იქით წასვლა აღარ შეიძლება, ჩვენი წარმოდგენა სრულიად მოკვეთილია და თუმცა, მარ-

თალია, შთაბეჭდილება ძლიერ დიდია, მაგრამ ღრმა არასოდეს არ არის“...

მხატვრობის შემდეგ, კრიტიკოსი გადადის პოეზიაზედ. იგი უარს ჰკოფს ქალის ხორციელი სილამაზის დაწვრილებით პოეტურად აღწერას. პოეტს, რასაკვირველია, შეუძლია აღწეროს სილამაზე, ნაწილ-ნაწილადაც შეუდგეს საზოგადო სილამაზის ელემენტების დახატვას, მაგრამ ამ გვარი ანალიტიური პროცესი პოეტური ნიჭისა სპობს შთაბეჭდილების ძალას და მთელის, საერთო სახის გამომეტყველებისა აღარა გრძებათ რა ხელში. ჰომიროსი, ლესსინგის აზრით, ამ შემთხვევაში ყველა აწინდელს პოეტებზედ მალლა სდგას. ჰომიროსი ამბობს, რომ ელენეს ღვთიური სილამაზე-შვენიერება ჰქონდა მინიჭებულიო, მაგრამ დაწვრილებით არსად არ იქლება იმისი ხორციელი სილამაზის აღწერას \*). და ამ გარემოებით ჰომიროსი უფრო მეტს სილამაზეს გვიხატავს: იგი გვიწვევებს ჩვენ, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ქალის სიმშვენიერემ, მაგალითად, ილიადის იმ ადგილას, სადაც აღწერილია, თუ რა რიგად გამოცხადდა ელენე ტროიელ ხალხის უხუცესს წარმომადგენელთა კრებაზე. ყველაზე უკეთესი საშუალება, რომლითაც პოეზიას შეუძლია სიმშვენიერის გამოხატვა, ლესსინგის აზრით, ის არის, რომ პოეტი სილამაზეს გრადიით დაასურათებს, რადგანაც გრაცია არის „სიტურფე, რომელიც იხატება მოძრაო-

\* ) ლესსინგი იდეალისტია და იმიტომაც სჯის ამნაირად. სიტურფე სილამაზის პოეზიაში დახატვის შესახებ ჩვენ სრულიად სხვა აზრი გვაქვს შემუშავებული, რომელსაც ამ სტატიის ბოლოს, დასასრულში გამოვსთქვამთ მოკლედ.

ბაში“. და ეს გრაცია კი მხატვარს არ შეუძლია დახატოს ისე, როგორც პოეტსო...

მხატვარმა მოვლენის მხოლოდ ერთი მომენტი უნდა აღირიოს; მაშინ როდესაც პოეტი აღირწევს ხოლმე ერთს რომელიმე თვისებას ანუ ნიშანდობლივ სახეს და ისეთ ნაირად დახატავს, რომ უეჭველად აღძრავს ჩვენს წარმოდგენას. აი, აქ არის მთელი სეკრეტი, საიდუმლოებით მოცული ძალ-ღონე იმ ეპიტეტებისა, რომელთაც ხმარობს, მაგალითად, ჰომიროსი. ჰომიროსი ხომალდებს დაწვრილებით როდი აღწერს: იგი არის ძლიერის სიტყვით, ეპიტეტით დახატავს ხოლმე ხომალდს და თუ რაიმეს აღწერს დაწვრილებით ისევე მოძრაობას, მაგალითად, ხომალდისას, ზღვაში მის ტოკვით შეცურებას და არა თვით საგნებს... ამ მხრით პოეზიას უფრო მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე მხატვრობას. მხატვარმა რომ გამოხატოს ერთი უპრალო, მცირე რამ პოეტური აღწერილობა ჰომიროსისა, უეჭველად ხუთი ან ექვსი სურათი უნდა მოანდომოს ამასო...

ლესსინგი ეწინააღმდეგება იმ თეორიას, რომელიც თხოულობს, რომ პოეტმა უეჭველად ყოველისფრად სრული, უნაკლო, იდეალური ხასიათი გამოხატოს, და ამბობს, რომ პოეზიაში შესაძლებელია დასახიზრებული და მახინჯი სახის და ხასიათის გამოხატვაცო. იდეალური ხასიათის გამოხატვა პოეზიაში მხოლოდ მეორე ადგილზედ სდგას, რადგანაც იდეალურს ხასიათს არ ეტყობა ჩვეულებრივი კაცის გულის თქმათა ბრძოლა და მღელვარება. იდეალური ხასიათი მართლა რომ ყოველისფრით სრული და დიდებულია, მაგრამ პოეტურ მრავალ-გვარობას, სულის თქმას, მოძრაობას და ბრძოლას ვერ ხატავსო.

„ლაოკოონი“ ერთს დიდს და გასაოცარს სალიტერატურო ნაწარმოებს წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ეს არის ესტეტიური კრიტიკის ერთი უშესანიშნავესი ნაშრომი, რომელიც დაუსრულებელი დარჩა მის სახელოვანს ავტორს. „ლაოკოონს“ დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება აქვს დღესაც ნემენცურს ლიტერატურაში. ახლად აღორძინებულს ნეო-კანტიანელების წარმომადგენლნი კრიტიკის სამფლობელოში „ლაოკოონის“ სახელმძღვანელო დედა-აზრებს ატარებენ ხოლმე...

1759—1765 წლების განმავლობაში, ლესსინგმა დასწერა თავისი „სალიტერატურო წერილები“, რომლებშიაც გამოთქმულია მეტად შესანიშნავი აზრები საზოგადოდ ლიტერატურის შესახებ. ბიოგრაფი ლესსინგისა, ცნობილი მეტაფისიკი—ფილოსოფოსი კუნოფიშერი და აწინდელი შესანიშნავი, ჩვენი თანამედროვე ბიოგრაფი კრიტიკოსისა ფრანც მერინგი გარდაწყვეტით ამბობენ, რომ ფრიდრიხ II-ს მამაცურად ომში ბრძოლამ და იმისმა გამარჯვებამ ლესსინგს გულში აღუგზნო სურვილი, რომ თავის „სალიტერატურო წერილებს“ წერით შეექნა საერო ნემენცური ლიტერატურა და გამხდარიყო წინა-მორბედი და მამათ-მთავარი შესანიშნავი მწერლების—გიოტესა და შილლერისა.

ამ „სალიტერატურო წერილებს“ შორის ყველაზედ უფრო საყურადღებოა შეზღვეუტე სტატია, სადაც ლესსინგი შექსპირს გაცილებით უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე საფრანგეთის ყველა დრმატურგებს. იმ დროს ასეთი გაბედული აზრის გამოთქმა გერმანიის მსწავლულთა და ლიტერატორთა წინაშე ერთს უშველებელს რევოლიუციას წარმოადგენდა. ლესსინგი არ შე-

უშინდა ასეთი აზრის გამოთქმას და შექსპირს საუკუნოდ დაუმკვიდრა სახელი უშესანიშნავესი გენიოსისა მთელს მსოფლიო ლიტერატურაში. ბარემ ამ სტატიიდანაც ამოვსწეროთ ზოგიერთი შესანიშნავი ადგილი:

„ჩვენთვის, ნემენცებისთვის რომ გადმოეთარგმნათ შექსპირის სამავალითო ნაწარმოებნი მცირეოდენის ცვლილებით მაინც, მაშინც კი უფრო გაცილებით დიდი და უკეთესი შედეგი ექნებოდა ამას, ვიდრე კორნელის და რასინის ჩვენს ახლო გაცნობას. ჯერ ერთი, რომ ჩვენი ხალხის გემოს პირველი უფრო შეჰფერის, ვიდრე უკანასკნელნი; და მეორედ, შექსპირი ჩვენში ღრმა ძილში ჩაფლულთ გამოაღვიძებს და სრულიად სხვა გრძნობა-გონებას ბადებს, ვიდრე ეს მწერალნი. გენიოსით აღტაცება მხოლოდ გენიოსსა და შეუძლია და ყველაზედ უფრო ადვილადაც მხოლოდ მისთანას, რომელიც ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია და თვით დიადი ბუნების გამომხატველი გამხდარა. ძველს სამავალითო მწერლებს რომ შექსპირი შეეუღაროთ, დავინახავთ, რომ იგი გაცილებით უფრო დიდი და შესანიშნავი პოეტია, ვიდრე კორნელი, თუბცა კორნელი ძველს მწერლებს კარგად იცნობდა და შექსპირს კი არავითარი ცნობა არ ჰქონდა იმათი. კორნელი კლასიკურს მწერლებს უფრო გარეგნობით, პიესის ზედაპირის მეხანიკურის დალაგებულობით უახლოვდება, შექსპირი კი ახლოა თვის შინაგანის ღირსებით და თავის ნაწარმოებთა აზრით... სოფოკრის „ელიპს“ შემდეგ ვერც ერთი პიესა ვერ იპყრობს ჩვენს გრძნობებს ისე ძლიერად, როგორც „ოტელო“, „ლირი“, „ჰამლეტ“... განა კორნელს მოეძებნება თუნდ ერთი პიესაც ისეთი, რომელსაც შეეძლოს ჩვენი გრძნობების

აძვრა ისე, როგორც ვოლტერის „ზაირას“? და ეგ „ზაირა“ რამოდენად დაბლასდვას „ვენეციელს ზანგზედ“!.. „ზაირა“ იმისი მკრთალი ასლია და მთელი ხასიათი ოროს მანისა „ოტელო“-დან არის პირწმინდად გადმოღებულ-გადმოწერილი“... ეს სიტყვები დასაწყისი იყო იმ საყურადღებო კრიტიკული აზრებისა, რომელნიც ლესსინგმა შემდეგ გამოსთქვა თავის ეურნალ „ჰამბურგის დრამატურლიაში“, რომელსაც ოთხშაბათობით და პარასკევობით სტამბავდა ქალაქ ჰამბურღში თეატრალური წარმოდგენების დროს. ჰამბურღშიაც და სხვაგანაც ლესსინგს იმისმა აპრიალეებულმა და მახვილმა კრიტიკულმა წერილებმა ურიცხვი მტერი გაუჩინა. კრიტიკოსის გამწარებულმა და დაუზოჯველმა პოლემიკურმა სტატიებმა ყირამალა დასცა ძირს ურიცხვი უნიკო, მაგრამ სახელ-მოხვეჭილი მწერლები, რომელნიც ლესსინგზე, რა თქმა უნდა, შურს იძიებდენ... ლესსინგის ნივთიერი მდგომარეობა კი სულ უკან და უკან მიდიოდა. ბოლოს ვიღაც ბოდეს შეუამხანაგდა და იმასთან ერთად სტამბა და წიგნის მაღაზია გამართა, მარგამ ამან უფრო ვალებში ჩააგდო და „ჰამბურღის დრამატურლიის“ გამოცემაც შესწყდა, მხოლოდ 1769 წელს დაიბეჭდა ორს ტომად იქ დასტამბული სტატიები.

„ჰამბურღის დრამატურლია“ იყო ერთი უშესანიშნავესი კრიტიკა ფრანგული დრამა-ტრადედიებისა, რომელთაც იმ დროში დაიპყრეს და დაიმონავეს მთელი ევროპის სცენა. ლესსინგი ჰხატავს აქ დაუფასებელს ღირსებას და დიდს მსოფლიო მნიშვნელობას შექსპირისას და მრავლის უმრავლეს ნაკლულოვანებას ვოლტერისას, რომელსაც თავი თვისი უდიდეს დრამატურლს

— შექსპირზედ უმაღლესად მიაჩნდა. ლესსინგი თითქმის სრულიად სპობს სამართებელსავეთ მტრელის ირონიითა და კრიტიკით ვოლტერს და სამართლიანად უჩვენებს იმის ნიკის შესაფერს ადგილს ლიტერატურაში.

ლესსინგი არჩევს ვოლტერის დრამებს და უჩვენებს განსხვავებას შემოქმედობის ძალის ქეშმარიტს თავისუფლებასა და იმ „გენიოსურს“ ეინიანობას შორის, რომელიც ვოლტერს თან-დაყოლილ სენად ჰქონდა აჩენილი. ვოლტერი მოხერხებულად ბაძავდა შექსპირს, მაგრამ გასაოცარის მოხერხებით მალავდა და ჰფარავდა ამ მიბაძვას. მაგალითად, ვოლტერის „სემირამიდას“ შექსპირის „ჰამლეტ“-ის გავლენა და ზედ-მოქმედება აშკარად ატყუია, მაგრამ ვოლტერი ცდილობს თავისთავი მთელი განათლებული ქვეყნიერების წინაშე შეუპოვარ და გაბედულ ნოვატორად გამოიყვანოს და ჩვეულებრივის მაღალ კილოიანის დაცინვით ამბობს „სემირამიდაში“ მოჩვენების, სულის გამოცხადების შესახებ, რომ მოჩვენებანი და ადამიანის სულის არდილები სწამს მხოლოდ სჯულიერს სარწმუნოებას და არა—თეატრსო. ლესსინგი ამტკიცებს, რომ ვოლტერის სიტყვებში უფრო მეტი თავის ქება და ტრაბახია, ვიდრე ქეშმარიტებაო. სჯულსა და სარწმუნოებას, ამბობს კრიტიკალი, აქ სრულიად ადგილი არა აქვს. „ასეთის არგუმენტებით შესაძლებელია პირი დაუყოს მოწინააღმდეგეს კაცმა, ხოლო ვერ დაარწმუნებს კი იმას ვერას დროს. ერთად ერთი საწყაო ამ შემთხვევაში ხელოვნური გემოვნებაა, რომელიც კრიტიკით არის შესწორებულ-შემოწმებული. ვოლტერი მართლს ამბობს, როდესაც სწერს, რომ ძველად არდილები და მოჩვენებანი სწამდათო. მაგრამ უბედურება იმაშია,

რომ ყოველი მოჩვენება ყოველთვის და ყოველგან ერთი და იგივე არ არის. სცენაზე რომ მოჩვენებანი გამოგყავთ, უნდა იხელმძღვანელოთ ყოველთვის სიმართლის მოთხოვნით, რასაკვირველია, სამხატვრო, ხელოვნურის სიმართლით. საქმე ის კი არ არის, გვრწამს ჩვენ მოჩვენებანი, გარდაცვალებულთა აზრდინი, თუ არა?—ჩვენი ურწმუნობა მხატვარისთვის მხოლოდ ხელის შემშლელია. დეე, მან გამოხატოს, გამოიყვანოს აზრდინი და მოჩვენება, ხოლო ეს მოჩვენებანი ისეთის მიმსგავსებითა და სინამდვილით გამოხატოს, თითქოს მართლაც ცოცხალი ადამიანები არიანო. ასეთია სწორედ „სული“ შექსპირის „ჰამლეტში“. ჩვენა გვგონია, რომ იგი ნამდვილად იმ ქვეყნიდან, საიქიოდან გამოცხადდა. შექსპირს სული გამოხატული ჰყავს საპატიო უაღრეს წამის დროს, ღამის წყვილია და მყუდროებაში, სადაც ყოველი კუთხე და სივრცე არე-მარისა საიდუმლოებით არის გარემოებული, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობდით აკვანში წოლის დროს მოხუცი ვადიებისაგან. ვოლტერს კი აზრდინის, მოჩვენების მაგივრად გამოჰყავს ვიღაც ერთი ბურბუშელა მასხარა: მოდის იგი დღის სინათლეში, ურიცხვი ხალხის და კრების დროს. ვისგან გაუგონია, ნეტავი, ვოლტერს, რომ აზრდინი ასეთი გულადი და მამაცნი არიანო? ყოველს გადამღრძვალს დედაბერს შეეძლო ეთქვა იმისთვის, რომ საიქიოდან მოსულს სულებს დღის სინათლისა ეშინიათ და ურიცხვ ხალხთა შეკრებულებას ძალიან ერიდებიან... სული, რომელიც ყოველგვარ ჩვეულების წინააღმდეგ მოქმედობს, რომელიც ათარეშებს ზრდილობას და იმ ზნე-ხასიათს, რომელიც თვით მოჩვენებათ სწვევიათ, მე გგონია, არ არის ნამდვილი და

ჩვეულებრივი სული. შექსპირს თავის პიესაში ისე აქვს გამოხატული, რომ სულს მამისას მხოლოდ ერთი-ღა ჰამლექტ ჰხედავს; იმ სცენაში, სადაც გულ-ამღვრეული ჰამლექტ მშობელი დედის წინაშე სდგას, თითქმის დედაც კი ვერა ჰხედავს აჩრდილს და შთაბეჭდილებაც სწორედ მით უფრო ძლიერია; ჩვენ ვგრძნობთ ჰამლექტთან ერთად საშინელს, თავ-ზარ-დამცემს ელდასა და შიშს, სული მოქმედებს ძლიერად ჩვენზედ, ასე ვსთქვათ, ჰამლექტის შემწეობით და დახმარებით. ვოლტერს კი სრულიად სხვანაირად აქვს. იმას ისე გამოუხატავს, რომ მოჩვენებას ყველანი აშკარად ხედვენ, ყველანი შეშინებულნი არიან. სემირამიდა თითქმის კიდევ ჰკივის: „ოჰ ცაო, მე ვკვდებიო!“ ხოლო მაყურებელი კი გრძნობით არასფერს გრძნობს და სრულებით არასფერსაც არ განიცდის, რადგან ხედავს, რომ, თუმცა სემირამიდას გარეშემოხვეული ხალხი განცვიფრებულ-შეშინებულია, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გაგვაკვირვებს უეცრად ოთახში შემოსვლა მეგობრისა, რომელსაც არც ერთი ჩვენგანი არ მოელოდა. ერთი სიტყვით, ვოლტერს სული ერთ უბრალო პოეტურ მაშინად გამოუყვანია, რომ თავის აზრი გაატაროს; შექსპირს კი სული დაუხატავს ნამდვილ მომქმედ, აქტიურ პირად, რომელიც აღძრავს ჩვენში არა მარტო საშინელს ელდას, არამედ სიბრალეულის გრძნობასაც“...

ამ გვარადვე არჩევს გენიოსი კრიტიკოსი ვოლტერის „ზაირას“, სადაც ხედავს უხვირო, უმსგავსო მიბაძვას ოროსმანისას ოტელლოსთან და ზაირასას— იულიასთან.

„ხელოვნების ერთმა დამფასებელმა სთქვა, რომ

ვოლტერს თვით სიყვარულმა შეაქმნევინა ზაირაო. არა, ამბობს ლესსინგი, უფრო სისწორით ასე უნდა ითქვას: სიყვარულმა კი არა, არშიყობამ (*galanterie*). მე ვიცი, ამბობს კრიტიკოსი, მხოლოდ ერთი ტრადედია, რომელიც შექმნა თვით ჭეშმარიტმა წმინდა სიყვარულმა: ეს შექსპირის „რომეო და იულია“ არის. გასაშტერებელის მახვილ-გონიერებით და ირონიით არის დაწერილი ეს შესანიშნავი კრიტიკული სტატია, რომლის ზოგიერთ ადგილის ქართულად გადმოთარგმნას, უადგილობისა გამო, ვსტოვებთ. ლესსინგმა ვოლტერი ისე გაარჩია, რომ მისი მსჯავსი განხილვა მსოფლიო ლიტერატურამ არ იცის მეტი. „ჰამბურღის დრამატურღია“-ს მეორე ტომში ლესსინგი გარდა იმისა, რომ არკვევს თავის კრიტიკის საზოგადო პრინციპებს, ეჩება აგრეთვე ძველი ქვეყნის, საბერძნეთის უდიდებულესის ფილოსოფოსის, არისტოტელის აზრს, რომელიც მან გამოსთქვა დრამატიული ხელოვნების შესახებ და არკვევს ფილოსოფოსის ჭეშმარიტს შეხედულობას, რომელსაც საშუალო საუკუნოების და აწინდელი დროის კომმენტატორებმაც კი ვერასფერი ვერ გაუგეს...

ამავე ტომის მეორე ადგილას, ლესსინგი კიდევ არისტოტელის აზრზედ არის დამყარებული და დიდად ეწინააღმდეგება დიდროს თეორიას, რომელიც ამტკიცებს, რომ მხოლოდ კომედია არის ტიპის გამომხატველი, ტრაგედია კი უეჭველად ჰხატავს რომელიმე ნაცნობს პირს, ნიშანდობლივ ამა თუ იმა ადამიანს. „გმირი ტრაგედიისა, ამბობს დიდრო, ეგ ის კაცია, ანუ ეს კაცი, ეს ან რეგულია, ან ბრუტი, ანუ კატონი. მთავარი მომკმედი პირი კომედიისა კი, პირიქით, უნდა ჰხატავდეს ჯგუფს, მრავალ ადამიანების კრებულს

(ე. ი. ტიპს)“. ლესსინგი უწევნებს ამ განაწილების შე-  
უფერებლობას და შეცდომილებას და გამოსთქვამს  
ისეთს აზრს, რომელიც სამუდამოდ დამკვიდრებულია  
ლიტერატურაში. ტრაგედიაც ისეთივე გამოხატველია  
გულის თქმათა და ტიპებისა, როგორც კომედიაც. თუ  
კომედიაში გამოხატულია, მაგალითად, ძუნწი და სი-  
ძუნწე, ტრაგედიაშიაც შესაძლებელია გამოიხატოს  
ეგვემ ტიპი და იგივე გულის მისწრაფება. გარდა ამისა,  
კომედიაშიაც ისე, როგორც ტრაგედიაშიაც ტიპი  
მხოლოდ ერთს მომქმედ პირშია გამოხატული, ერთს  
განკერძოებულს არსებაშია განხორციელებული. 2000  
წელიწადია მას შემდეგ, რაც არისტოტელმა ნათლად  
გვიჩვენა, რომ პოეტი უნდა ჰხატავდეს „საზოგადოსა  
და არა განკერძოებულს, განცალკევებულს და განთ-  
ვისებულს რასმე“... ცხადია, დიდრო შეცდომაში შე-  
უყვანია ტრაგედიის წმინდა გარეგანს ნიშნებს და თვი-  
სებას იმით, რომ ტრადედიებში საზოგადოდ უმთავრეს  
გმირებად გამოჰყავთ ნიშანდობლივ ცნობილნი ისტო-  
რიული პირნი. მაგრამ ტრადედიაში კიდევ რომ იყოს  
თითქმის გამოხატული ისტორიული პირი, მაგალითად,  
ცეზარი ანუ კატონი, მაშინაც პოეტისათვის ამ პირს  
ექნებოდა მნიშვნელობა მხოლოდ, როგორც წარმო-  
მადგენელი რომელიმე ნაცნობი, გამორკვეული ტიპისა,  
შემჩნეული გულის თქმისა, ნაცნობი ზნე-ხასიათისა“...

ლიტერატურის ზედმიწევნით მკოდნენი, სპეცია-  
ლისტები გარდაწყვეტით ამტკიცებენ, რომ ლესსინგს



3 „ამბურღელ დრამატურღის“ მეტიც რომ არაფერი დაეწერა, მაინც სრულიად საკმარისი იყო, რომ პირველ ხარისხოვანი, გენიოსი კრიტიკოსის სახელი მოეხვეჭა ევროპაში და გამხდარიყო გზის მაჩვენებელ ლამპრად ნემენცური ლიტერატურის ახალი, წარმატებული ლიტერატურისა...

სომეღელი.

(შემდეღი იქნება)

შეცდომების გასწორება.

რადგანაც ასოთ-ამწყობთ გამორჩენიათ შემდეღი ადგიღები გაუსწორებელი, ვსთხოვთ მკითხველთ ქვემოხსენებული შეცდომების მაგივრად იგულისხმონ შემდეღი:

ამ წერიღის დასაწყისში (იხ. № 3):

- |    |      |                     |                          |
|----|------|---------------------|--------------------------|
| გვ | სტრ. | დაბეღლიღია:         | უნღა იყოს:               |
| 50 | 2    | ზ. იმი              | იმის (ს-ანი ჩაცაღებუღია) |
| 53 | 8    | ქვ. ნახევარი        | ნახევარი                 |
| 55 | 15   | ზ. გული-ამომჯღარი   | გულ-ამომჯღარი            |
| —  | 2    | ქვ. ექვემღებარებოღა | არ ექვემღებარებოღა       |
| —  | 1    | „ მაზაზა            | მაზეზა                   |
| 56 | 9    | ზ. ზეღაგოღი         | ზეღაგოღი                 |
| —  | 16   | „ ხოღმე             | ხოღმე                    |
| 60 | 9    | ქვ. დისსერტაციღ     | დისსერტაციღა             |



გლმისი მომონება.

ტრიალ მინდორზე მდგომელი,  
 ჭანდარო ფოთლებ-ფრიალაჲ,  
 გაცხინდეს დამრგველ-გამზრდელი,  
 გულ-საამებლად შრიალაჲ;  
 ერთსულ სამკალში დასიცხულს  
 შენს ჩრდილში სული მხდებოდა,  
 შენა ტოტების შრიალი  
 თაფლივით მიაშებოდა,  
 გაკგო ჩემს ცოდს, მოფარდა,  
 გულ-მკერდზე შეკანებოდა,  
 მის თვალთგან ცრემლი ნადენი,  
 იახმად შესურებოდა,  
 იმისა ტირალ-ქვითინი  
 მანდორ-გულს ეფინებოდა,  
 ხან შენსა ფოთლ-კანწრებში  
 კვნესოდა, ინაბებოდა,  
 ხან ზეცისაკენ მიჰქროდა,  
 უფლის წინ იბადებოდა:  
 შენ მომარჩინე ქმარი, —  
 გამხენ ღმერთს ეკვდრებოდა,



## შეარას უზილი შეარას

(ოსური არაკი, გაგონილი აფაყო გაბოლასაგან და ჩაწერილი  
„ქართველი ოსებში“-ს მიერ).

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყი ერთი მონადირე. ეს მონადირე ერთ დღეს, ჩვეულე-ბისამებრ სანადიროდ წავიდა. პირველ და მეორე დღეს, მონადირემ ვერა მოკლა რა. მესამე დღესაც იარა-იარა და, მზე რომ გადაიხარა, შეეხეჩა ერთს მშველს. მშველის დანახვაზედ მონადირეს გული აუფანცქალდა, ჩაესაფრა, ახსენა ღმერთი, ამოიღო ნიშანში, მოსხლიტა თოფი და გააგორა მშველი. მონადირემ მშველი იქვე ახლო ჩანჩხარა წყლის პირას მოიტანა; იარალი აიხსნა იქვე პატარა ხის ტოტზედ ჩამოჰკიდა, დაიმკლავა, მშველი სუფთად გაატყავა, ასო-ასო ასჭრა და ხეზედ ჩამოჰკიდა; მერე ცეცხლი დაანთო, ხის შამფური გათალა, ააგო კარგი ლა-ზათიანი მწვადი, ცეცხლს დაუფიცხა და თვითონ იქვე ჩანჩხარა წყალთან მივიდა ხელეგის დასაბანად. მონადირემ ხელეგი რომ დაიბანა, მოიხედა ცეცხლისაკენ და ნახა, რომ აღარც მწვადია სადმე და აღარც ხორცი. ასო-ასო აჭრილი მშველი გაცოცხლებულიყო და გარბო-

და. მონადირე ჯერ შეკრთა, მერე იარაღს ხელი წაშორებულა და სთქვა: ეს რა საკვირველება არის, თუ არ გავიგე ცოცხალი თავი არ მინდაო, და გამოუდგა მშველს. მირბის მშველი და მისდევს მონადირეც. კარგა მანძილი რომ გადაირბინეს, უცებ მშველი შესდგა მოუბრუნდა და შემოსძახა მონადირეს: „ჩემზედ რას ჰკვირობ: ამა და ამ სოფელში წადი, უმარას შეილი უმარა ნახე, და ის გაიბოზოს საკვირველს ამბავსაო.“ მონადირემ დაანება თავი მშველს და გაუდგა გზას უმარას შეილის უმარას საძებნელად. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიაღწია ერთ საღამოთი ერთს სოფელს. სოფლის განაპირას დაინახა, რომ ერთს კაცს დედალ-მამალი ვირი შეუზავს კევრებში და ცარიელ კალოზედ ატრიალებს. მონადირე მივიდა ახლოს და დაუძახა: „ბარაქა შენს კალოსაო.“ ღმერთმა მშვიდობა და ბარაქა მოგცესო უთხრა მეკალოემ.—უკაცრავად არ ვიყო კითხვაზედ და, რას სჩადიო? ჰკითხა მონადირემ. კალოსა ვლენწაო, მიუგო მეკალოემ. ძნა კი არ გიშლია და, რას ლენწამ ცარიელ კალოზედო, უთხრა მონადირემ. ჩემი წესი ასეაო, მიუგო მეკალოემ. კარგი და კეთილიო; მაგრამ თუ შეიძლება მასწავლე, უმარას შეილის უმარას სახლი რომელიაო, ჰკითხა მონადირემ. მეკალოემ სახრე გაუღირა ერთი სახლისაკენ და უთხრა: «აგე, ის ჩემი სახლია, წადი იქ მიბძანდი, მოისვენე, მეც ეს არის კალოს გავათავებ მოვალ და უმარას შეილის უმარას სახლსაც ღვთის შეწევნით ვიპოვნითო. მონადირემ გასწია ნაჩვენები სახლისაკენ. შევიდა ეზოში თუ არა, უნცროსები მოეგებნენ და შეიწვიეს სტუმარი სასტუმრო ოთახში და კაი პატივი სცეს. მზე რომ გადიხარა, მეკალოემ გამოუშვა თავისი ვირები, მოიყვანა ეზოში, ერთი ხმელი ბოდის ძირში თივა დაუყარა და ორთავეს თავები

მალლა ჩამოუბა, ისე რომ თივას ვერ დასწდომოდენ. თავად კი შევიდა სტუმართან, მოუჯდა გვერდით და ჰკითხა... „კარგო სტუმარო უმარას შეილი უმარა მე ვარ და რისთვის გარჯილხარ რა გნებავსო“. მონადირე სტუმარმა უამბო თავისი თავ-გადასავალი და ყველა უთხრა; უთხრა ისეც, როგორც მშველი მოჰკლა, გაუცოცხლდა, როგორც გამოუდგა მშველსა და მშველმა როგორ გამოასწავლა მასთან საკვირველების გასაგებად — „მაშ რაკი აგრეა და გარჯილხარ შორის ქვეყნიდან, ყველას გაამბობ, ყური დამიგდეთ, და დაიწყეთ უმარას შეილმა უმარამ: „შე ცოლის შერთვის დრო რომ მომივიდა, მეც ჩემს სწორ ამხანაგი, რასაკვირველია, თავი მომწონდამომქონდა: ამოვირჩიე ჩემთვის საცოლე, და ისეც ყაბულს გახდა. ერთს იმ ბედნიერს დღეს, ჩემის მეჯვარეებით და მაყრიანად მოვიყვანე ცოლი, ქორწილი დიდის ამბით გადავიხადე. გულის ფანჯალით მოველოდი პირველ შეხვედრის ღამეს მეუღლესთან. ვინ იცის რამ არ გამოეღვა თავში და არ გავიფიქრე გულში; ერთი სიტყვით მოსვენება არა მქონდა. საღამოს ჟამმაც მოატანა და ახლა უფრო სხვა და სხვა ნაირად დამიწყეთ გულმა ცემა, და თითქოს ჩემს თავს მევე აღარ ვეკუთნოდი; თურმე ნუ ბძანებთ, ბედი-კი სხვას მიმზადებდა. გათავდა ვახშამიც. მეჯვარემ და ხელის მომკიდემ, შეგვიყვანეს საკუთრად ჩვენთვის მომზადებულ ოთახში. დაგვლოცეს, ღამე მშვიდობისა გვითხრეს, გავიდნენ და გაიხურეს კარები. მე ჩემმა ცოლმა ფეხთ გამხადა, ტანთ-სამოსი გავიხადეთ ორთავემ და ჩავსწექით ლოგინში. ის იყო საბანი წავიხურეთ თუ არა და ვილაკამ დამიბრახუნა კარები: „უმარას შეილო უმარა შინა ხარო?“ აბა რა იქნებოდა, რომ არ გამოამეხენდა სირცხვილი იყო. წამოვდექ ტანთ-


საცმელი ისე მხრებზედ წამოვისხი და გავაღე კარები თუ არა, შევხედო. ერთი უზარ-მაზარი კაცი ღვას კარებში. უცნობმა არც აცივა არც აცხელა, ისე გადმომკრა პატარა ნაბდის მათრახი და მითხრა: „დოღის ცხენად ღმერთმა გადაგაქციოსო.“ მეც მაშინვე გადავიქეცი დოღის ცხენად და შლეგიანივით გამოვვარდი გარედ. ჰაიდაჰა! გამიგდეს ძაღლებმა ამ ღამეში და, ხან იქით და ხან აქეთ, თავ-პირ გადაგლეჯილი დავრბოდი. გავვარდი მინდვრად. სამი დღე და ღამე აღარ მოვკარებივარ სახლს. გრძნობა-გონება ადამიანისა მაქვს და ცხენი კი ვარ. მესამე დღეს ვსთქვი ჩემთვის; მოდი ერთი ვნახო ჩემი სახლი და კარი მეთქი. საღამოთი მოვედი ჩემს ოთახთან და დავდექი. გამოვიდა ჩემი ცოლი და დამიწყო დაცინვით სიცილი. აიღო ისევე პატარა ნაბდის მათრახი გადმომკრა და მითხრა: «ქეციან ძუკნა მწევრად გაქციოს ღმერთმაო.» მართლაც გადავიქეცი ახლ ქეციან ძუკნა მწევრად და გავუდექი გზას. სოფელში დამეხვიენ ძაღლები და სულ ძველი ხალხთასავით მათრიეს. გამოვვარდი მინდვრად და გავუდექი გზას უგზო-უკვლოდ. რა ვქჷნა! გონება, აზრი ადამიანისა მაქვს, ყველა მესმას, თან დარღით ვკვდები და თან შიმშილით. ორი დღე და ღამე ვიარე ამ ყოფით. მესამე დღეს შევხედო, რომ მინდორში ორი მგზავრი მოდის. როცა მომიახლოვდენ დამაცქერდენ და ერთმანეთს უთხრეს: „კაი ჯიშის მწევარი ყოფილა საწყალი, მაგრამ დაბერებულა და გამოუგდია პატრონს, მოდი წავიყვანოთ, ბინაზედ მაინც დაეგდებო.“ დამიძახეს თუ არა, მე მაშინვე გაჰყევი იმათ; ეს მგზავრები თურმე მეცხვარეები კი ყოფილიყვნენ. მიმიყვანეს ბინაზედ, გეჯაში რძე დამისხეს. მივედი, დავსუნე, თუმცა შიმშილით კუჭი მეწვოდა, მაგრამ აბა როგორ ვსქამდი გეჯაში! გონება ადამიანისა

მქონდა. მერე ერთი ნაჭერი უმი ხორცი გადმომიგდეს, მივედი დავსუნე. მაგრამ აბა უმ ხორცს რა შემაკმევდა! მივედი და იქვე მივეგდე ჩემთვის. ახლა ამ მეცხვარეებმა უთხრეს ერთმანეთს: ეს უთუოდ აზიზად გაზდილი ძაღლია და აბა მოდი, სუფთად რამეზედ დავუსხათო. სუფთა ხის ჯამზედ დამისხეს რძე, მომიტანეს, დამიღგეს და მეც საჩქაროდ ამოვსვლიავე. ახლა მოხარშული ხორცი მომცეს ჯამზედ, და ისიც საჩქაროდ გადავჰყლაპე. მერე რა-კი შემატყეს, დამიწყეს შეპატრუება და მაღეცფერი ვიცვალე, მოვსუქდი, ავდექი და დავიწყე ნადირობა. დილით წავიდოდი, საღამოთი ხან მშველი, ხან მელა-კურდღელი და სხვა-და-სხვა ნადირი მომქონდა ხოლმე; ასე რომ ეს ჩემი პატრონები ჩემი ნანადირებით გამდიდრდენ. ვნახოთ, ახლა დაიწყეს ცილობა ერთმანეთში; არა ჩემია, არა ჩემია ძაღლიო. ადგენ და ჰკითხეს ერთს ჰკუიან კაცს: „რომელს გვეკუიანის ძაღლიო.“ ჰკუიანმა კაცმა გაარჩია საქმე და უთხრა: «თქვენ ორივენი ერთნაირად ხართ, და მოდი, რადგანაც ვერა როგდებით; ძაღლი მე მომყიდებო, სამოც თუმანს მოგცემთ და შუაზედ გაიყავითო.» ორივენი ყაბულს გახდენ და მიმყიდეს ჰკუიანს კაცს. ახლა წამიყვანა ამ ჰკუიანმა კაცმა. თურმე ნუ ბრძანებთ ამ კაცს შვილი არ რჩება, ასე რომ, როგორც გაუჩნდება თუ არა, შვილის შეძენის პირველსავე ღამეს ყველა სახლის წევრთ ჩაეძინებათ თუ არა, რაღაც მოდის აკვანში ახრჩობს ხოლმე ყმაწვილს. მიმიყვანეს თუ არა შინ ცოლს უთხრა, ისეთი ჰკუიანი და ყოჩადი ძაღლი ვიყიდეო, რომ ყარაულად გამოგვადგებოო. ჩემს ახალ პატრონს ცოლი ფეხ-მძიმედ ჰყვანდა. რამოდენიმე დღის შემდეგ ჩემი ახალი პატრონის ცოლი დალოგინდა და ვაჟი შეეძინა. ჩემი პატრონი ძრიელ

გახარებას მიეცნენ. პირველ ღამესვე ყმაწვილი ჩააწვინეს აკვანში. მეც მომიწვინეს აკვანთან. მე, რასაკვირველია, მესმოდა მათი ლაპარაკი და, როგორც იმედი ჰქონდათ ჩემი; და ამიტომა მეც ვცდილობდი კარგად მეყარაულნა. შუალამემდინ ყველა სახლის წევრნი ჰყარარლობდნენ და მერე მათაც მიეძინათ. მე კი გატვრენილი შევჰყურებდი აკვანს. შუალამე რომ გადავიდა, ვნახოთ რომ, ერთი საკვირველი შრიალის ხმა მომესმა. შევხედე და ერთი ვებერთელა საშინელი კატა შემოვიდა და დაეცა აკვანს. მეც წამოვხტი და ვეცი კისერში კატას და ამოვიდე ქვეშ. კატამ რომ შემატყო აღარ მინდობს და ვღარ წაუვალ ხელიდანაო, შემომძახა: „უმარას შვილო უმარა! გამიში და ერთ ღროს გამოგადკებო.“ მეც ვუპასუხე: «ფიცი მომეცი, რომ ამ სახლში აღარ მოხვიდე, აღარც დაუშაფო რა ჩემი პატრონის ბავშვებს, და გაგიშვებ-მეთქი. კატამ შემომფიცა; მეც გავანთავისუფლე და კატა გაუდგა გზას. მერაღე დღეს, რასაკვირველია, ყველანი წამოდგნენ თუ არა, აკვანს მოაშურეს. რო ნახეს ყმაწვილი ისევ ცოცხალი იყო, დიდს სიხარულს მიეცნენ. რა კი გაიგეს, რომ ყმაწვილი მე გადავარჩინე, მაშინ ჩემმა პატრონმა, სამოცი თუმანი ხელ-სახოცში გამოკრული ყელზედ შემაბა და მითხრა: „წადი, ვისიც იყავი, ღმერთმან იმას მოახმაროს შენი თავი.“ მეც წამოველი და ვიფიქრე: წავალ ჩემს სახლს ვნახავ მეთქი. ვიარე, ვიარე და მოვედი ჩემს სახლში. შუადღე იყო, სიცხე-მზე-პაპანაქი. შემოვუარე ჩემს ოთახს, შევიხედე კარებიდან და ვნახო რომ ჩემს ტახტზედ ერთი ვებერთელა კაცი გადაწოლილა, ხვრინავს და ჩემი ცოლი ხის ტოტით ბუზებს უგერებს. ჩემმა ცოლმა შემომხედა თუ არა მიცნო. რომ შემამჩნია ყელზედ ხელსახოცით რაღაც

შებმული, თვალთმაქცურად მომეაღერსა, თავზედ ხელს  
დამისვა შემხსნა ხელსახოცი, ამხსნა და რომ ფული ნახა,  
ძრიელ გაეხარდა: რასაკვირველია, ფული იქვე ზანდუკში  
ჩადვა. თავად აილო ნაბდის პატარა მათრახი, გადმომკრა  
და მითხრა: „ჯღარბათ ღმერთმა გაქციოსო“. მართლაც  
ვიქეცი ჯღარბად: გამომიყვანა აივანზე, ამომკრა ფეხი, გად-  
მომავდო და თან გადმოსქახა მეზობლის პატარა ბიჭებს:  
„ჰარიქათ ბიჭებო, ჯღარბს დაუშინეთო“. მართლაც შე-  
მომეხვანენ ბიჭები; ზოგი მწვეტიანს ჯოხს წამატაკებს,  
ზოგი ჯოხს ამომკრავს და გამაგორებს და ზოგი რას.  
მეც, რასაკვირველია, ადამიანის გრძნობა მაქვს და ჯავ-  
რით ვსკდები. ავდექი და რომ ბიჭები შემეშინებინა, ისღა  
მოვიგონე, რომ დავპირდაპირებოდი ფეხშიშველა ბიჭებს და  
ტიტველა ფეხზედ მივვარდებოდი ხოლმე. ბიჭები შემო-  
მეფანტნენ გარშემო. მეც ვიცოცე, ვიცოცე და იქვე  
ერთს პატარა მდინარეს მივატანე, ჩავვარდი შიგ და ამ-  
ნაირად ბიჭებს გადავრჩი. ორი დღე-და-ღამე გავატარე იმ  
წყალში. მესამე ღამეს ნაპირად გამოვედი და ვწრიბინებ  
ჩემთვის ჯღარბის ჩვეულებისამებრ. ვნახოთ, რომ ერთ-  
ბაშად შემომესმა ძრიელ შრიალ-შრიალი. მე ისევ  
ვწრიბინებდი. ამ დროს შემომესმა ხმა: უმარას შვი-  
ლო უმარა! შენ არა ხარო? მე ვარ მეთქი ვუპასუხე. ნა-  
პირად გამოდი, საქმე მაქვს შენთანაო, დამიძახა უცნობმა;  
მეც ვსთქვი: რაც იქნება-იქნება მეთქი. გამოველ და  
შევხედე რომ ერთი მშვენიერი, მთვარესავათ გაბადრუ-  
ლი დედაკაცი კი დგას. დედაკაცმა მიახრა: „უმარას  
შვილო უმარა! გახსოვს მე რომ ფიცი მოგეცი გამი-  
ში და გამოგადგები როდისმე მეთქი? მე ჩემი  
აღთქმა უნდა ავასრულო და მომყვვი უკანაო. მეც  
ცოცვით მივჰყვვი უკან დედაკაცს. მაველით ჩემს ოთახ-

თან. სწორედ შუალამე იქნებოდა. ამ დედა კაცმა აიღო ბარი და დაუწყო თხრა ჩემი ოთახის საძირკველს. კარგად რომ გამოთხარა, მოთხრა: «შეძვერი და ის პატარა ნაბდის მათრახი გამომითრიე როგორმეო.» მეც შევძვერი, მაგიდიდგან, როგორც იყო, წვალეებით ჩამოვიღე მათრახი და პირით გამოვათრიე გარეთ. დედაკაცმა აიღო მათრახი, გადმომკრა და მითხრა: «ვაჟკაცად ღმერთმა გადაგაქციოსო.» რასაკვირველია, გადვიქეც კაცად. მაშინ მითხრა ჩემმა მშველელმა: აი ეხლა ეს მათრახი, შედი ოთახში და, რადაც გინდოდეს, იმად აქციე შენი ცოლი და მისი კუროცაო. მე შევადე ოთახის კარები, შევხედე რომ ჩემ ცოლს და მის კუროს არხეინად ეძინად, ერთმანეთის მკლავზედ. გადავქარ ნაბდის მათრახი ჯერ ჩემს ცოლს და ვუთხარი: «დედალ ვირათ ღმერთმა გაქციოსმეთქი». გადავქარ კუროს და ვუთხარი: «მამალ ვირად ღმერთმა გაქციოს მეთქი». რასაკვირველია, ორივე ისე გადაიქცენ, როგორც ღმერთს შევნატრე. მას დღეს აქეთ ჩემს ჯავრს ამით ვყრილობ: დილით შევბავ ხოლქე ორთავეს კვერში და ცარიელ კალოზედ ვალეწინებ, ვატრიალებ. როცა გამოვუშვებ და ასე მალლა მიფუკრავ ხოლმე თავებს ორთავესაო. აი ეს არის, ჩემო სტუმარო, ჩემი თავგადასავალი და ჩემი საკვირველი ამბავი». მონადირე გამოეთხოვა უმარას შვილს უმარას და გაუდგა გზას. დღესაც ამ საკვირველს საქმეზედ ჰფიქრობს ჩვენი ნაცნობი მონადარე.



## ჟაჩალეზის ამხანაზი.

(ზღაპარი ქურთაში გავონილი).

ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი ცოლ-ქმარი; გაჭირვებით გამოხარდეს თავიანთი ერთად-ერთი შვილი. რომ დავაშკაცდა, დედას უთხრა: დედი, მე მინდა ჩემი მომავალი ეისმათი ვეძებო, ამისათვის მიუიდე ქიშმიში; წავალ, ქიშმიშის ჭმას დავიწებო გზა-გზა და სადაც გამოთავდება, ჩემი ეისმათი იქ უნდა მოვძებნო. დედამ უყიდა ქიშმიში, მან ჩაიყარა ჯიბეში, გაიყოლა დედა უკან და წავიდა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ქალაქში. გაიარეს ერთი სარდაფის წინ და ქიშმიში სწორედ იქ, იმის კარებზე გაუთავდა. გაჩერდა იქ და დედას უთხრა: ჩემი მომავალი ბედი აქ, ამ სარდაფში უნდა იყოსო. დედას აქ მოაცდევინა და თვითონ იმ სარდაფში ჩავიდა. შეხედა, რომ ცხრა ეჩხადა ზის და ქეითობს. რა დაინახეს უცაბედი სტუმარი, მიიწვიეს სუფრასზე და ვინაობა გამოჰკითხეს. მან უკვლავ უამბო და უთხრა, რომ მომავალი ბედის-წერა აქ უნდა ვაძოვო თქვენთან, სხვაგან გზა არა მაქვსო. მაგრამ ამან უთხრა ეჩხადებს: დედაჩემი კარებზე მიცდის, საზრდო უნდა. მივსცე რამე და მე თქვენ მოგუკედლოთო. ეჩხადებმა მისცეს ასი თუმანი, იმანაც მიუტანა



დედას და სახლში გაისტუმრა. რომ ივანეშვიცი, მამის დასწრით  
თათბირი, თუ ვინ წასუღიერო სადავლოდ. წილი ამ სახლ ამ-  
ხანაგს არგუხეს, კაცხანეს, აბა ვნახოთ, როგორი გამარჯვე-  
ბული მოგვივარო. წავიდა საწყალი ქალაქში. შაშისაკან და  
სირცხვილისაკან ვერსად ვერა გაბედა-რა. ბოლოს მივიდა და  
აიტუნა ერთი საწყალი ხარაზის დუქანთან. ხარაზი ივესხა-  
მელებს ჰქერავდა. ეს კაცი ამას უცდიდა, ატა, როდის დაი-  
ძინებს და ეგება მოვინარო რამეო. დადავლომა ხარაზმა და-  
ნება საქმეს თავი და ჩასთვლია, სანათი კი ვსეუ ენოო. ახლა  
ეს ეახლი უცდის სანათის ჩაქრობას, რომ ბნელაში შევიდეს  
და მოიხაროს რამე. როდესაც ამის იფიქრებო, უცბად წამოვიდა  
ზევიდან ერთი მზეთ-უნახავი ქალი, დაავლო ამ კაცს მხრებში  
და როგორც უნდა აიტაცოს, ვერც მოერია და ამ დროს ამ  
ბიჭმაც სტაცა მარჯაში ხელი; გაუსხლტა ხელადგან და ბიჭს  
მისი ჩქროს ძვირთვისა სამაჯური შერჩა ხელთ. ესამოვნა  
ამ კაცს ეს ამბავი, აღარ შევიდა ხარაზის დუქანში გასაქურ-  
დად და თავის ამხანაგებთან დაბრუნდა ძვირთვისა საჩუქრით.  
მათ, რასაკვირველია, დიდად იამათ ამხანაგის ნაშოვრით და-  
ბრუნება. მეორე დღიას მასვე კაცსაც გასაუიდად, აბა რას  
შემოგვადევენო. წაიღო გასაუიდად. შემოხვდა ერთი სომეხი,  
უთხრა, ჰქედიო? უპასუხა: დიანო. რა მოგვე?—განა შენ არ  
იცი ამისა ივანე?—სომეხმა ათი თუმანი აძლია. ამ კაცს ტუ-  
ილი ეგონა და საყვედური უთხრა: რას მენუმრებოო. მან იცი  
თუმანი შეაძლია. რას ამბობ, კაცო, მასხარად ვის იგდებო?  
სომეხმა თავი ანება და წავიდა. მეორე შემოხვდა ურია. ჰქეითხა,  
გასაუიდაო? დიანო. ადგა და იცი თუმანი შეაძლია. მან  
უპასუხა: რას ამბობ, კაცო, რა დავმარტონია? ურიათ ორმოცი  
შეაძლია.—წადი, გამეცადე, მასხარად ნუ მიგდებო. მეორე  
თხმომეცა თუმანი აძლია. ამ კაცს ტუილი ეგონა და სმა  
აღარ გასცა. სწავდა ეს ურია და წაართვა სამაჯური. ეს რომ

ჩემი სასლიდგანს გაქვს მოტაცებული. წავიდნენ მევესთან  
სახიფელად. ურამ დაბოზდა და უთხრა, რომ ეს ეახლები  
ამხანაგია და სამაჯური მე მომტაცესო. ეს კაცი თავს მართ-  
ლულობდა, ეუბნებოდა, ჩემია, არ მომიპარავსო, მაგრამ ვინ  
გაუკონებდა. მაშინ ამ ბაჭმა უთხრა: წამოდით, ეველა ჩემს  
ამხანაგებს ხელში მოგცემთ, ისინი აქ დაამწყვდიეთ და მე  
ვადა მომეცით, თუ იმ ვადაზედ ამისთანა სამაჯური მოგიტა-  
ნეთ, მაშინ სომ ჩემია და ჩემი, თუ არა და ისინი დახსრჩე-  
თო. ან არა და თვითონ მაკ ურამ მოატანოს და მაშინ მა-  
გისი იქნებაო. წასსა ხალხი, დაატერინა ის ეახლები და  
დაამწყვდიეს. მისცეს ვადა. ეს ბიჭი ადგა და წავიდა. მივიდა  
ერთ საუდარში, შევიდა, დაწვა და დაიძინა. შუადმე რომ შე-  
იქნა, შემოფრინდა ერთი მტრედი, ზირში წკებლები ეჭარა,  
დაჯდა ერთს საფლავზე, იქცა ქალად, აიღო ეს წკებლები,  
დაჭკრა ამ საფლავს, და საფლავიდან წამოდგა ერთი შეენაერა  
ემაწვილი. ეს ქალი მიეაღერსა, დაიწვეს ორივემ ტრფილი  
და ხვევინა-კონხა. ამ ქალმა რომ მოისურვია, ეს წკებლები  
ისევ დაჭკრა და ემაწვილი ისევ საფლავში ჩავიდა; მოვიდა და  
ქალმა ქვა დაადო. იქცა ქალი მტრედად, უნდოდა გაფრენი-  
ლიყო და ამ ბაჭმა სტაცა ხელი, მტრედი გაუფრინდა, წკებ-  
ლები კი ხელში შეჩხა. აიღო ეს წკებლები, დაჭკრა ამ საფ-  
ლავსა და წამოდგა ეს მიტვალბული. მან გამოჰკითხა ვინა-  
ობა. გამოხნდა, რომ ხელმწიფის შვილი იყო ეს საფლავი-  
დან ამდგარი კაცი. ადგნენ და წავიდნენ იმ ქალაქისკენ, საი-  
დანაც ეს ხელმწიფის შვილი იყო. რომ მივიდნენ, მამას  
ძადიან გაეხარდა თავის დაკარგული შვილის მოსვლა, რო-  
მელმაც არ იცოდა საით წასულიყო აკურ ამდენი ხანია. გას-  
რებულმა ხელმწიფემ უთხრა ამ ბაჭს: რა გინდა, მთხოვე და  
მოგცემო. ბაჭმა მიუგო: შენი არა მინდა-რა, ამისთანა და  
ამისთანა სამაჯური უნდა მიშოვო, მეტს არასა გთხოვო.

ხელმწიფემ უთხრა, მე კი არა მატყვს და ერთ ალაგს, მარმარილოს კოშკი დგას, შიგ სამა და სცხორებს და იმათ აქეთთა. ასწავლა გზა, საით იყო და გაისტუმრა. იარა ამ ბიჭმა, ცოტა თუ ბევრა, აგერ დაინახა ზღვის იქით ერთი მარმარილოს კოშკი, გააკეთა ნაუტიკი, დაჯდა ზედ და უნდა გასულიყო კოშკთან. ამ დროს წამოვიდა სევიდგან ერთი ქალი, დასწვდა ამ ბიჭი მხრებში, უნდადა ზღვაში გადაეგდო, მაგრამ ვერ მოერია. ბიჭი სწვდა ფეხში, ვერ დაიმკრა, ქალი გაექცა და იმისი ოქროს ქოში ხელში შეჩნა. მოუსვა და გაადა კოშკთან. უნახა კარები, შევიდა შიგ, ნახა შეკნივრად მორთული ოთახი, შიგ სუფრა იყო გაშლილი, და რა გინდა სულა და გულა, რამ იქ არ იყო. ეს ბიჭი ტახტ ქვეშ შეძვრა და დაიძალა. მალე შემოვიდა ამ ოთახში ეს სამა და ქალი. მოუსხდნენ სუფრას, ერთმა აიღო უანწი, დაილოცა და სთქვა: ღმერთმა აცოცხლეს ის ბიჭი, რომელიც ხანახანს ღუქანში იჯდა, მე დავსწვდი მას მისაკლავად, და იმან სამაჯური წამართვაო, დაცალა და დადვა უანწი. მერე მეორე დაილოცა: ღმერთმა აცოცხლეს ის ბიჭი, რომელიც, როდესაც ჩემს საყვარელს ვეჭროფოდი, საუდარში მითავლავდა და წებლები წამართვაო. მერე მესამე დაილოცა: ღმერთმა აცოცხლეს ის ბიჭი, რომელსაც დავსწვდი, უნდა ზღვაში ჩამეგდო დასადრწობად და ქოში წამართვაო. ესენი რომ გააგონა ამ ბიჭმა, გამოძვრა ტახტ-ქვეშიდგან და თავი დაუქრა, ის მე განლავარო; გაეხარდათ იმათ, დაისვენ თავიანთთან და ზური აჭამეს. მერე უთხრეს, რამ ამ სამში ერთი აიჩიო და შეირთეო. ამ ბიჭმა უმცროსი აიჩნია, მაგრამ ჭერ თავისი დარდა უამბო, თუ რად მოსულა აქ. რაკი სამაჯური სთხოვა, იმათ ბარე ხუთა მოუტანეს იმისთანება. მან ორი აიღო, გამოეთხოვა და წამოვიდა. რომ მოვიდა იმ ქალაქში, სადაც მისი ამხანაგები იყვნენ, სადრწობელები უკვე გამართული იყო.

მთვინე და მთუტანა სამაჯური ხელმწიფეს. შერე ურას მის-  
ხვეს, მაგრამ იმან სთქვა, რომ მარტო ეკ ერთი მქონდა.  
გამართლეს ეს ბიჭი, დაუბრუნეს სამაჯური, გაუშვეს უახლები  
და ეს ურია კი დაარხვეს. მასინ წამოვიდნენ, მოვიდნენ ქაღე-  
ბთან, დაქორწილდა ეს ბიჭი, მყრებიც ხომ ეს მისი ამხანა-  
გები იყვნენ, წამოიყვანეს ჰატარსადი ამ ბიჭის დედასთან,  
წამოჭვენენ დებიც და ტკბილად დაიწყეს ცხოვრება და დღესაც  
ბედნიერად სცხოვრობენ. ჭირი იქ დაეკვდუ ღზინი აქ მოვიტანე.



## იადონი და ბულბული.

(ზღაპარი იქვე გაგონილი, ჩაწერილი მისგანვე).

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,  
იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა იმას სამი ვაჟი. ამ ხელმწი-  
ფემ ააშენა მშვენიერი, უმშვენიერესი ტაძარი. როცა სულ  
მთლად დაასრულეს შენობა, ხელმწიფემ დააყენა ყარაუ-  
ლები და უბძანა! გაიგეთ შემომსვლელისაგან, რა წუნს  
დასდებენ ამ ტაძარსაო. ერთ დღეს ამ შენობაში შემო-  
ვიდა ერთი კოჭლი მღვევი, მიიხედა, მოიხედა, მოეწონა  
და სთქვა თავისთვის: ძალიან მშვენიერება რამ არის, სა-  
უცხოვოდ აგებულიცა მაგრამ ამისი ნაკლი ის არის, რომ  
იადონი და ბულბული არ არიან აქა და არ კიკიკო-  
ბენო. სთქვა და გამოვიდა. ყარაულმა მოახსენა ხელმწიფეს,  
რომ თქვენს შენობას იადონი და ბულბული აკლია, თო-

რემ სხვაფრივ ყველათი სრულიაო. დალონდა ხელმწიფე, არ იცოდა სად ეშოვნა ბუღბული და იალონი. მოუხმო თავის სამ შვილს და უბძანა: «წადით, იალონი და ბუღბული იპოვეთ, მომგვარეთ, და ვინც მომიყვანთ, ჩემს სახელმწიფოს იმას დავულოცავო.» აღგნენ ეს სამთავ ძმები, და წავიდნენ საქებნელად. მივიდნენ ერთ სოფელში, სოფლის თავში სამართლის ქვა ეგდო. იმ ქვაზე ეწერა: ზევით წახვიდე, მალე მოხვიდე, მარჯვნივ—გვიან მოხვიდე, მშვიდობითა და მარცხნივ წახვიდე, ველარ მოხვიდეო; ითათბირეს ძმებმა, თუ საით წასულიყო თვითეული იმათგანი—სამივე ხომ ერთად არ ივლიდა? ორი ძმა მარჯვნივ გაემგზავრა და უმცროსი კი მარცხნივ. იარა, ბევრი იარა და ერთ ქალაქში მივიდა. დიახ შემკობილი იყო ეს ქალაქი, ერთ დუქანში შევიდა, გამოჰკითხა ხელმწიფიშვილმა ამ ქალაქის ამბავი მედუქნეს, უამბო იმანაც ყველაფერი და უთხრა: ძალიან ცუდი საქმე მოგელის, რომ აქ მოხველ, ამ ქალაქის ხალხის ჩვეულებაა, ღამე ძაღლებათ იქცევიან და ქუჩა-ქუჩა დაწრწიან, თუ ვსმე ადამიანს მოასწრეს, შესჰამენო, მე ალაგი არა მაქვს, არ იმ მედუქნესთან მიდი, კარგი ოთახები აქვს და ის შეგინახავსო. მადლობა უთხრა ხელმწიფის შვილმა მედუქნეს და მეორესთან მივიდა. იმანაც მიიღო და შიგნივ ოთახში შეიყვანა; უთხრა, არამცა და არამც კარები არ გააღო, მაგრად გქონდეს ჩაკეტილიო, მართლაც რომ დაღამდა, ამ ქალაქის მცხოვრებნი დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა ძაღლებად გადაიქცნენ. ასტეხეს ერთი საშინელი აურზაური, ჩხუბი, ყეფა იმისთანა, რომ კაცს შეხარავდა. იცეს ადამიანის სული, მიადგნენ ამ დუქანს, ხან აქედგან მოუვლიან, ხან იქიდგან, კინალამ კარები შეამტვრიეს,

იბრაღა ღმერთმა და როგორც იყო გადარჩა განსაღ-  
დელს ეს ხელმწიფის შვილი. რომ გათენდა დილა, ყველანი  
ისევ ხალხად გადაიქცნენ. გაიღო კარები საბრალომ,  
გამოვიდა, სკამა პური მედუქნესთან და თავის ამბავი  
უამბო, თუ რად წამოსულა, და არც კი იცის საღ  
წავიდეს, ან როგორ იშოვოს იადონი და ბუღბული.  
მედუქნემ უთხრა: „მეტად ძნელს საქმეს დასდგომიხარ,  
ძნელია იმათი შოვნა. ის იადონი ბუღბული ჭყავს ერთ  
მზეთ-უნახავს ჩარეჟის ქალს. ის ქალი ხელმწიფის ქალია,  
ღიღით ასწონენ ჩარეჟი მოდის, საღამოს ასწონენ მაინც  
ჩარეჟი. არც ემატება და არც აკლდება. მარმარილოს  
კოშკში ზის ის, ბუღბული და იადონიც იქ უსხედან და  
ჭიკჭიკით შეაქცივენ. წადი აი ამ გზაზე, შორს მანძილს  
რომ გაივლი, ერთი მშვენიერი წალკოტი დაგხვდება,  
რიგი მწიფს, რიგი ყვავის, რიგიც მკვახეა, და ვინ მოს-  
თვლის მის ქებას, ის ბალი ცალ-თვალი მღვეისაა. რომ  
გაიარო, არამცა და არამც ხელი არას ახლოო, დაარიგა  
და გაისტუმრა.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ბღთან.  
მართლაც რომ სანაქებოა, რა გინდა სულო და გულო,  
რომ იქ არ ყოფილიყოს, ამ ხელმწიფის შვილმა ითბინა,  
ბევრი ითბინა, არას მისწვდა, მაგრამ ბოლოში რომ გა-  
იარა, სწვდა ერთს მსხალს; როგორც გაკბიჩა, ისეც დაუ-  
ძახა ცალთვალი მღვემა: ეი, შენ, ყმაწვილო, მოითბინე  
პატარა ხანს, გარედან რად სწვდები, შიგ შემობრძანდი  
და ხილი იხილეო. ხელმწიფის შვილმა იმ წამს გადააგდო  
მსხალი, მაგრამ გვიან-ღა იყო, მღვეს ვერ წაუვიღოდა,  
დამორჩილდა, მივიდა მღვეთან; მღვემა აათვალ ჩათვალ-  
ერა, მიიპატიჟა: მობრძანდიო, მამაშენიც ხამი არ არის  
ჩემთან სტუმრობასაო, მიირთვი ხილიო. მიატარა, მოატა-

რა, ძალიან მოეწონა ბალი, მერე ამ მდევმა უთხრა: წამოხბანდი, ჩემი სახლიც ნახეო. წაჰყვა, გააღო მდევმა ოქროს კარები და შეიყვანა სახლში, მაგრამ დახე მის განცვიფრებას, შესვლის უმალ სამოცმა მიჯაჭვულმა კაცმა ერთხმად დაიძახეს: შე უღმერთო, შენ რალამ მოგიყვანა აქაო. მივიდა მდევი, აუშვა ერთი ტყვე, და ეს ხელმწიფის შვილი იმის ადგრლას ჩააბარა, შენ აქ მოითბინეო. მერე ცეცხლი აანთო. გადმოიღო ოქროს შამფური, გააცხელა ცეცხლზე, ააგო ეს ცოცხალი კაცი, შესწვა ცეცხლზე, დაჯდა და თავ-ფეხიანად დაძმუნდა; მერე დაწვა და დაეძინა. რომ ამოუშვა საშინელი ხვრინვა, ამ ხელმწიფის შვილმა ჰკითხა: ამ კაცს რა ხასიათი აქვსო? ტყვეებმა მიუგეს:— „ერთ კაცს რომ შესჭამს, დააწვება ძილქუში და სამ დღეს აღარ გამოიღვიძებსო“. მაშინ ხელმწიფის შვილმა უთხრა:— აბა ამ ჯაჭვების კვანძს ავწიოთ, ეგებ სიმძიმისაგან გაწყდეს და ჩაიშალოსო. მოგროვდნენ სუყველანი ერთად, დაებლაუქნენ, ასწიეს და ოღნავ შეანძრიეს. მერე ხელმწიფის შვილმა უთხრა: შეისვენეთ და გაკიპირვოთო, რომ შეისვენეს და ასწიეს — მხოლოდ ქარი გაუყენეს. მესამედ კიდევ შეისვენეს, აბა, ახლა კი ძმურად, ერთად და ძალით ავწიოთო. ასწიეს და როგორც აიტანეს მუხლზე, — ისე გაწყდა ერთი წვერი და ჩამოიშალა ჯაჭვები. გაინთავისუფლეს თავები, მოფრინდნენ და გაიქცნენ. ეს ხელმწიფის შვილი ეუბნება — მოიცადეთ, ეს თვალ-მარგალიტი და სიმდიდრე წაიღეთო, მაგრამ თავები რომ ცოცხლები დაახწიეს, იმას რა სჯობდა. ამ ხელმწიფის შვილმა აიღო შამფური, გაახურა ცეცხლში, ასწია, ჩაჰკრა იმ ცალ თვალში მდევსა და გამოუქექყა. წამოვარდა მდევი ზეზედ, აქეთ-იქით მიაწყდა, ვერა გაიგო რა. ამ ხელმწიფის შვილმა გაისვა ხმაღს ხელი და მდევი ლუკმა-ლუკმა

ასჩეხა. გამოსწია და თავის გზას დაადგა. იარა რამოდენიმე ხანი და ერთ ალაგას დაინახა: სამი ძმა მღვევი ღვას და ერთმანეთს საშინლად სცემენ ლახტებითა. მივიდა ახლოს და დაუძახა: «სამ ძმას მღვეს გაუმარჯოსო.» იმათ ხმა არ გამოსცეს, მეორედ კიდევ დაუძახა, მესამედ კიდევ: „სამ ძმას მღვეს გაუმარჯოსო.“ მაშინ გაანებეს ჩხუბს თავი და უთხრეს:—რა იცი რომძმები ვართო?—როგორ არ ვიცი, განა არ გეტყობათო; მაგრამ რაზე ხოცავთ ერთმანეთსაო? — „რახან გვეკეთხები, შუა-კაცობაც შენ უნდა გაგვიწიოო; ჩვენ ვიყრებით და ვერა ვრიგდებით: ჩვენ გვაქვს ერთი ნატვრის სუფრა, ერთი მფრინავი ხალიჩა და ერთი უჩინ-მაჩინის ქუდიო, ესენი ვერ ვაგვიყვია და შენ გაგვინაწილეო. მაშინ ხელმწიფის შვილმა მოატანინა მშვილდ ისარი, გაისროლა სამი ისარი სხვადა-სხვა მხარეს და უთხრა: „წადით ისრები მოიტანეთ, ვინც უწინ მოიტანს,—ნატვრის სუფრა იმას ერგოს, ვინც მეორედ მოვა, ნატვრის ხალიჩა იმას და ვინც ბოლოს, უჩინ-მაჩინის ქუდიო. გაეხარდათ, წავიდნენ ისრების მოსატანად, მაგრამ სად იპოვადნენ, მგონი, ცხრა მთას იყვნენ გადაკარგულები. მღვეები რომ შორს წავიდნენ, ხელმწიფის შვილმა მონახა ეს ნივთები, გაშალა მფრინავი ხალიჩა, აიღო ხელში ნატვრის სუფრა, უჩინ-მაჩინის ქუდი, უთხრა ხალიჩას: აბა ხალიჩავ, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ამიყვანე და იქ მიმიყვანე სადაც ჩარქვის ქალი სცხოვრებსო. აფრინდა ეს ხალიჩა და თვალის დახამხამებაზე იმ ქალაქში მიიყვანა; მადლობა უთხრა ხალიჩას, დაკეცა და ერთ დედებერთან შევიდა, სთხოვა მისტუმრო. დედებერმაც სიხარულით მიიღო. გამოჰკითხა ქალაქის ამბავი. დედებერმაც უამბო, კაი ქალაქიაო, კარგი ვაჭრობაა და ისიც უამბო, რომ ჩვენ ხელმ-

წითეს ჩარეკის ქალი ჰყავს, დილით ასწონენ ჩარეკისა, სალამოზე კიდევ, არც აკლდება, არც ემატება. იმასა ჰყავს იადონი და ბულბული, რომლებიც თავის მშვენიერი ქიკიკით შეაქცევენ იმ ქალსაო. მერე ამ ყმაწვილმა უამბო, თუ რისთვის მოსულა; დედაბერმა უთხრა: ტყვილად გარჯილხარ, ის ქალი მარილოს კოშკში ზის, ცივ ნიავს არ აკარებენ და შენ როგორ შეხვალ იქაო. დაანახვა ის კოშკიც. იმას მარტო ერთი ფანჯარა ჰქონდა. გაშალა იმ სალამოზე ხალიჩა, დაჯდა ზედა, დაიხურა უჩინ მაჩინის ქუდი, უთხრა ხალიჩას: ხალიჩავ, შენს მზესა, შენი გამომცემის მზესა, ამიყვანე და სადაც ჩარეკის ქალი ზის იმ ოთახში შემიყვანეო. აფრინდა ეს ხალიჩა და შიგ კოშკში კი დაბადა ეს ყმაწვილი. ჩარეკის ქალს ეძინა, იადონი და ბულბული შესქიკიკებდნენ მძინარეს, კაცი უამესს ვერას გაიგონებდა. ქალს თავით და ფეხთით სამთლები ენთო. აიღო, თავის სამთელი ფეხთით დაუდგა, ფეხთისა თავით და ერთი აქეთ ლოყაში აკოცა და მეორე იქით. ქალს გამოელვოდა, წამოჯდა ზეზე, მიიწეღ-მოიხედა, ვერავინ ნახა, გაუკვირდა, ისევ დაიძინა. შუალამე რომ შეიქნა, კიდევ შეუცვალა სამთლები და აკოცა. გამოელვოდა ქალს, დაიძახა: რა ხარ, რა სულიერი ხარ, რა გინდა ჩემგანაო. თუ ეშმაკი ხარ ჩემთან ეშმაკს რა უნდაო, თუ ადამიანი და აქ როგორ გაბედე მოსვლაო? მაგრამ ვერას ხედავდა. მესამედ კიდევ აკოცა, ქალმა ბევრი იჯაფრა, მაგრამ ვისზე. ვერავის ხედავდა. გათენდა დილა, ჩააცვეს ქალს, გაიყვანეს ასწონეს და ჩარეკს კიდევაც დააკლდა. განრისხდა ხელმწიფე მზარეულებზე, კაი საქმელი არ გიქმევიათო, გაუსვა ხელი და თავები წააყრევანებინა საწყალ მზარეულებს. ის დღე ხელმწიფის შვილმა კოშკში გაატარა რომ დაღამდა და ქალმა დაიძინა

კიდევ შეუცვალა სამთლები და აკოცა. წამოდგა ქალი და ხვეწნა დაიწყო, თუ კაცი ხარ მე და—შენ ძმა, თუ ქალი, მე შვილი და შენ დედაო. მაგრამ ხმა არავინ გასცა. კიდევ რომ დაეძინა—აკოცა. კიდევ წამოვარდა, ეხვეწებოდა: გამომიჩინდი ვინ ხარ; ხომ გააგე მზარეულებს რა უყვეს, რაზედ იხვევ მათ ცოდოს თავზე? გამოჩნდი და, რა ვქნა, შენ ქმარი და მე ცოლიო. მაშინ მოიხადა ქული ყმაწვილმა და გამოჩნდა. ქალს დიდათ გაუკვირდა. ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი, დააწყეს როგორ წასულიყვნენ; მერე გაშალა ნატურის სუფრა, შეექცნენ ვახშამს, დაიწყეს საამო სტვენა იაღონმა და ბუღბუღმა და შეაქცევდნენ. რომ გაათავეს ვახშ.მი დასხდნენ ხალიჩაზე, იაღონი და ბუღბუღი გალიით ხელში დაიჭირეს, შეულოცეს ხალიჩას: ხალიჩა, შენსა მზესა, შენი გამოკცემის მზესა, აგვიყვანე და იმ ქალაქში მიგვიყვანე სადაც ჩემი ძმები არიანო. აფრინდა ხალიჩა და იმ ქალაქში ჩამოსხა. დაიჭირეს ერთი სახლი და მოისვენეს. მეორე დღეს ყმაწვილმა დაუწყო ძებნა თავის ძმებს. აგერ დაინახა, რომ უმფროსი ძმა ხაბაზთან არის მოჯამაგირედ. მივიდა პური იყიდა და ხაბაზს უთხრა:—შენ მოჯამაგირეს გამოატანე, ფულს ვაჩუქებო, რომ გაპყვა ძმა, ამ უმცროსმა უთხრა: რა გაგიჭირდა ისეთი, რომ ხაბაზს დაუდექიო? იმან უამბო თავის გაჭირვება. მაშინ წაიყვანა აბანოში, გაბანა, ჩააცვა ტანისამოსი, როგორც ხელმწიფის შვილს ეკადრებოდა და თავის დანიშნულთან მიიყვანა. წავიდა მეორე ძმის საქმენელად, ისიც მეხაშეს დასდგომოდა მოჯამაგირედ. იყიდა ხაში, გაიყოლა ძმა თანა, ისიც აბანა, ჩააცვა და მიიყვანა შინ. რომ დაინახეს ძმებმა ეს უმცროსი ძმა გამარჯვებული, შური იძიეს, ჩუმად მოილაპარაკეს, დააწყვეს საქმე, თუ როგორ დაეღუპათ იგი. გაიტყუეს

და უთხრეს: წამოდი, რომ საკვირველება გაჩვენო. წაიყვანეს, ერთ ღრმა აკლდამასთან მიიყვანეს, ჩაახედეს შიგ, დახე, რა არისო. თავი წინ რომ წაიღო და ჩახედა, ჰკრეს ხელი და შიგ კი ჩააგდეს. წამოვიდნენ, მოვიდნენ ქალთან, ქალმა საქრმო იკითხა. იმათ უთხრეს, მოვაო. იადონმა და ბულბულმა ფრთები ჩამოაუშვეს, ქალმა იფიქრა: რაღაც უბედურებაა ჩემს თავსაო. იტირა ბევრი, მაზღემა გაუტრიზავეს, გაუქარწლეს. დასხდნენ ხალიჩაზე და მამის ქალაქში წავიდნენ. მოეგება მთელი სახელმწიფო, ხელმწიფის შვილები მშვიდობით დაბრუნდნენო, მოჰყავთ იადონი, ბულბული და მზეთ-უნახავი ქალიცაო. მოეგება მამაც. მიიღო სიხარულით, ჰკითხა ამბავი. იმათაც უამბეს, როგორც უმცროსი ძმისგან გაეგონათ. გაურიეს ბევრი ტყუილიც და ძმის ამბავიც უთხრეს, ის მოუსავალ გზისკენ წავიდა, უეჭველად დაიღუპებოდაო. მერე ქალს ურჩია ხელმწიფემ ერთ-ერთი ძმა შეერთო. მაგრამ არა ჰქნა, მაზლს ვერ შევირთავო; ჩაჯდა ერთ ბნელ ოთახში, იადონი და ბულბულიც თანა ჰყავდა და საქრმოს დაკარგვას ჰგლოვობდა. უმცროსი ძმა რომ ხვრელში იჯდა, იმ დღესვე ერთი მკვდარი თოკებით ჩაუშვეს შიგა. რამოდენიმე ხნის შემდეგ შემოეხვივნენ მგლები ამ ხვრელსა, რაკი ლეშის სუნნი იცეს, და აგერ ამ ყმაწვილმა დაინახა, რომ ერთ სოროდგან მგელი მოძვრება; გააქანა მკვდარი და შიგ პირში მისცა მგელსა. მგელმა გაათრია, თითონაც უკან მიჰყვა და გარედ გამოძვრა. გასწია და წავიდა მამის სამფლობელოსაკენ. რომ მივიდა, ყველამ დაცინვა დაუწყო, აბუჩად აიგდო, მაგრამ ქალის ოთახში იადონმა და ბულბულმა ჭიკჭიკი მორთეს. ქალმა იფიქრა: იქნება ჩემი საქრმო საითმე გაჩნდეს, ამათ რომ ასე გაიხარესო. მართლაც მოვიდა შინა, ჯერ საცოლო ნახა და

მას უკან დაიბარა ძმები, შშობლები, უამბო ყოველივერი, ძმების საქციელიცა. დარჩა მეფობა უმცროსს, დასაჯა ძმები. იადონი და ბულბული ტაძარში შეიყვანეს, იქვე დაქორწილდნენ და ბედნიერად ცხოვრება დაიწყეს.   
 კირი იქ დავაგდე ლხინი აქ მოვიტანე, ნაცარი იქა— ფქვილი აქა.

**ა ფ ხ ა ზ ე ბ ი \*).**

(მასდა ნ. ჯანაშასია).

**VII. რაგაზ განდნენ ქუქანაზე მგლება?**

აფხაზთა შორის არის გავრცელებული მგლების გაჩენის შესახებ შემდეგი ლეგენდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი, უმაღლეს და ღვთის მიერ საყვარელ ანგელოზთა. პირველად ეს ანგელოზნი ღვთის მოშიშნი და მორჩილნი იყვნენ, რისთვისაც უფალს ძალიან უყვარდა ესენი და უსაზომო პატივდებაში ჰყავდა. გარნა რამოდენიმე ხნის შემდეგ ამ პატივის-ცემამ გააამაყა ეს ცოლ-ქმარ ანგელოზნი, ღვთის შიშს და მორჩილებას ცოტ-ცოტად გადააჩვია და ურჩობას შეაჩვია. ჯერ უფალმა ტკბილის სიტყვით და მოქცევით მოინდომა მათი გონზე მოყვანა, მაგრამ ამოდ: უგუნურნი ურჩობას უფრო და უფრო უმატებდნენ. ერთხელ შემოქმედმა გაუგზავნა მათ ერთი ანგელოზი და

\*) იხ. «კრებული» № VIII, 1898 წ.

იხმო თავისთან ურჩნი ანგელოზნი. უფალს შეუთვალეს შემდეგი: „ეხლა ჩვენ ცოლ-ქმრულის სიყვარულით ვსტკებებით და არა გვცალიან შენთან მოსვლისო“. ამ ურჩ ანგელოზთა უკუნურმა პასუხმა საშინლად გააბრახა და გააბრაზა უფალი; მაშინვე მივარდა მათთან და, დაჰკრა რა მათრახი ორივეს წელ-ქვევით, ასე დასწყევლა: „დღეის ამიერ კრულ და შეჩვენებულ იყავით, გადაიქეციო ცხოველებად, რომელნიც წელს ქვევით უძლურნი და სუსტნი და წელს ზევით კი ღონიერნი იქნებთო!“ და გადააქცია რა მგლებად, ქვეყანაზე ჩამოაგდო. ასე გააჩინა უფალმა მგლები.

### VIII. მგლების კერძი — „აკვაკვარ“ (კვერება).

აფხაზეთში შემდეგი რწმუნება არის გავრცელებული: უფლისაგან მგლებს წელიწადში ერთხელ კერძად ეძლევათ თითო-თითო კვერი (აკვაკვარ). მოახლოვდება თუ არა დრო ამ კერძის მიღებისა, მგლები ერთად ხროვა-ხროვად დადიან ტყე-ტყე და დაჰღმუიან, სანამ მათი ღმუილი ზეცას არ ავალოს, და უფალი მათთვის დანიშნულ კვერებს ჩამოუკდებდეს. მიიღებენ თუ არა შემოქმედის მიერ ნაბოძებ კვერებს, გაჩუმდებიან მგლები. ეს აი როგორ შეიტყო ადამიანმა (აფხაზმა). ერთხელ ღამით გვიან თავის კარავიდგან შინ ბრუნდებოდა ვინმე მწყემსი. მას ტყეში გზაზე მგლების ხროვა თავზე დასცემია. მწყემსს როგორც იყო ხეზე შეუსწრია. მაგრამ მგლები მაინც მას არ მოჰშორებიან: თურმე მასს ქვეშ იდგნენ და გულსა-ზარად ჰღმუოდნენ. გავიდა ხანი და უცბად შენიშნა მწყემსმა, რომ რალამაც სეტყვასავით იწყო ცვენა. მწყემსს ჯერ ძალიან შეეშინდა, მაგრამ მერე გული მოიცა და,

როგორც იყო, დაიჭირა ერთი ის, რაც ცვივოდა, და დაინახა თავისს ხელში ცხელი კვერი. მგლებმა თავ-თავისი კვერი შესქამეს და სადღაც გაჰქრენ, მხოლოდ ერთს იმათგანს ფეხი არ მოუცვლია და საშინლად ჰღმუოდა, არ იქმნა და არ წაუდა ის მგელი. მაშინ მწყემსმა ამ მგლის თავიდან მოსაშორებლად იმ კვერის ნახევარი წაუტეხა და გადაუგდო. მგელმა წაავლო კბილი და გაჰქრა. მეორე დღეს ეს შემთხვევა მწყემსმა ქვეყანას შეატყობინა. ამის შემდეგ შეიტყვეს, რომ ღვთისაგან მგლებს ჰქონებია დანიშნული კერძი „აკვაკვარ“.

### IX. რად არის მერცხლის კუდი შუახედა გაუთფილა?

უფალს ენება, რომ გველებისათვის საჭმელად რაიმე კარგი, გემრიელი ხორციანი ცხოველი მიეჩინა. გველმა ღვთის წინაშე თავისი ერთგული სამსახურით ეს დაიმსახურა. რომელ ცხოველს უფრო გემრიელი ხორცი აქვს შეიტყეთო და მომახსენეთო—უბრძანა უფალმა მერცხალს და ფხიჭუას (ნეხვის ქიას). ამით მოიარეს მთელი ქვეყანა, გასინჯეს ყოველი ცხოველის ხორცი, და აღმოჩნდა, რომ ადამიანის ხორცი უგემრიელესი ხორცი ყოფილა. მერცხალს შეებრალა ადამიანი და უჩრია ფხიჭუას, რომ ღვთისათვის უგემრიელეს ხორცათ ბაყაყის ხორცი მოეხსენებინათ, მაგრამ ფხიჭუა არ დასთანხმდა, ორივე წარდგნენ უფლის წინაშე თავისი ნანახის და გამოანარჩევის მოსახსენებლად, გველიც იქავე იყო. ფხიჭუამ დაალო პირი, რათა კაცის სახელი ახსენოს და, სანამ პირველ მარცვალს წარმოასთქვამდა, მივარდა მერცხალი, ამოგლიჯა ენა და ამით გაღაარჩინა ადამიანი უბედურებისაგან. გაბრაზებული გველი მიჰვარდა მერცხალს საკბენად, მაგრამ მერცხალმა

გაასწრო. მხოლოდ გველს კბილებში შერჩა რამოდენიმე მერცხლის კუდის ფრთა. ასე გაეყო მერცხალს კუდი. ამ თავ-გამოდებით გადაარჩინა ადამიანი საშინელებას—გველს. მისთვისაა მერცხალი ეხლა რომ თავის ბუდეს ადამიანის ქერ-ქვეშ იკეთებს, და ადამიანიც პატივით ეპყრობა მას. მერცხლის ჩვენებითვე აქვს მიჩენილი გველს საკმელად ბაყაყის ხორცი.

### X. როგორ გაჩნდა ქვეყანაზე კუ (აკუა)?

აი რას ამბობენ კუის გაჩენის შესახებ აფხაზნი: ერთხელ სტუმარი\*) ეწვია ერთს ქალს. ქალი ქმარს მოელოდა და მისთვის მშვენიერი მსუქანი ყვერული ჰქონდა გაკეთებული. ქალმა ყვერული ველარ გაიმეტა, იქით განჯინაში შეინახა და სტუმარი სიმინდის ფქვილის ღომით და ყველით გაისტუმრა. როცა სტუმარი წავიდა, ქალი მივიდა, დაჰხედა თავის მოხარშულ-მომზადებულ ყვერულს და ჰოი საკვირველებავ, მისი მოხარშული ყვერული უშნო ცხოველად გადაქცეულიყო: ზევით და ქვევით ჯამები რომ ჰქონდა, ისინი გაძვალ-ტყავებულიყვნენ და ზედა ჯამი ფარად დაჰხურებოდა ამ ცხოველს. კუ არხეინად ჩამოვიდა განჯინის თაროდგან და იქვე ფაცხის გვერდით მყოფ ლაფს მიჰმართა. აი როგორ დასაჯა უფალმა აფხაზის ქალი სტუმრის პატივ-უცემლობისათვისო (ძმის პატივ-უცემლობისათვისო)! დაუმატა ამის მთხრობელმა აფხაზმა.

---

\*) მეორე ვარიანტით—ძმა ეწვია სტუმრად.

## XI. ნადირის ღმერთის ქალიშვილები (აფეიფუშა ათღუჭაცვა).

აფხაზის აზრით, რაც კი რამ ნადირია ქვეყანაზე ეკუთვნის ნადირის ღმერთს „ადაგვას“, \*) რომელიც ძალზე მოხუცებულია, ყრუც და ბრმაცაა. ამას ჰყავს სამი ქალიშვილი და ურიცხვი მწყემსები, რომელნიც ჰმწყესავენ ნადირს. რასაც ნადირის შესახებ ბრძანებს „ადაგვა“, ის აღსრულდება. ამიტომ ყოველ ცისმარაღდეს ქალიშვილები მისცვივდებიან მამას და სთხოვენ: „ნადირი დაულოცე (მიეცი) ახალგაზდა, ლამაზ და უღალავ მონადირეთო!“ „ადაგვა“ თავისას მუდამ გაიძახის „კვლავ ვისთვის მიგვიცია, იმას მიეცესო“. თვით „ადაგვა“ და მისი ქალიშვილები თავის მოსამსახურეებით იკვებებიან სულ ნადირის ხორციით. დაჰკლავენ ნადირს, მოჰხარვენ, შესწვენ და შესკამენ და მერე ძვლებს ერთად თავს მოუყრიან, ჩაჰყრიან ნადირის (თავის) ტყავში და დაარტყმენ მათრახს: ნადირი კვლავ გაცოცხლდება. აი მონადირის ბედი მხოლოდ ამისთანა ნადირია. ის ნადირი, რომელიც ჯერ ადაგვას არ შეუქამია, მონადირეს არ ერგება, ვეღარ მოჰკლავს. თუ ქამის დროს ერთი და ერთი ძვალი დაიკარგა, მის მაგიერ ტყავში სდებენ ხირს, რომელიც ძვალის მაგიერობას გასწევს.

## XII. ორსული ქალი და მაკე ცხენი ცხენია.

ერთი ორსული ქალი მაკე ცხენზე იჯდა თურმე და აღმართზე მიდიოდა; ქალს შეეცოდა ქაკი, ჩამოხტა

\*) აფხაზურად „ადაგვა“ ნაშნავს ერუს.

და აღმართზე ფეხით ავიდა. მაშინ მაკე ჰაკმა უთხრა ქალს: „რადგან დღეს ჩემს გაპირვებულ მდგომარეობას შეჭხედე და შემობრალე, ამიტომ ესთხოვ ზენას, რომ ჩემ მაგიერ შენ ცხრა თვეს გატარებინოს შვილი მუცელში, მე კი შენი ვადა—თორმეტი თვე მომცესო. ომერთმა უსმინა მაკე ჰაკს მისი ვედრება და შეუსრულა: მას შემდეგ ქალი ცხრა თვეს ატარებს შვილს მუცელში, და ჰაკი კი—თორმეტი თვეს. უწინ კი—ჰაკი ცხრა თვეს ატარებდა, ხოლო ორსული ქალი—თორმეტი თვეს ატარებდა შვილს მუცელშიო.

XIII. აფხაზის თქმით, თუ კაცმა დაინახა ცა გაღებულნი (გაყოფილი) და მაშინვე სხვა სიტყვის წამოუკიდენელად სთქვა ეს ლექსი:

● ლარი, ვარი, (ძალღები, ადამიანნი)  
ხიზი—ჯხვარი (სველი (წაქა) და ლომის ქერქი),  
მაშინ ამის მთქმელის ოჯახი ყოველივე ბედნიერებით აივსება. თუ კაცს ეს ლექსი ვეღარ მოაგონდა და სხვა რამე სთხოვა, თავისი თხოვნა შეუსრულდებოდა. აგრეთვე უნდა მოიქცეს კაცი, თუ მდინარე მდინარედ დაინახა. მაშინაც ეს ლექსი უნდა სთქვას, რომ ყოველის კეთილით აღევსოს ოჯახი. თუ არა ღ, რასაც სთხოვს, ის მიენიჭება.

#### XIV. ხალხური შენიშვნები ამანდზე.

თუ ახალს მთვარეს წვერები დაშვებული აქვს და თვითონაც მოწითალოა, ცუდი ტაროსის ნიშანია.



თუ ზამთრობით ბელურები გუნდ-გუნდად დაიწყებენ საცხოვრებელ შენობებისკენ ფრენას, მაშინ უსათუოდ თოვლი მოვა.

ყურების წივილი ავდრის მომასწავებელია.

კარდლის ქვარტლს (მურს) ცეცხლი ეკიდება, ავდარი იქნება.

— სიკვდილზე და ცუდ შემთხვევებზე.

თუ მთვარეს გვირგვინად გარშემო ნათელი შემოერთყა, მოკვდება ვინმე დიდებულთაგანი, უფროს ერთ შემთხვევაში—მოკვდება „აჰ“ (მთავარი).

ვარსკვლავი ჩამოვარდება—მოკვდება ვინმე.

სოფლის ახლო-მახლო ფოცხვერი დაიწყებს ღმუილს, მოკვდება ვინმე.

ბუ სოფელში დაიწყებს კიოტს, მთელს სოფელს რაიმე უბედურება ეწვევა.

წვივის ფხანა ნიშანია ერთ-ერთ მეუღლეთა სიკვდილისა.

თუ კაცს ცუდად და მწარედ ლოყა ეფხანება, მოკვდება ვინმე მის ახლო ნათესავთაგანი.

თუ ზედა ტუი რბილად და სასიამოვნოდ ეფხანება



ნება კაცს, შეიტყობს სასიამოვნო ამბავს, და თუ  
ვედ ეფხანება—ცუღს ამბავს.


—

თუ მამალი შენკენ იზამს თავს და სასიამოვნოდ  
დაიყვილებს, კარგს რასმე შეიტყობ და მიიღებ, თუ  
უსიამოვნოდ—უსიამოვნებას რაიმეს შეეყრები.

—

მგზავრს კურდღელმა გზა გადაურბინა—ცუღს შე-  
ყრება, და თუ მელამ გადაურბინა, კარგის მომასწავე-  
ბელია.

ძროხამ მოგაბღავლა—ცუღი ნიშანია.



## ხალხური ლექსები.

(ს. ქურთაში ჩაწერილი ა. მახაბდის მიერ)

● ლექსები უნდა ასეთი  
ერთმანეთს ეთანხმებოდეს,  
ეკ შენი კარგი კაცობა,  
აქ უნდა გამოხნდებოდეს.

—

ამოდუღდი მარგალიტო,  
ნაკუბარში ჩადეკ წყალო,  
არც ეგეთი ღამაზა ხარ,  
რა თავს იმაღლები ქაღო!

—

ბიჭო, ეკ შენი ქებაო,  
რომ არ ვსთქვა, არ იქნებაო,

ჭამაში გამარჯვებული,  
საქმეში წელი გწუდებოა.

---

მადი ბაჭო გავათავოთ,  
არა-ვინ გვეტყვის ბანსაო,  
შინ დადალული მიუხვალ,  
შენი სიდედრის ქაღსაო.

---

მატარძეულის ციხესა,  
თათით უთხრან ძირსაო,  
გამოიუგანენ ღამაზსა  
ცრემლით დაბანენ ზიქსაო.

---

საციციანო მთას გვეზარ,  
შენ, შავო ბაჭო, ფხვენელა;  
ბატონს ვერ მიე სალამი,  
შენ, გვარის შემარცხვენელა!

---

ადიდებულა ღიასუა,  
მტკვარი შეიქმს მდარებასა,  
ერთი ნამუსი სჯობიან  
ათას თუმნის ქონებასა.

---

ასი ქარჭინით მადღარი,  
და იმერელი ღამითა;  
თუშს მიუხსნავს ნაბდის ძველსა,  
აბა ვინ სჯობდა ომითა!

---

ასეუბა ჯარი შევიდა  
სულ ადღეს კოდი ბინა,

შერცხვა მათი დაუღატობა,  
ვერ იშოვეს ორა ზინა!

---

ბერიკატმა მყავვე ზანტა  
დაჯდა აკეთა ჩირადა;  
მადლა შეჭკიდა სსსწორი,  
დაჯდა და ჰქვიდა ძვირად!

---

მუშა უნდა მუშაობდეს  
ფელავანი ფელავნობდეს,  
შენისთანა კაი ბიჭი,  
მოედანზე გუღავნობდეს.

---

კამქმა უთხრა ზატრინსა  
სულ ეგრე ხარ ენა-ფელიდი,  
ზაფხულში არას მსჭმეუდა,  
შენ ზამთარს რას მამიუელიდი?!

---

შენი ჭირიძე გუთანო,  
ზერი მაჭამე მუდამო!

---

შენი ჭირიძე გუთანო,  
შენი მაიულა მხელია,  
დღისით გიგრიხო წნელები  
და ღამე ვტეხო ბნელია!

---

„წიგნური ზიკრი-სიტყვაობა“.

გაგრძელება \*).

მათია ფერადე იყო თურმე მეტად გონჯი, შეკრული კაცი. მკაღს შუაზე არაფრისთვის არ გატეხდა, ჯერ უნდა შამოერთვა ქერქი, მერე უნდა შამოეტეხა ყუა და მერე გულზედ მიეტანებია. სტუმარი რომ ჭიქას აიღებდა, სულ მისჩერებოდა: აბა, თუ არ ჩატოვოსო. ამ მათიას უთხრეს მკითხავეებმა: ეკკლესიაზე ყოფილხარ გადაცემული ოთხ-ფეხის თაობაზეო და თუ ოთხ-ფეხი არ შეწირე ხატსაო, აგრე ავად გეყოლება ხოლმე ცოლ-შვილიო. წამოვიდა მათია და გააკეთა სკამი, დააგო ოთხი ფეხი, შეწირა ხატს და ღვდელს მოახსენა: ოთხ-ფეხზე ვყოფილვარ ხატზე გადაცემული და აბა, ოთხი ფეხიც ამას აბია, შემომიწირავსო.

ერთ ფულიან კაცს შეესესხა მისი კერძი კაცი—ასე და ასეა ჩემი საქმე, გამაწყვე გაჭირვებაში ხელი და საუკუნოდ დამავალეო. ფულიანმა კაცმა ამოიღო ჯიბიდან ფულები, დაიყარა ხელის გულზე და დიდხანს უყურა გაბუსუნებულმა. იმისთანა სახე მიიღო, ვითომდა რალასაც ეუბნება და მეც მესმის და დიდი ყურადღებით ვუსმენო. ჰკითხა ბოლოს იმ კაცმა, რომელიც შეესესხა, როცა სული წაუფიდა პასუხის მოლოდინში: რას გეუბნებო?—რალა რას მეუბნებო!? მაგისტანა კერძი, ერთგული, საიმედო, პირის-საკოცნელი მოკტეთე კაცი შენ არ გაბადია

\*) იხ. „კრებული“, № 3, 1899 წ.

და მცტი აღარ არის საჭირო, რომ ჩემი თავი დაანებო—  
აგეშლება, გადაგემტერება, გიჩივლებს, გაგლანძლავს, გი-  
ლალატებს — არასფრით არ დაგზოვავსო: საკონცენტრაცი-  
ონო, თუ მოგიხერხა, მარდი-შუშკასაც ჩაგაყრისო. მე კარგ  
ბინაზე ვარ, თუ დამაყენებო და ჩაიჩხრიალა ისევ ჯიბეში  
ფულები.

ერთ კაცს კატა მოსულელო შვილი კოზმანა ჰყავ-  
და. ერთხელ მამამ შვილი საცოლოს სანახავად წაიყვანა  
და გზაზე რომ მიდიოდენ, დაარიგა: შვილო, კუდ ლა-  
პარაკს ნუ დაიწყებ, ღრმა-ღრმა სიტყვები სთქვიო. როცა  
მივიდენ საცოლოს მშობლების ოჯახში, დაჯდენ. სანამ  
სახტარზე წავიდოდენ, წვიმა დაიწყო და კოზმანამ სთქვა:  
მამაჩემო, ეს წვიმა ჩვენს ღრმა თბრილს სულ ამოაფსებ-  
დაო.—რა უჭირს შვილოო, უთხრა მამამ:—ისევ ამოვ-  
წმინდავო. კოზმანას ეს ღრმა თბრილის თქმა ღრმა სიტ-  
ყვის თქმა ეგონა. ამასობაში კატა შეხტა მაღლა ერდოზე,  
იქიდან ბაჭაპურების სული ეცა და იმან შეიტყუა. კოზ-  
მანამ შეხედა კატას და თქვა: ეჰ, თუ ესთქვი რამე, მაში-  
ნათვე დაიძახებენ—კოზმანა სულელიაო, თუ არა და ასი  
მანათის საღირალი კატა იმტვრევა და კაცი არ ეშველე-  
ბაო. ამ სიტყვებმა საცოლეს დედ-მამა დააკვლიანეს,  
რომ კოზმანა სულელი იყო და სულელადაც სთვლიდენ  
თურმე და ქალი აღარ მისცეს. ცარიელ-ტარიელი გაის-  
ტუმრეს სახლში: სულელი სიძე რად გვინდაო.

ერთი ქართლელი გლეხი შეხვდა იმერელს და ჰკითხა: საიდგანა ხარო?—იმერეთიდანო.—აი, მამავ, შენ იქედანა ხარ, ღმერთს რომ ჰკუთხას ასწავლიანო? (იმერელმა გლეხმა იცის წარა-მარა ძახილი: შე დალოცვილო ღმერთო! რა დროს ეს ავდარიანო, ან და რა დროს ეს დარი იყო).

ორ ძმას ქართლელს კამბეჩი დაეკარგათ. ძებნეს, ძებნეს, დაწყდენ ძებნით და ნახვით კი ვერ ნახეს. მერე ძმამ უთხრა ძმას: მოიცა, კაცო, გაჩერდი, ნულა დავრბივარბო, —გავსკდით ფაშხე სირბილითო. ერთსიტყვას ვიტყვი და მერე დავანებოთ თავი ძებნასო და შინ წავეხსათო.—აბა, რა იცი, სთქვი რაღა, მიაყოლა ძმამ.

—აგერ სერზე გავიხედე, მელა მოღის ცოცმანითა, ვინც ჩვენი ღოღო წაასხა მკვდარიცა და... ცოცხალიცა!

—ეკვები თუ იცოდნი, ტიალო, რად აქამდე არ ამხელდი—დავწყდით, დავიხოცენით სირბილითა. ამ დაგინებამ, თუ შელოცვამ გული დაუშოშმინათ და დანებეს კამბეჩის ძებნას თავი.

ერთ კაცს ჰყავდა ძალიან ანჩხლი ცოლი. თუ რამეს აიჩემებდა, მშვიდობით—მისი გადათქმევინება შეუძლებელი იყო. ერთხელ აუტყდა ქმარს: თავის სახლს წამიყვანეო. გლახა ამიდები იყო და უარზე გადგა ქმარი: მერე წავიდეთო. ქალმა თავისი ჰქნა მაინც და ცხენზე შემჯდარმა გაიყოლია უკან ქმარი. შიადგენ ერთ მდი-

ნარეს. წყალი დიდი იყო. უშალა ქმარმა: ნუ შეხვალ წყალში, ცხენიანად წაგიღებსო. ქალმა არ დაიშალა და შეაცურა ცხენი წყალში. ცხენი და ქალი ორივე დააყოლა წყალმა ქვეით და გაგუდა. ქმარი-კი წყლის პირშედმა გარბოდა და ბრალიან და უბრალოს უძახოდა: ჩემი ცოლი აქეთ ხომ არ შეუყოლებია წყალსაო? —კაცო, რამ გადაგრია? ზევით როგორ შეაყოლებდა წყალი, ქვეით დააყოლებდა და იქით გაიქეციო. არაო, იძახოდა გულ-გამსკდარი გლეხი: ჩემი ცოლი ქვეით წაღებას არ დაუჯერებდა წყალსაო. იმისთანა ანახლი და თვისნებიერი იყო, რომ ზევით-ზევით წააღებიებდა წყალს ჯინაზე თავსაო.

ცოლმა უთხრა ქმარს: მოდი ერთი, დედოფლად დავეჯდები, ძველ ღროს გავიხსენებ. შენ გოჭი დაკალი და შეწვი, ღვინო ამოიღე და მე პურს ჩავაჯენ. ერთი ქორწილობია მარტოხელად გამოვიაროთო. დაეთანხმა ქმარიც და დაუფაცურდენ საქმეს. კაცმა დაკლა გოჭი, გაფუცქნა და დაუფიცხა ცეცხლს; ქალმა ხატაპურები დააცხო; კაცი ღვინოზე წავიდა, ქალი მოიკმაზა დედოფლად, დააგო ხალია და მოიბრთხნა ლოგინზე, აიპრუწა და გაწკუბა თვალები. ამ ღროს სად იყო და სად არა, შამოძვრა სახლში მეზობლის ძაღლი, დაავლო შემწვარ გოქს პირი და გავარდა. მორცხვმა დედოფალმა, რალა თქმა უნდა, ხმაც არ გასცა. მოვიდა ქურების თავიდან ქმარაც. შედგა დოქი თაროში. შეხედა—აწკუბულა ქალი: დედოფალია, დედოფალი! დახედა კერიას—გოჭი სადღა არის?!—რა იქნა გოჭიო? გაფაცი-



ცებით მიაძახა ქმარმა დედოფალს.— შემოვიდა ქუცის  
ცაი, გაიტანა ხითხითაიო, ძლივს წამოიკნავლა დედო-  
ფალმა. კაცი ავარდ-დავარდა, წაავლო ნიგუზალს ხელი  
და უშიშვლა დედოფალს: მერე და დედოფლობიას  
რადას დაეძებდი, შე არაწმინდა სულოო!

ერთი კაცი მოკვდა ლოთობით. სიცოცხლეში მისი  
საქციელი არ მოსწონდა მის შვილს, მაგრამ როცა  
მოკვდა, ძალიან იუცხოვა მამის სიკვდილი. ერთი ლო-  
თი ამხანაგი ჰყავდა ამ მკვდარს თავის სიცოცხლეში და  
ეს ლოთი ამხანაგი სხვა დაბატყებულმა გაიწვია ასა-  
ბიაში. თუ გინდა მამას უყვარდა ეს ლოთი, შვილს არ  
დაენახვებოდა. როცა ამ ლოთმა მიაწია მიცვალებულის  
ეზოს კისკართან, შეიუცხოვა: ჩემო საყვარელო მეკო-  
ბარო! მოდი, გამამეგებე და კათხით ღვინო შენის ხე-  
ლით მასვიო. ღვინის ხსენებაზე და ამ ხმით ლოთის  
ცნობაზე წამოვარდა მიცვალებულის შვილი, წამოავლო  
თავ-კვეყუა ჯოხს ხელი და მიაყოლა და მიაყოლა ლოთს:  
აქაც შენ აიყოლიე უბედური მამაჩემი და ახლა საი-  
ქიოსაც არ აყენებ—იქიდანაც სალოთოდ იწვევო?

### 3. ქაჭურები:

1) სიტყვის ყოველ მარცვალს მიჰყვება ასო წ, ან  
ფ და ის ხმოვანი ასო, რომლითაც, ეს თუ ის სიტყვის  
მარცვალი თავდება. მაგალითად:— „შენი კირიმე“ ით-  
ქმება ფ-ით შე-ფე-ნი-ფი-ქი-ფი-რი-ფი-მე-ფე; „მოდი აქა“  
იქნება მო-ფო-ღი-ფი აფა-ქა-ფა. „შენი კირიმე“ ითქმე-



ბა წ-ით შე-წე-ნი-წი კი-წი-რი-წი-მე-წე; „მოდი იქნება მო-წო-ლი-წი ა-წა-ქა-წა.“

2) სიტყვაში ყოველი მოყვანილი ასო გამოითქმის ა-ანად, ბ-ბანად, გ-განად და სხვ. მაგალითად:— „შენი კირიმე“ ითქმება შინ-ენ-ნარ-ინ კარ-ინ-რე-ინ-მან-ენ; „მოდი აქა“ იქნება მან-ონ-დონ-ინ ან-ქან-ან.

3) უკანა მარცვლები ხან ასოებიც სიტყვის წინ ითქმიან, წინა მარცვლები ხან ასოებიც უკან. მაგალითად:— „ქაჯური გამოცანა“ ითქმება „ჯური-ქა ცანა-გამო“. „წაიქცა ჯირკი, წაეხვია ჯინკველი“ ითქმება „ქცა-წაი რკი-ჯი ხვია-წაე კველი-ჯინ“. „ეს გამოკანა არის ღორი“ ითქმება: ს-ე ცანა-გამო რის-ა რი-ლო. „ეგერ ეგერ სერზედა წითელი ჯამი ამხვია“ იქნება გე-რე გე-რე ზედა-სერ თელი-წი მი-ჯა მხვია-ა. „ეს გამოცანა არის სოკო“ ითქმება: ს-ე ცანა-გამო რის-ა კო-სო. ჯური-ქა რა-ჩქა სათქმელი-გამო:

ტაკა ვილაქნა-ვილაჩხა წუნწრუ პინითწრი პინებ-დააწრი მუნებდახრ. ნიშნავს:

ქაჯური ჩქარა-გამოსათქმელი:

კატა კნავილა-ჩხავილა წრუწუნ-წრიპინით აწრიპინებდა-ახრამუნებდა.

4) აზრი ვერავინ, ვერც თვითონ მთქმელებმა, ვერ ახსნეს ამ უეჭველად გადაკრული ქაჯურისა:

არეხე მარეხე ვართა ბალა ვარახე

სილიხე სიკინქილიხე ვარა ვარლახე,

მაქარახე მარია მ და ვასარახე.

4) თინები, სრიკები, მოხერხება და სხვ.

იყო ერთი ხუცესი. ერთჯელ წირვაზე მიდიოდა და დაინახა, რომ ვირს სავსე ხვირჯინი ოქრო-ვერცხლი მოაქვს. ჩამოხსნა, ჩაყარა მიფარებულ ჩიგენარში და თითონ სახლისკენ გაიარა. შვილს დაუძახა: სადილი წამომიღე, ყანაში მივალო. ბავშვა მოუტანა მამას სადილი. უთხრა ხუცესმა შვილს: დედა-შენი ხულის თავში უნდა დავახრო. ბავში ძალიან შეწუხდა, მართალი ეგონა. შევიდა სამხრობაზე ხუცესი შინ და ნახა, რომ ბავშვს არაფერი არ გაემხილა სახლში. ახლა ცოლს უთხრა ხუცესმა: სახარებაში წავიკითხე, რომ ხვალ მეორედ-მოსვლა იქნებაო და ამიტომ შენ სარახე ქვაბში უნდა ჩავმალო, თავზე გადაგამხო და მე და ჩემი შვილი-კი საწნახელ ქვეშ შევძვრებითო. რომ გადაახურა ცოლს თავზე სარახე ქვაბი, წაიყვანა სანდო შვილი და ოქრო-ვერცხლს დაუწყუო შინ ზიდვა. ცოლს რომ არ გამოეჭვრიტა სარახე ქვაბის ძირიდგან და არ დაენახა, ან რომ ვერცხლის და ოქროს წკრიალი არ მიწვეთებოდა ყურში, ქვაბს ფეტვის და ლომის მარცვლები შამოაყარა ნაპირებზე და ზედ კრუხი და წიწილები მიუშვა, — თან კეკავდენ, თან კრიახ-წიაკობდენ. ის ოქრო ვერცხლი თურმე ხელმწიფის იყო და ნაზირ-ვეზირები გაუშვ-გამოუშვა ყოველ მხარეზე: არიქათ, ჩემი ხაზინა მომიძებნეთო. მოვიდენ ნაზირ-ვეზირები ხუცესისას და ჩაეკითხენ ხუცესის ცოლს: ასე და ასე ჩვენსი საქმე და ხომ არაფერი იცი, ან ხომ არაფერი გაგიგონია. ქალმა მიუგო: ქე რა ქვის კოხი იყოო? ამას



თურმე ქათმის კეკა, წიწილების წიაკი, ოქრო-ვერცხლის  
ჩხრიალი—სულ ყველა ერთად არეულ-დარეული სეტყვის  
ხმა ეგონა, რადგან მეორედ მოსვლა ჰგონებოდა. ნაზირ-  
ვეზირებმა გააქნიეს თავი, ჩაიცივნეს და სთქვეს: ვიღაც  
სულელი ყოფილა ეს დედაკაციო. ოინი რომ არ ექნა  
ხუცესს, ცოლი, რალა თქმა უნდა, სულ გაამხელდა.

—

კაცმა კაცს უწავლა: ჩემი ადგილი დაიმისაო. დამ-  
მიჯებელს მიუსაჯეს ფიცი,—დადექი იმ ადგილზე და  
სთქვი: მიწა, რომელზედაც მე ვდგევარ, ჩემი იყოს  
მაცხოვრის მადლმა და ძალმაო. წავიდა ეს კაცი, გაავ-  
სო ქალამნები ფეხის გულ ქვეშ თავის საკუთარი ად-  
გილის მიწით, ჩაიცვა, წავიდა, დადგა დაჩემებულ ად-  
გილზე და დაიფიკა: ღუთის მადლმა და ძალმა ჩემს  
მიწაზე ვიდგეო და დარა დაჩემებული ადგილი.

—

ერთმა კაცმა უწავლა მეორეს, ძროხა მომპარაო.  
ბრალდებულს მიუსაჯეს: შეპფიცე, რომ არ მოკვპარო-  
სო. წავიდა ეს კაცი, მივიდა შინ, ჩაწვა-მოიკრუნჩხა აკ-  
ვანში და გადმოგორდა. ახლა, როცა ფიცი მიიღო  
სთქვა: ღმერთმა და ჩემმა გამჩენმა, რაც ხანია, რომ  
აკვანზე გადმოგვგორებულვარ, არც მომეპაროს მაგის  
ძროხა, არც ვიცოდე, მას აქედ ვინ მოიპარა და არც  
არაფერი მენახოს მას აქედაო. გააცურვა მომჩივანი.  
მართლაც ძროხის მოპარვის შემდეგ გადმოგორდა აკვ-  
ნიდან და მერე აღარც არაფერი მოუპარავს.

—

კახეთში, სოფელ ჩალოუბანში ერთ კაცს ჰყავდა მოჯაზაგირედ სვიმონეთელი იმერელი. ეს ბიჭი შეიყვარა კახელის ცოლმა. ქალს უნდოდა, რომ როგორმე მოეხერხებია და ცოლადაც გაჰყოლოდა ამ ბიქსს. ეს ბიჭიც უარზე არ იდგა; მაგრამ ქმრიანი ქალი, როგორ უნდა მოეხერხებია, და წაეყვანა ცოლად, არ იცოდა. ქალმა ავადმყოფობა მოიგონა და უთხრა ქმარს: არიქა, თავს უშველე, გადამდეგი ავადმყოფობით ვარ ავად და თუ შეგექნა, სულს გაგაცხებიებსო. გაიხიზნე სადმე, მომერიდეთ. ატირდა საწყალი კახელი და დაუჩოქა ბიქსს: აბა, მიშველე, ცოლს ნუ მიმიტოვებ და, რაც გინდა, მიიღეთ. ბიჭი განაზღა განგებ, ვითომ და მართლა კოკმანობდა და ბოლოს-კი დათანხმდა ამ ქალის თავმდგმურობას. ამ ქალის ქმარი მეზობლებში მოთავსდა, გადაიხიზნა და იქიდან უწყობდა ხელს ავადმყოფს თუ ღვინით, თუ პურით და სხვ. ერთხელ ამ ბიქმა გამოიხმო შორეულ ხის ქვეშ კახელი და უთხრა: ქალბატონი მოკვდა, წადი, საფლავი გათხარე, დავმარხავო. — არიქა, მიშველე რამეთუ, ეხვეწებოდა ატირებული კახელი: საფლავსაც გავეკრი, ხარ-კამეჩიანა ურემსაც მოგცემ; გაიტანე, დამარხე და მერე შენ გქონდეს ბარგი-ბარხანაც, ხარ-ურემიცო; წაიყვანე იმერეთშიო. მერე გამობრუნდი, შეილო, და კაი ჯამაგირსაც მოგცემ ნამსახურებში, ანგარიშს უხვად გაგისწორებო. მეტი რაღა უნდოდა ან ქალს, ან ბიქსს?! საფლავი მიწითვე აავსო ბიქმა და თავის ბარგი-ბარხანიანა ურმით წაიყვანა იმერეთში თავის საყვარელი, კახელის ცოლი. რომ გადავიდა იმერეთში, დაიწერა ამ ქალზე ჯვარი. ჯამაგირისთვის როგორღა გაბრუნდებოდა კახეთში! ამ

კახელმა ითხოვა მეორე ცოლი, ეყოლა ვაჟი და სთქვა:  
ვაი თუ იმერლის ცოდვამ მიწიოს და ჩემ ვაჟს მოსწიოს  
რამეო და ფული წაუღო იმერელს თვითონ იმერეთში.  
იქ მივიდა და ნახა... ნახა, მაგრამ რაღა ნახა!! სთქვა:

ჩალოუბანს ქალი მოკვდა,  
სვიმონეთს მარგლის ბოსტანსო,—  
კაცი ქალს ნუ დაუნდობა  
ნურც მკვდრისა და ნურც ცოცხალსო.



# განსხადებანი.

65666  
 ქლავი თბილისში,

სასამთრო და სასაფუხულო ბაღის სცე-  
 ნაზე უოველ-დღიურად გაიმართება წარმოდგე-  
 ნები ახალის პროგრამით.

ბაღთან ერთად არის შექმნილი ბუფეტი და  
 სამზარეულო როგორც გერმანიული, აგრეთვე  
 აზიურიც; საჭმელები მზადდება ახალის კარბ-  
 ქით. სადილი: ოთხი თაჯი, რიუშკა არაჟი,  
 ნახევარი ბოთლი ღვინო და ფინჯანი ყავა—  
 ღირს ერთი მან. ორი თაჯი, რიუშკა არაჟი  
 და ერთი ბოკალი ღვინო—**50** კაპ.

ვიღებ შევევთას სადილებსა და ვახშმები-  
 სას, ვმართავ აგრეთვე საქარწილო საღამოებს  
 და ჰიკნიკებს. ვკისრულობ ვაკეობას იაფ ფასად  
 ვუფილის ნახელაფისას: თაიგულებს, გვირგ-  
 ვინებს, კალათებს, ბუტონიერებს, ვახებს და სს.  
 ვმართავ აგრეთვე დეკორაციებს და საუვაფილე-  
 ებსა და ბადჩებსაც. ვუელაფურს შემონაკვეთს  
 ვასრულებ მსწრაფლად, რიგიანად და დიდის  
 კემოვნებით.

ღავშო, პატვისცემით ზ. სხირტლაძე

# „მრამბი“

თვიური ჟურნალი

(VI წ.)

გამოვა იმავე პროგრამით

მხოლოდ ჟურნალის გრცელის პროგრამის საე-  
სებით შესასრულებლად მომავალს წელს რედაქცია  
ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს  
მიმოხილვანი წინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა,  
აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფი-  
ლებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა  
იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ.  
მომავალს წლიდან ჟურნალში დაიბეჭდება ახალი  
ორიგინალური მოთხრობანი და დრამატული თხზუ-  
ლებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

დეკემბრის ნომერში დაიწყება ბეჭდვა სოფ.  
მგალობლიშვილის დიდის მოთხრობისა ჩვენის ცხოვ-  
რებიდან.

## ფასი ჟურნალისა გაგზავნით

ქვეყანისა და რუეთის ქ. ლაქებში:	სამზღვარ გარეთ:
1 წლით . . . . 10 მან.	1 წლით . . . 13 მან.
6 თვით . . . . 6 »	6 თვით . . . 7 »
3 თვით . . . . 4 »	3 თვით . . . 5 »

უცხო წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძინე-  
ლებ-, შეუძლან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან.  
1 აპრილამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.



ხელის მ.აწერა მიიღება თბილისში, ქუჩა № 13.  
«მოამბე» რედაქციაში, რომელიც იყოფა ლორის-  
მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მალაზიებს, რომელნიც იკისრებენ ქურ-  
ნალ „მოამბე“-ზე ხელის-მ.აწერის მიღებას, შეუძ-  
ლიანთ აიღონ მთელის წლის შემოკრებიდან კამი-  
სიისა და ფულის გამოგზავნის სთვის ათა შაური, ხო-  
ლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოკრებიან, არაფერა  
დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ქურნალის თავის დროზე მალე-  
სათვის რედაქცია პაუზებს აგებს მხოლოდ იმ შემთხვე-  
ვაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოკრებილ იქ-  
ნება რედაქციის კანტორაში. 2) ქლაქ გარეზე ხელის  
მომწერთ ფულის მიღების კურტანცია გავგზავნებათ  
მხოლოდ იმთ, ვინც ქურნალი ფასთან ერთად  
წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკის ყოველ კურ-  
ტანციაზე.

ქლაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Въ  
Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго жур-  
нала «МОАМБЭ».

რედაქცია მ მასახრებულადა სცნა

სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს,  
ხელოსნებს და მოწაფეებს ქურნალი დაეთმობა რეა-  
მანეთად წლაწაღში. ესაც რეა მნეთის ერთად  
შემოკრანა ექნელა, შეუძლიან პირველში ოთხი მ.  
შემოკრანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვის-  
ტოში.



# „იპმრია“

გამოვა 1899 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინაჲ

უასი გ. ზეიი ::

12 თთკით . . .	10 მ. — კ.	6 >	. . .	6 მ. > კ.
11 >	9 > 50 >	5 >	. . .	5 > 50
10 >	8 > 75 >	4 >	. . .	4 „ 75
9 „	8 > — >	3 >	. . .	3 „ 50
8 „	7 > 25 >	2 >	. . .	2 > 75
7 >	6 > 50 >	1 >	. . .	1 „ 50

სახლგარ-გარეთ დაბარებული ეღარება 17 მან. მთელის  
წლით.

შეღგათა წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც  
გაზეთს ამ თავათვე მთელის წლით დაბარებს, იმას  
შეუძღიან წლის ხელმოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად  
შემთატანოს ამგვარად: ხელის-მთწერის დროს 3 მან.,  
ზირველ მარტს—2 მ., ზირველ მაისს—3 მ. და ზირველ  
სექტემბერს—2 მ. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წე-  
ღიწადში 8 მან. დაეთმობათ, ნახევარის წლით 4 მ.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე  
აღრესხედ შესკვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში  
ერთი მან.; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი  
ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს  
ორი აბაზი.

## ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვ. თითოჯერ სტრიქ.—8 კ., პირველხედ — 16 კპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შექდეგის  
აღრესით;

ბზილისი, «ივერიის» რედაქცია,

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებ.  
საზოგადოების» კანცელარია სასახლის ქუჩა, ბანკის  
ქარვასლა.

ბ ე ლ ე ზ ო ნ ი № 227.

საფოსტო ადრესი:

*Tiflis. В Редакцию газеты „ИВЕРΙΑ“*

რედაქტორ-გამომცემელი ილან ჭავჭავაძე.

„კრებულა“-ს რედაქციის მიერ

მზადდება გამოსაცემად

აკაკის

**„ბ ა შ ი - ა რ შ უ კ ი“**

პატარა ლამაზ წიგნაკად,

რამდენიმე დაწეება მის-მაკრ განზრახული

ჯიხით საბავშვო წიგნაკების კოლლექცია.

პიილება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორ

კვირულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემს“-ზე

ტ

რუსულ «П А С Т Ы Р Ъ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „რუსული“ 3 მ.	— „რუსული“ 2 მ.
— „ორივე გამოცემაზე“	— „ორივე გამოცემაზე“

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ევარილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრის მ. ლაზარაშვილს, ბ. შოთა ქუთუაშვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარავთან; სანჯურში — ყარაისან ჩხვიციანთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუციანთან; ახალსენაკში — ბლაღოჩინ მანა არისტარქ კლანდარი-შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიტ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ევარილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღწერით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მომავალი წლის სელის მომწერთათვის  
დანიშნულია საჩუქრად **სახსლის ღვთის-**  
**გუოგლის ფოტოგრაფიული ნახატი.**  
და ჩვენი მოღვაწის ბატონის

 **აკაკის სურათი,** 

ბრესტლის ქალაღზე დაბეჭდილი.

შემოდნიძნულ საჩუქრებს სელის მომწერნი  
მიიღებენ ფულის შემოტანისათანავე,



ჩ ვ ე ნ ი

# „კრებული“

მეორე წელიწადში გადადგა.

დღემდი ჩვენ უფლება არა გვქონდა, რომ გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს „კრებულში“, დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვბეჭდოთ ხოლომე, და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთაგანმა კიდევ აღგვითქვეს დახმარება.

**ფასი იზივმ დარჩება:** გაგზავნით ფოსტით 7 მან., გაუგზავნელად—6 მან., ნახევარის წლით—4 მან., თვიურად და კერძო №-რი—60 კ.

—(ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება).—

**რედაქცია გადატანალია დ. ყვირილისაში**

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გარდახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

ადრესი გამომწერლებისათვის: დ. ყვირილა, „კრებული“-ს რედაქცია და თბილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება.

**„კრებული“-ს რედაქტორი და გამომც. პაპაძე.**

P. S. ბევრი გვეკითხება, „თავგადასავალის“ გაგრძელება იქნება თუ არა. ამ წელში კიდევ დაიბეჭდება ეს თხზულება და ბევრი სხვაც, რომელიც უკვე დაშვებულია.

ამ წელშივე გამოვა ცალკე წიგნად ბ-ნი მოსე ჯანაშვილის „**პალიოგრაფიული ალბომი**“, რომელიც „კრებული“-ს ხელის-მომწერებს იაფ ფასად დაეთმობათ.

რედაქციაში შესაძენად მოიპოვება წარსული წლის „კრებული“-ს თორმეტივე წიგნი, ფასი შეიძლება მანეთია.